წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—81.

სამშაბათი, 1 მარტი 1932 წ. № 51 (3305)

პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის შედეგებისათვის

გასული წლის დეკემბერსა და იანვრის პირველ ნახევარში მთელ საქართველოში ჩატარდა პარტიულ ორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანია. ეს კამპანია, რომელსაც უდიდესი ყურადღება ექცეოდა მთელი პარტიულ ორგანიზაციების მიერ „ჩატარდა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების და პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების პრაქტიკაში დაშვებულ დამახინჯებების ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის და ფართო შინაპარტიულ დემოკრატიის ნიშნით და მან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა საფუძველზე უზრუნველჰყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების კონსოლიდაცია საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ., სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ახალი ხელმძღვანელობის ირგვლივ". (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 20 თებერვლის დადგენილებიდან).

ძველი პარტიულ ხელმძღვანელობის მიერ განსაკუთრებით საქართველოში იქნა დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთა გამოსწორებისათვის საკ. კ. პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიერ თავის 31 ოქტომბრის დადგენილებით დასახულ იქნა ამიერ - კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციის წინაშე საბრძოლო პროგრამა. პარტიულ ორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის დროს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა ლენინური ცეკას და ამხ. სტალინის დირექტივების საფუძველზე კერძოთ გლეხობის საკითხში დაშვებულ უხეში პოლიტიკური შეცდომების გამოსწორებისათვის და დასახულ იქნა „პარტიულ - კომკავშირულ და მუშათა, კოლმეურნეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ყურადღება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო სამეურნეო გეგმის შესრულებისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების კონკრეტულ ამოცანების გარშემო". საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიამ გაამახვილა პარტიულ ორგანიზაციების ყურადღება ორ ფრონტზე ბრძოლის ამოცანებისადმი, ხელი შეუწყო პარტიულ მუშაობის გარდაქმნას ახალ საფუძველზე, ძირეული პარტაქტივის განმტკიცებას, პარტორგანოების შემადგენლობის ხარისხობრივ განახლებას, ბრძოლის გაძლიერებას მრეწველობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ საჩვენებლების შესრულებისათვის, შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გაშლას და სხვ.

საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიულ - კომკავშირულ მასებმა. ამას მოწმობს ის, რომ პარტორგანოების მოსამზადებელ და საანგარიშო - საგადარჩევო კრებებზე მონაწილეობას იღებდა პარტიულთა და კომკავშირელთა 86—90 პროც., თვითმოწმების ხაზით წარმოებულ მუშაობაში ჩაბმული იყო კომუნისტების 30—35 პროცენტი, კამათში მონაწილეობა მიიღო 26—30 პროცენტმა. პარტორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიაში აქტიურად ჩაება აგრეთვე უპარტიო მშრომელთა მასები. მაგ. სამრეწველო რაიონებში უპარტიო მუშების დასწრება საანგარიშო - საგადარჩევო კრებებზე აღწევდა 55—60 პროცენტს, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაება საწარმოებში 5.000 კაცი, მოეწყო სამეურნეო ანგარიშის 600 დამკვრელი ბრიგადა, გაიზარდა საუკეთესო დამკვრელ მუშების და დამკვრელ კოლმეურნეების ლტოლვა პარტიისაკენ. (მარტო 8 სამრეწველო რაიონში შემოტანილ იქნა 2.257 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, პარტიაში მიღებულია 1.400 მუშა და 500 კოლმეურნე). გაიზარდა პარტორგანოების შემადგენლობაში მუშების პროცენტი 57,2-მდე და სხვ.

პარტორგანოების საანგარიშო საგადარჩევო კამპანია — ნათქვამია საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას 20 თებერვლის დადგენილებაში, — მიმდინარეობდა ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის ნიშნით — მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც ამ ეტაპზე მთავარი საფრთხის, „მემარცხენე" გადახვევების, დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის, ტროცკისტულ - მენშევიკურ კონტრაბანდის და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ პარტიის გენერალური ხაზისათვის, მარქსისტულ - ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, პარტიული მასების ბოლშევიკური თეორიის ბასრი იარაღით შეიარაღებისათვის".

მერვე პარტიულმა ყრილობამ აღნიშნა, რომ, მიუხედავად ახალი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებებისა „ძირეულ, პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანოებს ჯერ კიდევ არ გამოუსწორებიათ დაშვებული შეცდომები". ამიტომ; პარტორგანოების და მთელი პარტიული ორგანიზაციის წინაშე საქართველოში სდგას ამოცანა, რათა ძველ ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები, განსაკუთრებით შეცდომები გლეხობის საკითხში გამოსწორებულ იქნას, რაც შეიძლება დაჩქარებით და რადიკალურად. გამანადგურებელი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ ყოველგვარ ცდებს, რომელიც მიმართული იქნება დაშვებულ შეცდომების გამოსწორების გაჭიანურების და დაძველებულ „მემარცხენე" გამრუდებების მემარჯვენე პრაქტიკის გამოსწორებისაკენ. დაუზოგავი ბრძოლით მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული პრაქტიკის წინააღმდეგ ჩვენ უნდა მივაღწიოთ კოლმეურნეობების სამეურნეო, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას, უნდა აღვკვეთოთ თვითმდინარეობას, ადმინისტრაციულობის და ბრძანებლობის ნაშთები ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობაში და პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივების მტკიცედ გატარებით უზრუნველვყოთ დამზადებების, ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმის განხორციელება და მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის წარმატებით ჩატარება.

სოფლის პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტმუშაობის დასაყრდენი პუნქტების შექმნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და მსხვილ კოლმეურნეობებთან, ღარიბთა ჯგუფების აღდგენას სოფლის ყველა არჩევით ორგანოებთან, კონკრეტულ-ოპერატიული პარტხელმძღვანელობის გაძლიერებას, პარტიულ მასიური მუშაობის გაშლას სასოფლო-სამეურნეო მუშებსა, კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პარტ - მასიური მუშაობის გარდაქმნას საწარმოებში, პარტმუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს საამქროებსა და ბრიგადებში, და უნდა გაძლიერდეს პარტხელმძღვანელობა ძირეულ რგოლზე, ხელი უნდა შეუწყოთ დამკვრელ მუშების მიღებას პარტიაში და ფართოდ უნდა გავშალოთ პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის; როგორც სოფლად ისე ქალაქად, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა დავაყენოთ ძირეული აქტივის მომზადება და მეტი ყურადღება დავუთმოთ მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღებას.

ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელ წელში მე-17 პარტკონფერენციის მიერ უმნიშვნელოვანესი ამოცანებია დასმული ჩვენს წინაშე სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში. ძველი ხელმძღვანელობის უხეშ პოლიტიკური შეცდომების გამოსწორება სოფლად, მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის წარმატებით ჩატარება, მოსავლის განაწილების და აღების ორგანიზაცია, კოლმეურნეობების სამეურნეო, ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება და მის საფეხურზე ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალი მასების ლტოლვის გაძლიერება კოლმეურნეობებისაკენ, მრეწველობაში ხუთწლედით დასახულ ყველა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულება პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანებია.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის საჭიროა მთელი პარტიული, და უპარტიო მშრომელი მასების კიდევ უფრო მჭიდროთ დარაზმვა ახალ პარტიულ ხელმძღვანელობის ირგვლივ, საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა კონტრ - რევოლიუციონური ტროცკიზმის და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ, განუხრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის, როგორც ეხლანდელ საფეხურზე მთავარი საფრთხის, „მემარცხენე" გადამხვევლების დიდმპყრობელურ შოვინიზმის, ადგილობრივ ნაციონალიზმის და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ.

თეთრგვარდიელები ოცნებობენ ძველი რუსეთის აღდგენაზე

პარიზი, 28 თებერვალი. „ლიუმანიტე" აქვეყნებს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობას მანჯურიაში თეთრგვარდიელთა დივიზიის შედგენის შესახებ და ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტზე, რომ პარიზელ თეთრგვარდიელთა შორის ადგილი აქვს აქტიობის გაძლიერებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ თეთრგვარდიელთა მთელი პრესა, რომელიც საფრანგეთში გამოდის. დაწყებული „ვოზროჟდენიე"-თი და გათავებული „ჩასოვოი"-თი („სამხედრო კავშირის" ორგანო), თეთრ ემიგრაციას მოუწოდებს გაერთიანებისაკენ. „ვოზროჟდენიე" 23 თებერვლის ნომერში აღნიშნავს, რომ „საჭირო ვითარება შორეულ აღმოსავლეთში არასოდეს არ ყოფილა ჩვენთვის და შეიძლება არასოდეს არ იქნეს ასე ხელსაყრელი. [illegible] ჩვენ შევქმნით ჯარით მომქმედი ძალები და შევქმნათ ახალი ბაზა ახალი რუსეთის აღორძინების დაწყებისათვის!.

„ლიუმანიტე" მიუთითებს, რომ თეთრგვარდიელთა ოფიცრებს დავალებული აქვთ თეთრგვარდიელთა ნაწილების შედგენა მანჯურიისათვის. ასეთი დავალება, კერძოდ, აქვს კაზაკთა ოფიცრებს ბოლდირევს, „სამხედრო კავშირის" წევრს, დამსჯელთა რაზმის ყოფილ უფროსს.

ბოლდირევი აგრეთვე მონაწილეობას ღებულობს პარიზის ბიუროში, რომლის დანიშნულებაა თეთრგვარდიელთა გაგზავნა მანჯურიაში ბალკანეთის ქვეყნებიდან.

„ლიუმანიტე" ასაჯაროებს ამ ფაქტებს და აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს ხდება საფრანგეთის მთავრობის თვალწინ. გაზეთი მოუწოდებს საფრანგეთის პროლეტარიატს გაერთიანდეს საბჭოთა კავშირის დასაცავად და მოითხოვს თეთრგვარდიელთა განდევნას საფრანგეთიდან (ათს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის თავისათვის

ლოზუნგები

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაც დაამხო ბურჟუაზიის ხელისუფლება, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და განთავისუფლა ყოფილი მეფის რუსეთის დაჩაგრული ხალხები.

2. ა.-კ. ფედერაცია არის მთელი საბჭ. კავშირის მუშათა კლასის და მშრომელი მასების უდიდესი მონაპოვარი, არის კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი განხორციელების ნიმუში.

3. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას — აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მშრომელი მასების ინტერნაციონალურ კავშირს.

4. განვამტკიცოთ ამიერ-კავკასიის პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერება. ფართოდ გავშალოთ ა.-კ ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სამეურნეო ინიციატივა და თვითმოქმედება.

5. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მრავალერიან ამიერ-კავკასიაში უზრუნველყო მჭიდრო და დაურღვეველი ეროვნული მშვიდობიანობა, — „უმაგალითო ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიული წყობილების პირობებში" (ლენინი).

ამიერ-კავკასიის მუშებო, კოლმეურნენო და ყველა მშრომელნო! მაღლა გვჭიროთ ლენინის დროშა, ყველა ქვეყნის პროლეტართა და მშრომელთა ინტერნაციონალური მთლიანობის დროშა.

6. ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წელი — ესაა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე წარმოებული ბრძოლის და მიღწეულ გამარჯვებათა 10 წელი. გავაძლიეროთ ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპები. შევდივართ რა ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მეორე ათწლეულში, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ხუთწლედის მეოთხე და მამთავრებელი წლის გეგმა.

7. უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს ამ.-კავკასიის მშრომელებმა ბოლშევიკების ლენინური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, მისი გენერალური ხაზის გადაუხრელად გატარების საფუძველზე. ამიერ-კავკასიის მუშებო, კოლმეურნეებო და მშრომელებო! უფრო შეამჭიდროვეთ რიგები მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გარშემო.

8. უფრო ძლიერი ცეცხლი სოციალისტური მშენებლობის დეზორგანიზატორებს — მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ამიერ-კავკასიის პარტიული რიგების მთლიანობისა და ბოლშევიკური დარაზმულობისათვის. მათი იდეურ - პოლიტიკური დონის აწევისათვის.

9. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებს) — პროლეტარულ და მშრომელთა ფართო მასების მებრძოლ ხელმძღვანელს, ძლევამოსილი სოციალისტური შეტევის ბელადს და ორგანიზატორს. გაუმარჯოს პარტიის ლენინურ შტაბს — საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამხ. სტალინის მეთაურობით.

10. ლენინი და სტალინი — ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის სულისჩამდგმელებია. გაუმარჯოს ლენინიზმს. გაუმარჯოს ამხ. სტალინს — პარტიის და საერთაშორისო პროლეტარიატის ნაცად ბელადს, ლენინის საუკეთესო მოწაფეს, რომელმაც უზრუნველყო ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარება და შემდგომი განვითარება.

11. ამხ. სერგო ორჯონიკიძეს და ამხ. კიროვს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის მებრძოლებს, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზატორებს — მხურვალე სალამი.

12. ამიერ-კავკასიის ფედერაცია არის დიდი საბჭოთა კავშირის — ყველა ქვეყნის მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოს, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ბაზის — განუყრელი ნაწილი. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას. მხურვალე სალამი საბჭოთა კავშირის პროლეტარებს.

13. გაანადგურეს რა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების კონტრ-რევოლიუციონური პარტიები, ამიერ-კავკასიის მუშათა კლასმა და მშრომელებმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩაუყარეს მკვიდრი საძირკველი ამიერ-კავკასიის ფედერაციას და მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში. უფრო მაგრად დავარტყათ მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების კონტრ-რევოლიუციონურ პარტიათა ნამსხვრევებს — საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტურას.

14. ამიერ-კავკასიის ფედერაცია გაიზარდა და განმტკიცდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გადაუხრელად გატარებისათვის ბრძოლაში, გავაძლიეროთ ცეცხლი დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

15. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო ამიერ-კავკასიაში მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათა სამეურნეო და კულტურული განვითარება. უფრო განვავითაროთ შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურები, უფრო გავშალოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობა ნაცუმცირესობათა რაიონებში.

16. დავამთავრეთ რა 1931 წელს საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება, დავამთავროთ პირველი ხუთწლედი 4 წელიწადში, ავაშენოთ მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოება.

17. ხუთწლედის მე-4 დამამთავრებელ წელს ამიერ-კავკასიის მშრომელებმა უნდა მიაღწიონ ახალ უდიდეს გამარჯვებებს ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე. ამიერ-კავკასიის პროლეტარებო! მეტი ნავთი, ქვანახშირი, სპილენძი. გავაძლიეროთ ელექტრო მშენებლობის ტემპები. ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გავშალოთ მსუბუქი მრეწველობა.

18. გაუმარჯოს სოციალისტური მშენებლობის დამკვრელებს, რომლებიც გვაძლევენ პროლეტარული შემოქმედებითი ენტუზიაზმის უმაგალითო ნიმუშებს. ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. სოციალისტური შრომის ახალი უმაღლესი ფორმების დანერგვისათვის— სამეურნეო ბრიგადებს, ტეხნიკური გეგმის, ცვლათა შემხვედრი გეგმისათვის.

19. ამხ. სტალინის 6 ისტორიული პირობა — გამარჯვების საწინდარია. ბელადის ექვსი მითითების ბოლშევიკური რეალიზაციით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში უზრუნველვყოთ ხუთწლედის 4 წელიწადში განხორციელება.

20. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ხელმძღვანელ რაზმს — ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ინდუსტრიალური ცენტრის — ბაქოს პროლეტარიატს, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატორს. მხურვალე სალამი ბაქოს პროლეტარებს, რომელთაც 2 ნახ. წელში შეასრულეს ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა და რომელნიც გმირულად იბრძვიან ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მივცეთ საბჭოების ქვეყანას 15.600 ათასი ტონა ნავთი 1932 წელში.

21. ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის მუშებო, იბრძოლეთ, რათა ნამდვილად განხორციელდეს გაწყვილებული სვლა, მოხდეს გაუპიროვნების და გათანაბრების ლიკვიდაცია, გატარდეს სამეურნეო ანგარიში, გაუმჯობესდეს მოძრაობა, დამყარდეს რკინისებური დისციპლინა. მიაღწიეთ გადამწყვეტ წარმატებებს ტრანსპორტის მუშაობაში.

22. „ტეხნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში სწყვეტს ყველაფერს" (სტალინი). ამიერ-კავკასიის პროლეტარებო და კოლმეურნეებო! დაეუფლეთ მოწინავე ტეხნიკას. შევქმნათ სპეციალისტთა კადრები მუშათა კლასის წრიდან და მოწინავე კოლმეურნეთაგან. უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ტეხნიკურ-ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

23. მაღლა ავსწიოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დროშა, მეცნიერება და კულტურის ყველა მიღწევები დავუმორჩილოთ გაშლილ სოციალისტურ შეტევას. გავშალოთ გადამწყვეტი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული კონტრაბანდის წინააღმდეგ, დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

24. გაუმარჯოს კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ და მტკიცე დასაყრდენს. 1932 წელს ჩავაბათ კოლმეურნეობებში ამიერ-კავკასიის ღარიბ-საშუალო გლეხთა მეურნეობების 50-55 პროცენტი. გავაძლიეროთ ღარიბებთან მუშაობა. გავშალოთ შემდგომი შეტევა კულაკობის წინააღმდეგ.

25. ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის. მოვაწესრიგოთ შრომა, დავნერგოთ სანარდო სისტემა. საკოლმეურნეო ბრიგადა — ყურადღების ცენტრში. შევქმნათ საკოლმეურნეო აქტივი.

26. გადავაქციოთ ამიერ-კავკასია საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე მძლავრ ბაზად. შევასრულოთ ბამბის 285 ათას ჰექტარზე დათესვის გეგმა. გავაუმჯობესოთ ბამბის თესვის, დამუშავების და აღების ხარისხი. გავადიდოთ ბამბის მოსავლიანობა.

დავამთავროთ 1932 წელს მთლიანი კოლექტივიზაცია ამიერ-კავკასიის ძირითად მებამბეობის რაიონებში და ამ საფუძველზე აღნიშნულ რაიონებში მოვახდინოთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

27. მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ. მუშებო, კოლმეურნეებო! იბრძოლეთ ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის. გარდავქმნათ და განვამტკიცოთ მეცხოველეობის კულტურის დანერგვისათვის ამიერ-კავკასიაში, 1932 წელს 15.000 ჰექტარის გაშენების გეგმის შესრულებისათვის.

28. ამიერ-კავკასიის სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისათვის გარდავქმნათ და განვამტკიცოთ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, გავშალოთ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მშენებლობა. მეცხოველეობის კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებისათვის 1932 წელი უნდა გახდეს გარდატეხის წელიწადად ამიერ-კავკასიაში მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრის საქმეში.

29. გადავაქციოთ ამიერ-კავკასია ტეხნიკური და სპეციალური კულტურების რაიონად. გავადიდოთ თამბაქოს, ვენახის, ახალი ლაფნის კულტურების, ციტრუსოვან, თუთის და ხეხილის ნარგავების ფართობი.

30. ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის გადაჭრით გარდაქმნისათვის. „მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო სცვლის მხარის სახეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმში გადასვლას" (ლენინი). უზრუნველვყოთ წყლით ბამბა და სხვა ტეხნიკური კულტურები. შევასრულოთ ლენინის ანდერძი.

31. განვამტკიცოთ საბჭოთა მეურნეობები — სოციალიზმის დასაყრდენი პუნქტები სოფლად. გადავაქციოთ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეურნეობები სოციალისტური სოფლის მეურნეობის ნამდვილ ნიმუშებად.

32. სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაციისათვის. ფართო გზა საბჭოთა ტრაქტორს. განვამტკიცოთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები — სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ბერკეტები.

33. ბოლშევიკურად ჩავატაროთ გაზაფხულის თესვა. დროზე და სავსებით შევაკეთოთ სატრაქტორო პარკი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. უზრუნველვყოთ სათესლე ფონდის შეგროვება. ჩავატაროთ წყალთა მეურნ. ყველა სამუშაოები. მოვაწესრიგოთ შრომა და დარაზმულად გავგზავნოთ მინდვრებზე კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები. 285 ათასი ჰექტარი ბამბისათვის, გაზაფხულის ნარგავ 10.600 ჰექტარი ჩაისათვის, 34 ათასი ჰექტარი თამბაქოსათვის, 860 ათასი ჰექტარი მარცვლეული კულტურებისათვის.

ბოლშევიკურად ჩატარებული თესვით უზრუნველვყოთ ყველა პირობები საბჭოთა მეურნეობათა, კოლმეურნეობათა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების მინდვრების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

34. განვამტკიცოთ საბჭოები—პროლეტარული დიქტატურის ორგანოები, გავაძლიეროთ საბჭოების როლი ლენინის პარტიის გენერალური ხაზის პრაქტიკულად გატარების საქმეში. სახელმწიფო აპარატში არსებულ ბიუროკრატიზმთან შემდგომი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

35. ამიერ-კავკასიის ლენინური კომკავშირი—კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწეა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისათვის ბრძოლაში. მაღლა ავსწიოთ საბრძოლო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, მშრომელი ახალგაზრდობის ლენინურად აღზრდისათვის, რევოლიუციონური პრაქტიკის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიასთან ბოლშევიკურად შეთანხმებისათვის. გაუმარჯოს ბოლშევიკურ შეცვლას. გაუმარჯოს წითელ პიონერთა არმიას.

36. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ განთავისუფლა წარსულში დამონებული მშრომელი ქალი. „ბოლშევიკური, საბჭოთა რევოლიუცია ისე ღრმად სჭრის ქალთა მონობის და უთანასწორობის ფესვებს, როგორც არასოდეს არ გაუბედავს მათი მოჭრა არც ერთ პარტიას და არც ერთ რევოლიუციას მსოფლიოში" (ლენინი). ამიერ-კავკასიის მუშებო, მუშა ქალებო, კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო! გადაჭრით ებრძოლეთ კულაკურ აგიტაციას, რომელიც მიმართულია ქალთა განთავისუფლების წინააღმდეგ.

ჩააბით ქალები სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში, ქალის დამამონებელ რელიგიურ და საყოფაცხოვრებო ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. გაუმარჯოს მონობიდან განთავისუფლებულ ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალს.

37. სოციალიზმის პერიოდში შესულ ქვეყანაში არ უნდა იყოს წერა-კითხვის უცოდინარი. გადავაქციოთ საბჭოთა ამიერ-კავკასია ისეთ ქვეყნად, სადაც ყველას ეცოდინება წერა-კითხვა.

38. მშრომელი მასების მატერიალურ კულტურული დონის შემდგომ ამაღლებისათვის, გავაუმჯობესოთ მუშათა მომარაგება, საზოგადოებრივი კვება, ფართოდ გავშალოთ საბჭოთა ვაჭრობა. გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი საბინაო და კომუნალური მშენებლობის გადაჭრით გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.

39. ამიერ-კავკასიის მშრომელნო! იყავით მზად ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად იმპერიალისტური ინტერვენციისათვის გადამწყვეტი და დაუნდობელი პასუხის გასაცემად. გახსოვდეთ, რომ იმპერიალისტები იმზადებენ მტაცებლურ ხელებს საბჭოთა ამიერ-კავკასიისაკენ. განამტკიცეთ თქვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უნარიანობა. ამაღლეთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა შეიარაღებული რაზმის, ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო გუშაგის—წითელი არმიის ძლიერება.

40. გაუმარჯოს კავკასიის წითელ დროშოვან არმიას და მის ნაციონალურ ნაწილებს. წითელი მეომრების ინტერნაციონალური ლენინურად აღზრდისათვის. განვამტკიცოთ პროლეტარული შეფობა წითელი არმიის ნაწილებზე.

41. მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მშვიდობიანობის ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენს. გაუმარჯოს მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკას.

42. ამიერ-კავკასიის ფედერაცია—ხალხთა ინტერნაციონალური მთლიანობის ნიმუშია კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ აღმოსავლეთის საზღვრებზე. მხურვალე სალამი აღმოსავლეთის ჩაგრულ მილიონიან მასებს, რომლებიც გმინავენ საერთაშორისო იმპერიალიზმის ქუსლ ქვეშ. გაუმარჯოს რევოლიუციონურ ჩინეთის მუშებს და გლეხებს! გაუმარჯოს საბჭოებს და წითელ არმიას.

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის თავი

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმია

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილება

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავის ჩატარების შესახებ

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის თავს საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელთა ფართო მასები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხვდებიან უდიდესი მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის ათი წელი—ესაა ათი წლის შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე პარტიის გენერალური ხაზისათვის, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გადაუხრელად გატარებისათვის. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებამ უზრუნველყო ამიერ-კავკ. ფედერაციის სამეურნეო პოლიტიკური ძლიერების განმტკიცება.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია ვითარდებოდა უსასტიკეს ბრძოლაში მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, „მომემარცხენო" გადახვევებთან და მათთან შემარიგებლობასთან, ტროცკის და ზინოვიევის ეგრედ-წოდებულ „მემარცხენე" გაერთიანებულ ოპოზიციასთან, კონტრრევოლიუციონურ ტროცკიზმთან — საერთაშორისო ბურჟუაზიის ამ მოწინავე რაზმთან, მენშევიკებსა, მუსავატელებსა და დაშნაკებთან, რომელთაც ეროვნული ბრძოლის სისხლიანი ფურცლები ჩასწერეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიაში.

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაანადგურეს ნაციონალ-უკლონიზმი, რომელიც გამოხატავდა ნაციონალური ბურჟუაზიის, მენშევიზმის, მუსავატიზმის და დაშნაკიზმის გავლენას და გაშალეს ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის ბრძოლაში ბაქოს პროლეტარიატი—ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელი, მოწინავე რაზმი, ბაქოს პარტორგანიზაციის მეთაურობით, წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ავანგარდს.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია გაიზარდა და განმტკიცდა შეურიგებელ ბრძოლაში პარტიის მთავარ საფრთხესთან ნაციონალურ საკითხში—ბრძოლაში დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის თავის არის ნაციონ. პოლიტიკის ზეიმი, რომელმაც უზრუნველყო ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა მტკიცე ძმური კავშირი—„უმაგალითო ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიული წყობილების პირობებში" (ლენინი).

ბოლშევიკების ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეულია უდიდესი გამარჯვებები ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალურ-აგრარიულ ქვეყნად გადაქცევის საქმეში.

ამიერ-კავკ. ფედერაცია არის ლენინის და სტალინის პირმშო, რომელიც შეიქმნა მათი ინიციატივით და მითითებით. ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ მოცემულ ლენინურ ანდერძის იდეურ სიწმინდეს მისი დამახინჯების ოდნავი ცდებისაგან მთელი ბოლშევიკური შეურიგებლობით იცავდა პარტიის და მუშათა კლასის ბელადი ამხ. სტალინი, რომლის შრომები ნაციონალურ საკითხზე წარმოადგენენ მძლავრ იდეურ იარაღს—მთელი პარტიისათვის, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის.

რ.კ.პ. (ბ) მეთორმეტე ყრილობაზე (1923 წლის 17—25 აპრილი) ამხ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის გარეშე „ნაციონალური მშვიდობიანობა შეუძლებელია", „რომ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებამ, შექმნა რა ფედერაცია, დაამყარა ნაციონალური მშვიდობიანობა".

ამხ. სტალინმა მთელი ულმობელობით ამხილა ქართული ნაციონალური უკლონიზმი, მთელი სიცხადით მიუთითა იმ „სახიფათო გზაზე" (სტალინი), რომელზედაც პარტიის დაყენებას ცდილობდნენ ნაციონალ-უკლონისტები თავიანთ ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. „ამ გზით ჩვენ ვერ წავალთ, ვინაიდან ესაა მთელი ჩვენი პოლიტიკის და საბჭოთა ხელისუფლების აშკარა დაღუპვა ამიერ-კავკასიაში" (სტალინი).

ლენინის და სტალინის ერთგული თანამებრძოლის—ამხ. ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც მაღლა ეჭირა პარტიის გენერალურ ხაზისათვის, ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის დროშა, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ადგილობრივ ნაციონალ-უკლონიზმს, რომელიც ცდილობდა შეებღალა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის იდეური სიწმინდე.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, ამხ. ს. კიროვის და ა. მიასნიკოვთან ერთად, ამიერ-კავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა, რომელნიც გამოიბრძმედენ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გადაუხრელად გატარებისათვის ბრძოლაში, შექმნეს ამ პოლიტიკის სულ ოდნავი ოპორტუნისტული დამახინჯებისადმი შეურიგებლობის საუკეთესო ტრადიციები.

ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ეს გამოცდილება საქართველოს და ამიერ-კავკასიის კომუნისტებმა საფუძვლად უნდა დაუდვან მათ ბრძოლას მეტად უხეში შეცდომების გამოსწორებისათვის, რომლებიც საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ დაუშვა ნაციონალურ საკითხში და, რომლებიც აღნიშნულია საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებაში.

ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკურ ძლიერების განმტკიცებით, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ ახალ წარმატებებს მრეწველობის ფრონტზე—ბრძოლაში ნავთის ამოღებისათვის, მარგანეცისა და ქვანახშირისათვის, ტრანსპორტის მუშაობის ბოლშევიკური გარდაქმნისათვის, ელექტროფიკაციის და საირიგაციო სამუშაოთა შემდგომი გაშლისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის, ნაციონალურ-კულტურულ მშენებლობის საქმეში, გაბედულად და მხნედ უნდა გასწიონ წინ ახალი მიღწევებისაკენ და განამტკიცონ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა ინტერნაციონალური თანამშრომლობა.

მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებანი, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მოხსენებათა გამო, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 4 თებერვლის გადაწყვეტილება კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების მორიგი ამოცანების შესახებ წარმოადგენენ ბოლშევიკური მუშაობის გაშლილ პროგრამას საქართველოს მთელი პარტიულ ორგანიზაციისათვის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის თავი უნდა ჩატარდეს საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური რეალიზაციისათვის მუშაობის კიდევ უფრო გაშლის საფუძველზე. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს:

1. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის თავი (12 მარტი) ჩატარდეს, როგორც ფართო მასიური პოლიტიკური კამპანია, შემდეგი ლოზუნგებით:

ა) ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულების შედეგების შეჯამება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლის განმავლობაში პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამეურნეო და ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის ფრონტზე მოპოვებული მიღწევების დათვალიერება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიური და პოლიტიკურ ძლიერების შემდგომი განმტკიცება და ამავე დროს ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალი ნაცრესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლა ამხ. სტალინის მითითებათა და საკ. კ.პ. (ბ) ც.-კ-ის 1931 წლ. 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე.

ბ) პარტორგანიზაციების და მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების მობილიზაცია პარტიის გენერალური ხაზის გარშემო გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლისათვის ორ ფრონტზე—მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, „მემარცხენე" გადახვევებთან და მათდამი შემარიგებლობასთან და დამპალ ლიბერალიზმთან, მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის, დაუზოგავი ბრძოლისათვის კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმისა და მენშევიზმის—საერთაშორისო იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტურის ნაშთების წინააღმდეგ.

გ) მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მობილიზაცია მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის და საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გარშემო, ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელი წლის ყველა გეგმების ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე, საბრძოლო მომზადების ჩასატარებლად მეორე ხუთწლედისათვის, რომლის მთავარ პოლიტიკურ ამოცანას „წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, კლასობრივი განსხვავებისა და ექსპლოატაციის წარმომშობ მიზეზების სავსებით მოსპობა და კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლად".

დ) არსებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციული-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეობათა შემდგომი ზრდა და სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების და საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის წარმატებით ჩატარება, კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა, მათი გაწმენდა კულაკური ელემენტებისაგან, კოლმეურნეობების გამგეობათა განმტკიცება დამკვრელი კოლმეურნეებით, საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და გამწევი ძალის მომზადება, გაზაფხულის სასოფ.-სამეურნ. კამპანიის სათესლე ფონდების შეგროვება, სპეციალური და ტეხნიკური კულტურების (ბამბა, ჩაი და სხვ.) ფართოდ დანერგვა, ბრძოლა თესვის ხარისხისა, დიდი მოსავლიანობისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განმტკიცებისა და ფულადი რესურსების მობილიზაციის გეგმების შესრულებისათვის.

ე) ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის შემდგომი მაქსიმალური განმტკიცება და წითელი არმიის საბრძოლო მომზადების გაძლიერება, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაციონალური ნაწილების ინტერნაციონალური აღზრდა, მთელი პროლეტარული საზოგადოებრივობის ყურადღების მობილიზაცია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხების გარშემო.

3. ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქებსა და რაიონებში ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავის ჩასატარებლად შეიქმნას კომისიები პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კომკავშირულ და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს, საქალაქო კომიტეტებს და რაიკომებს, საქართველოს კომკავშირის კომიტეტს, საქ. პროფსაბჭოს, რესპუბლიკანურ და რაიონულ გაზეთებს, ნებაყოფლობით საზოგადოებებს, განათლების სახალხო კომისარიატს, სახელგამს, სახკინმრეწვს და რადიოცენტრს გააჩაღონ მუშაობა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავის ჩატარების მოსამზადებლად.

5. ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავი აღინიშნოს მასიური კრებების მოწყობით საწარმოებში, საამქროებში, კლუბებსა და წითელ კუთხეებში, კოლმეურნეობებსა და საბჭ. მეურნეობებში ჩაბმულ იქნან მუშები და კოლმეურნეები „ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლისთავის" სახელობის მთლიან ბრიგადაში, მოხდეს მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების პოლიტიკური აქტივობის მობილიზაცია ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელ წლის ყველა გეგმების მთლიანად გადაჭარბებით შესრულებისათვის, მთავარი ყურადღება მიექცეს ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებას.

6. ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლისთავისათვის დაჯილდოვებულ იქნან საუკეთესო საწარმონი, საამქრონი, ბრიგადები, კოლმეურნეობანი, სამანქანო - სატრაქტორო სად. საბჭოთა მეურნეობები, საუკეთესო დამკვრელები, მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერები, ტეხნიკოსები, მასწავლებლები, აგრომუშაკები და სხვები რომლებმაც გამოიჩინეს საწარმოო ენტუზიაზმი და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბრძოლაში გეგმების რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

7. 12 მარტს თბილისში და საქართველოს ყველა ქალაქებსა და სოფლებში ჩატარდეს მშრომელთა მასიური დემონსტრაციები ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლისთავის აღსანიშნავად.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მშრომელთა ძმურ კავშირებს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელ შტაბს—საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის დამკვრელ ბრიგადას—მშვიდობიანობის ნამდვილ ბურჯს და მსოფლიო რევოლიუციის მოუდგომელ ციხე-სიმაგრეს—საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მუშათა კლასის მოწინავე რაზმს—ლენინის პარტიას საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პარტიისა და საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ბელადს ამხ. სტალინს!

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—ბერია.

იაპონიის მთავრობის პასუხი

ამხ. კარახანის საუბარი ხიროტასთან

მოსკოვი, 28 თებერვალი. ა. წ. 27 თებერვალს იაპონიის ელჩმა ხიროტამ ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კარახანი და მისცა მას პასუხი იმ შეკითხვებზე, რომლებიც მას დაუსვა ამხ. კარახანმა 24 ამ თებერვალს, იაპონიის მთავრობის დავალებით ხიროტამ განაცხადა შემდეგი:

ხიროტას განცხადება

1. საბჭოთა მთავრობის შეკითხვის მეორე პუნქტზე, რომელიც ეხება იაპონიის სარდლობის მიერ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობისათვის მიცემულ წინადადებას—დასდვან შეთანხმება იაპონიის ჯარის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზებზე გადაყვანის შესახებ იაპონიის მთავრობას არავითარი ცნობები არა აქვს, ამ საკითხზე იგი შეეკითხება იაპონიის ხელისუფლებას მანჯურიაში.

2. თეთრგვარდიელთა მოქმედების და ახალი სახელმწიფოს შექმნის შესახებ იაპონიის მთავრობა დეპეშით გამოგზავნის დამატებით ინსტრუქციებს.

3. რაც შეეხება იაპონიის ჯარის გადაყვანის საკითხს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზზე, ბატონ ელჩს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი: აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის რაიონში მდგომარეობის შეცვლის გამო, ამ რაიონში მცხოვრები იაპონიის ქვეშევრდომნი იძულებული შეიქნენ გაქცეულიყვნენ ხარბინსა და მანჯურიის სხვა დამშვიდებულ პუნქტებში. ამავე დროს ამ ადგილებში დარჩა 20.000-ზე მეტი იაპონელი მოქალაქე (კორეელების ჩართვით). იაპონიის მოქალაქეებს არ შეუძლიათ ამ რაიონებიდან გაქცევა იმის გამო, რომ ისინი ძალზე ბევრი არიან, ამიტომ იაპონიის სარდლობას უხდება ჯარების გაგზავნა მათ დასაცავად. არ არის განზრახული ჯარის გადაყვანა საბჭოთა კავშირის საზღვარზე. ჯარი გაიგზავნება იმანპოს რაიონში და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევის დროს შეიძლება გაგზავნილ იქნას ხაილინამდე. ამის გამო იაპონიის მთავრობამ მისცა ინსტრუქციები ელჩს, რომ მან აცნობოს ეს საბჭოთა მთავრობას და მიმართოს მას თხოვნით, რომ საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნოს თავის წარმომადგენლებს მანჯურიაში ინსტრუქციები, რათა დაუდებლად გადასწყვიტონ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზის, იაპონიის ჯარის გადასაყვანად, გამოყენების საკითხი. იაპონიის სარდლობა, რასაკვირველია, პატივისცემით ეპყრობა საბჭოთა კავშირის ინტერესებს და უფლებებს ჩრდილოეთ მანჯურიაში და მან ეს დაამტკიცა თავისი ჯარის ციციკარსა და ხარბინში გაგზავნის დროს. იაპონიის მთავრობა სთხოვს საბჭოთა კავშირის მთავრობას ნუ შესწუხდება, რომ იაპონიის ჯარს შეუძლია დაარღვიოს საბჭოთა კავშირის ინტერესები და უფლებები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე. იაპონიის მთავრობა სიტყვას იძლევა, რომ იგი სრული პატივისცემით მოეკიდება ამ ინტერესებს და უფლებებს, ჯარის ხარბინიდან აღმოსავლეთისაკენ გაგზავნის ერთად-ერთ მიზანს შეადგენს იაპონიის ქვეშევრდომთა ხსნა. ამრიგად, იაპონიის მთავრობა ითხოვს საბჭოთა კავშირის მთავრობის ნებართვას იაპონიის ჯარის გადაყვანის შესახებ სადგურ იმიანპომდე, და, უკიდურეს შემთხვევაში, ხაილინამდე, ისე როგორც ეს თავის დროზე იყო ნებადართული ციციკარის და ხარბინის მიმართ.

ამხ. კარახანის განცხადება

იაპონიის მთავრობის აღნიშნული თხოვნის საპასუხოდ ამხ. კარახანმა საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით იმავე დღეს მისცა ბატონ იაპონიის ელჩს შემდეგი პასუხი.

იაპონიის მთავრობის იმ თხოვნის საპასუხოდ, რომელიც ეხება ნებართვის მიცემას გადაიყვანოს იაპონიის ჯარი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზით ხარბინიდან სადგურ იმიანპომდე და უკიდურეს შემთხვევაში, სადგურ ხაილინამდე, საბჭოთა მთავრობამ დამავალა მე გაუწყოთ შემდეგი: იაპონიის ჯარის გადაყვანა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზით რამდენიმედ ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის 1925 წელს პეკინში დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ძალაში რჩება პორტსმუტის ხელშეკრულება, ამავე დროს საბჭოთა მთავრობა, რომელიც იღებს მხედველობაში იაპონიის მთავრობის მითითებას სპეციალურ გარემოებაზე და რომელიც განსაკუთრებით უწევს ანგარიშს იმას, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ მანჯურიაში და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეო- [illegible] პონიის ჯარის ხსენებულ სადგურებამდე გადაყვანის შესახებ საბჭოთა მთავრობა იძლევა იმ პირობით, რომ საბჭოთა კავშირის უფლებები და ინტერესები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე არავითარ შემთხვევაში არ იქნება დარღვეული იაპონიის ხელისუფლების და სარდლობის მიერ. ამას გარდა, ამხ. კარახანმა იაპონიის ელჩს დაუსვა ორი საკითხი, რომლებიც ეხება პორტსმუტის ხელშეკრულებას და სთხოვა გადას-ცეს ისინი იაპონიის მთავრობას ახსნა-განმარტების მისაღებად.

1. პორტსმუტის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მიხედვით, რუსეთმა და იაპონიამ იკისრეს ვალდებულება მანჯურიის რკინის გზები გამოეყენებინათ მხოლოდ კომერციული და სამრეწველო მიზნით, მაგრამ „სტრატეგიული მიზნით არავითარ შემთხვევაში". იაპონიის მთავრობის კერძო მიმართვა თხოვნით იაპონიის ჯარის აღმ.-ჩინეთის რკინის გზით გადაყვანის შესახებ და ამ ჯარის გადაყვანა აღმ.-ჩინეთის რკინის გზით, ე. ი. იაპონიის მიერ ამ გზის გამოყენება სტრატეგიული მიზნით, ეფარდება იმ შემთხვევებს, რომლებსაც ითვალისწინებს პორტსმუტის ხელშეკრულების აღნიშნული მე-7 მუხლი. საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ ასეთი ფაქტები არღვევენ პორტსმუტის ხელშეკრულებას. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავს პორტსმუტის ხელშეკრულების როგორც ამ, ისე სხვა მუხლებს. საბჭოთა მთავრობამ დამავალა შევეკითხო იაპონიის მთავრობას: შეუძლია თუ არა მან იმედი იქონიოს, რომ იაპონიის სარდლობაც დაი- [illegible] საბჭოთა მთავრობა, რომელიც მტკიცედ იცავს ამ ვალდებულებას, რაც გათვალისწინებულია პორტსმუტის ხელშეკრულებით, სურს მიიღოს იაპონიის მთავრობისაგან განმარტება კორეა-საბჭოთა კავშირის საზღვართან იაპონიის ჯარის თავმოყრის ფაქტთან დაკავშირებით.

იაპონიის ელჩმა აღუთქვა ამხ. კარახანს, რომ ამ შეკითხვას დაუყოვნებლივ აცნობებს დეპეშით ტოკიოში (ათს).

პრესის კომენტარიები

სიმბუნ რენგო ამხ. კარახანისადმი იაპონიის მთავრობის მოსალოდნელი პასუხის შესახებ

ტოკიო, 28 თებერვალი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს სიტყვით, იაპონიის მთავრობის პასუხში ამხ. კარახანისადმი აღნიშნული იქნება, რომ იაპონიის მთავრობა ითხოვს დახმარების გაწევას და საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დათმობას იმ კორეიელთა თავშესაფარისათვის, რომლებიც იძულებული არიან დასტოვონ მანჯურია გენერალ დინჩოუს ჯარის მტრული მოქმედების გამო. აღნიშნული იქნება აგრეთვე, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს გაგზავნოს ჯარი იმანპოს (აღმოსავლეთი ნაწილი) რაიონში კორეიელ რეზიდენტთა დასაცავად. თუ ამ მიზნით გასაგზავნ ჯარის რიცხვი გამოიწვევს საბჭოთა კავშირის უკმაყოფილებას, იაპონიის მთავრობა მზად არის მინიმუმამდე შეამციროს ეს რიცხვი. ამასთან იაპონიის მთავრობას სურს საბჭოთა მთავრობის თანხმობა ჯარის გადიდებაზე მდგომარეობის გართულების შემთხვევაში.

ცნობები იმის შესახებ, რომ იაპონიის ჯარი დახმარებას უწევს თეთრგვარდიელებს, მოკლებულია საფუძველს და, ალბად, ამ ცნობებს ავრცელებენ თეთრგვარდიელები. გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონიას არა აქვს განზრახული დაარღვიოს იაპონია-საბჭოთა მეგობრული ურთიერთობა და წააქეზოს თეთრგვარდიელთა მოძრაობა. ამასთან დაკავშირებით, იაპონიის მთავრობას სურს მოაგონოს საბჭოთა მთავრობას, რომ იაპონია ყოველთვის ცდილობდა არ შეელახა საბჭოთა კავშირის უფლებები და ინტერესები ჩრდილოეთ მანჯურიაში. მანჯურიის ახალი სახელმწიფოს შექმნა მოფიქრებულია და ხორციელდება ჩინელების მიერ. იაპონიის მთავრობას არაფერი აქვს საერთო ამ მოძრაობასთან. რათქმა უნდა, იაპონია, რომელსაც სერიოზული ინტერესები აქვს მანჯურიაში, დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, თუ რომელ მთავრობას მიენდობა წესრიგის დაცვა მანჯურიაში.

სამხედრო მინისტრის წარმომადგენელმა სიმბუნ რენგოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ უსაფუძვლოა ცნობები, თითქოს იაპონიის ჯარი მანჯურიაში კონტროლს უწევდეს თეთრგვარდიელთა მოძრაობას და აწყობდეს თეთრგვარდიელთა დივიზიას საბჭოთა საზღვრების დასამუქრებლად. ასეთი ცნობები და განცხადება, სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლების სიტყვით, მიზნად ისახავს მეგობრული ურთიერთობის გაუარესებას იაპონიასა და საბჭოთა კავშირის შორის. შემდეგ მან განაცხადა: „მართალია, მანჯურიაში არის ზოგიერთი თეთრგვარდიელი, რომელიც ამზადებს სახიფათო ინტრიგებს და ეფარება იაპონიის არმიის სახელს. იაპონიის არმია მზად არის, თუ საჭირო იქნება, მიიღოს გადამწყვეტი ზომები ასეთი მოქმედების აღსაკვეთათ. ერთი სიტყვით, როგორც არა ერთხელ ყოფილა ნათქვამი, იაპონიის არმიას არა აქვს განზრახვა გადააქციოს მანჯურია და მონღოლეთი ანტისაბჭოთა კამპანიის ბაზად და ეს კამპანია აწარმოოს თეთრგვარდიელთა დახმარებით".

შვეციის პრესა ამხ. კარახანის განცხადების შესახებ

სტოკჰოლმი, 29 თებერვალი. შვეციის მთელი პრესა აქვეყნებს ამხ. კარახანის განცხადებას იაპონიის ელჩის ხიროტასადმი. მთელი რიგ გაზეთებს ეს ცნობა მოჰყავთ ასეთი სათაურით: „საბჭოებს ემუქრება იაპონიის თავდასხმა — იაპონია მხარს უჭერს თეთრგვარდიელთა გეგმებს. მოსკოვი მოითხოვს ახსნა-განმარტებას" (ათს).

ძლიერი საარტილერიო ბრძოლა ჩაპეიში

შანხაი, 28 თებერვალი. იაპონიის და ჩინეთის წყაროებიდან მიღებული ცნობები ფრონტის მდგომარეობის შესახებ წინანდებურად ეწინააღმდეგებიან ერთი-მეორეს. იაპონელები ამტკიცებენ, რომ მათ დაიკავეს სოფელი ძიან-ვანი, ხოლო ჩინელები აცხადებენ, რომ იაპონელთა იერიშები ძიან-ვანის ხელში ჩაგდების მიზნით, მოგერიებულ იქნა.

სოფელი მიაო ძიან-ძინი კვლავ ჩინელების ხელშია.

იაპონიის არტილერიამ სასტიკი სროლა აუტეხა ზარბაზნებიდან ჩინეთის პოზიციებს ჩაპეიში. 27 თებერვალს, იაპონელების მიერ ჰაერიდან ყუმბარების დაშენის შემდეგ, ჩაპეიში კვლავ გაჩნდა ხანძარი, რომელიც გავრცელდა 4 კვადრატ. მილზე. ხანძარმა ბევრი ადამიანი იმსხვერპლა.

ჩინელები იუწყებიან, რომ შანხაის ფრონტზე მოვიდენ ნანკინის ჯარის მე-7 დივიზიის ნაწილები (ათს).

იაპონიის გენერალური კონსული ბატონობს ტიან-ძინში

შანხაი, 28 თებერვალი. იაპონიის გენე ჩინეთის ხელისუფლებას—დაუყოვნებლივ რალურმა კონსულმა ტიანძინში მოსთხოვა დახუროს ის ჩინური გაზეთი, რომელმაც გამოაქვეყნა კორეის დამოუკიდებელი პარტიის მანიფესტი.

ამასთან ერთად კონსულმა მოითხოვა ბოდიშის ფორმალურად მოხდა და ზომების მიღება ანტიიაპონური მოძრაობის ლიკვიდაციისათვის (ათს).

სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობა

ტოკიო, 28 თებერვალი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით იაპონიის ჟანდარმერიამ შანხაიში იაპონიის გენერალური საკონსულოს მახლობლად დააპატიმრა ცაი-ტინ-კაის ჯარის ბრიგადის უფროსი, რომელიც შეიპარა სეტლმენტის ტერიტორიაზე სამოქალაქო ტანისამოსში (ათს).

იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობა

ლონდონი, 28 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ი აღნიშნავს, რომ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შესდგება: 8 ზედრედნოუტიდან, 30-ღი კრეისერიდან, რომლებიც აგებულია ომის შემდგომ პერიოდში, 100 ახალი ტიპის გამანადგურებლისაგან და 72 წყალქვეშა ნავისაგან.

საჰაერო ფლოტის მხრით იაპონია ჩამოუვარდება მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს (ათს).

ჩინეთის ჯარის მორალური მდგომარეობა მაღალ დონეზეა

შანხაი, 28 თებერვალი. ცაი ტინ-კაიმ (მე-19 კანტონის არმიის სარდალი), უარყო რა ცნობები მე-19 კანტონის არმიის ჯარისკაცებისა და ნანკინის ჯარის მე-88 დივიზიის შეტაკების შესახებ, განაცხადა, რომ ჩინეთის ჯარის მორალური მდგომარეობა მაღალ დონეზეა. მიუხედავად იმისა მას უხდება შეხვედრა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეიარაღებულ იაპონიის ჯართან, დიდძალ აეროპლანებთან და არტილერიასთან.

იაპონელები ავრცელებენ ყალბ ცნობებს ჩინეთის ჯარის ცალკე ნაწილებს შორის მტრული დამოკიდებულების შესახებ და ცდილობენ დაუკარგონ ჩინეთის ჯარს აღფრთოვანება. შემდეგ ცაი ტინ-კაიმ განაცხადა: „ბრძოლის დასაწყისში ჩინეთის ჯარს შეეძლო ხანკოუს რაიონის დაჭერა და იაპონელების გადაყრა ზღვაში. მაგრამ ჩინეთის ჯარი, ემორჩილება რა მთავრობის ბრძანებას, ატარებს მედგარი ბრძოლის ტაქტიკას და არ სურს დაიკავოს უცხოელთა უბნის არც ერთი ნაწილი. (ათს).

პუ-ის გამოცხადება მანჯურიის მმართველად გადადებულია.

ტოკიო, 28 თებერვალი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით პუ-ის გამოცხადება „მანჯურიის სახელმწიფოს" მმართველად გადადებულია 5 მარტამდე (ათს).

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლო კამპანიის ჩატარების გეგმა

პარიზი, 28 თებერვალი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა დაწვრილებითი გეგმა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს საბრძოლო კამპანია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა უახლოესი კვირის განმავლობაში მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაციები. დირექტივა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშაობის გაშლას მუშა ახალგაზრდობაში. ყველა კომუნისტურმა მუნიციპალიტეტებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ანტიიმპერიალისტურ კამპანიაში და მოითხოვონ დეპუტატთა პალატისაგან იმ დახმარების საკითხის დაუყოვნებლივ განხილვა, რომელსაც ფრანგი იმპერიალისტები უწევენ იაპონელთა აგრესიას შორეულ აღმოსავლეთში. კამპანია უნდა დაუკავშირდეს ახალი წევრების ჩაბმას კომპარტიაში, განსაკუთრებით დიდი საწარმოების და ტრანსპორტის ხაზით (ათს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წელი

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებიდან—საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმზე 1932 წლის 22 თებერვალს

მალე ჩვენ ვიდღესასწაულებთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავს. ამ მოვლენას აქვს არა მარტო საშინაო, საბჭოთა მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც. ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის არსებობისა და განვითარების მაგალითზე სჩანს პროლეტარული რევოლუციის, საბჭოთა ხელისუფლების (რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს) ძლიერება ეროვნებათა ურთიერთობის იმ ურთულესი ამოცანების გადაჭრაში, რომელთა გადაწყვეტა არ ძალუძს ბურჟუაზიულ ხელისუფლებას და მის ყველაზე უფრო „მემარცხენე" ნაწილს — ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თუნდაც მეორე ინტერნაციონალის „სოციალისტების" სახით.

ჩვენი პარტიის ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ამიერ-კავკ. ფედერაციის წარმოშობა და მისი პოლიტიკურ-სამეურნეო განმტკიცება.

ფედერაციამ გადასჭრა ის რთული, აწეწილ-დაწეწილი, სისხლში გასვრილი ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხები, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების — მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების დამხობილ რეჟიმისაგან.

ჩვენი პარტიის პოლიტიკამ შექმნა მტკიცე პირობები ამიერ-კავკასიის ხალხთა პოლიტიკური მთლიანობისათვის, მათი სამეურნეო განვითარებისა და კულტურული აყვავებისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით, ფედერაციის, რომელმაც სავსებით გაამართლა თავისი არსებობა არა მარტო როგორც ეროვნული მშვიდობიანობის იარაღმა, არამედ აგრეთვე როგორც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ორგანომ.

ლენინიზმის სისტემაში ფედერაციის საკითხმა განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ოქტომბრის წინა დღეებში. წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია" ლენინმა მთელი თავი უძღვნა ფედერაციის საკითხს.

იქ მან მოიყვანა ციტატა ენგელსის, რომელიც სწერდა:

„ჩემის აზრით, პროლეტარიატს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მთლიანი და განუყოფელი რესპუბლიკის ფორმა. ფედერატიული რესპუბლიკა ჯერ კიდევ ამჟამად საერთოდ და მთლიანად აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი უზარმაზარი ტერიტორიისათვის, როგორიცაა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, თუმცა აღმოსავლეთში იგი უკვე შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა. ფედერაცია პროგრესი იქნებოდა ინგლისისათვის. სადაც ორ კუნძულზე ოთხი ერი ცხოვრობს".

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ბურჟუაზიული ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივმა პროლეტარულმა პოლიტიკამ თავიდან ბოლომდე დაანგრია ერების საპატიმრო, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთი თვით ბატონ კერენსკის და წერეთლის ხელისუფლების დროსაც კი. რუსეთის ეროვნებათა მშრომელი მასების თავისუფლებისაკენ მისწრაფების ჩახშობის ან, უკეთეს შემთხვევაში, მხდალი უნდობლობის პოლიტიკის ნაცვლად, რომელსაც დროებითი მთავრობა ატარებდა დამოკიდებულ ერების მიმართ, საბჭოთა ხელისუფლებამ დასახა და განახორციელა ხალხთა სრული ნდობის აშკარა, პატიოსანი პოლიტიკა, რის შედეგადაც შეიქმნა ამ ხალხთა პატიოსანი და მტკიცე კავშირი რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახით.

„რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია..." (მშრომელ და გაყვლეფილ ხალხის უფლებათა დეკლარაცია—1918 წ. 13 იანვარს).

ეროვნებათა სახალხო კომისარის ამხ. სტალინის მიმართვაში აღმოსავლეთ რესპუბლიკების ერებისადმი ნათქვამი იყო:

„საჭიროა წამოვიღოთ მათგან (ე. ი. ბურჟუაზიულ—თავად - აზნაურულ ზედა ფენებიდან) ავტონომია, წინასწარ გაწმინდოთ ბურჟუაზიული მუწყისაგან და გადავაქციოთ იგი—ბურჟუაზიული ავტონომია საბჭოთა ავტონომიად. საჭიროა ეს ავტონომია ადგილობრივად აგებულ იქნას საბჭოების ბაზაზე და მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ხელისუფლება გახდეს ხალხური და მშობლიური მასებისათვის..."

აი ასეთი შინაარსი მისცა ჩვენმა პარტიამ ფედერაციას, ავტონომიას და ყოფილი ბურჟუაზიული რუსეთის ხალხთა საბჭოთა თვითმმართველობის სხვა ფორმებს. მან განახორციელა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი.

ჩვენი პარტია ყოველთვის ასწავლიდა მასებს, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის, მშრომელთა საბოლოოდ განთავისუფლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კლასობრივი განთავისუფლებული ბრძოლის ინტერესებს და რომ ეროვნული განთავისუფლება შეიძლება იქნეს სრული, მტკიცე და ნამდვილი მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობებში.

ამიერ-კავკასიაში პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე რუსეთში.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა უპასუხეს გააფთრებული წინააღმდეგობით, კონტრრევოლუციით, რეაქციის ყველა ძალების გამოყენებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო იმპერიალიზმის სახით.

ამ პარტიებმა შექმნეს კონტრრევოლუციის მთლიანი ფრონტი საბჭოთა რუსეთის, უკრაინის და სხვა. მუშების და გლეხების წინააღმდეგ და ამიერ-კავკასია გადააქციეს სისხლისღვრის ასპარეზად, მოახდინეს მისი „ბალკანიზაცია". ნაციონალიზმით და შოვინიზმით იყო მოწამლული ყველაფერი „სოციალისტ" ჟორდანიას, ხატისოვის და რასულ-ზადეს „დამოუკიდებელ" რესპუბლიკებში. აღვირახსნილი ზოოლოგიური შოვინიზმი იწვევდა სისხლისმღვრელ ომებს ნაციონალურ რესპუბლიკებს შორის, ხოლო ამ რესპუბლიკების შიგნით სისტემატიურად იმართებოდა სისხლისმღვრელი გალაშქრება ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ. „სოციალისტების" კონტრრევოლუციის მთლიანურმა მახვილმა გადასჭრა ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ-სამეურნეო ორგანიზმის ყველა სახსრები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჯერ აზერბეიჯანში, შემდეგ სომხეთში, ხოლო უფრო გვიან საქართველოში ნიშნავდა ასეთი მხეცობის დასასრულს. დაუყოვნებლივ ბოლო მოეღო გესლიანი შოვინიზმის პარპაშს და სისხლისმღვრელ ნაციონალურ ომებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ პროლეტარულ დიქტატურას შეუძლია აქ განმტკიცდეს და შეასრულოს თავისი ისტორიული დანიშნულება,—გადაიქცეს სოციალისტური მშენებლობის იარაღად, თუ ჩვენ დღის წესრიგში არ დავსვამდით საკითხს მტკიცე კავშირის სახელმწიფო ფორმის შესახებ, ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური დაახლოების და მათი ძალღონის გაერთიანების შესახებ მძიმე ჭრილობების განკურნებისათვის, სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის, იმ სახალხო მეურნეობის, რომელიც სრულ განადგურებამდე მიიყვანა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების რეჟიმმა.

საბჭოთა ამიერ-კავკასიის ხალხთა მთლიანობა წარმოადგენდა იმ ძალას, რომლის საფუძველზე უნდა მომხდარიყო მათი აყვავება ლენინური რუსეთის დახმარებით. საჭირო იყო აღდგენა წარსული მთლიანობის, რომელიც მოსპო კონტრ-რევოლუციამ. საჭირო იყო მთლიანობა უკვე საბჭოთა გადატრიალების საფუძველზე და მედგარი ბრძოლა, მუშაობა, მშენებლობა. ამას მოითხოვდენ ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერესებიც გარეშე ქვეყნებთან ურთიერთობის დროს მოვიგონოთ თუნდაც გენუის კონფერენცია, სადაც ჩვენ უნდა გამოვსულიყავით, როგორც საბჭოთა ამიერ-კავკასიის მთლიანი პოლიტიკური ოჯახი და არა როგორც დაქსაქსული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი მთლიანობა წარმოადგენდა რეალურ ზღუდეს ევროპის იმპერიალისტების გეგმის წინააღმდეგ.

ამგვარად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა ნაკარნახევი იყო, როგორც ამიერ-კავკასიის მშრომელთა ისტორიული მთლიანობით, ისე, უმთავრესად, ჩვენი საშინაო მდგომარეობით და მდგომარეობით მსოფლიო ბურჟუაზიის მიმართ.

ლენინის რუსეთი ჩვენ დაგვეხმარა არა მარტო ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობაში, არამედ აგრეთვე იმ ხანტიკი სასურსათო კრიზისის შენელების საქმეში, რომელიც ჩვენ აქ დაგვხდა. მაგრამ მაშინდელ რუსეთს, რომელიც ინტერვენციის და. მარცხების შემდეგ მთელი ბურჟუაზიული ევროპის, იაპონიის და ამერიკის მხრით განიცდიდა სასტიკ ბლოკადას და ბოიკოტს, არ შეეძლო სისტემატიურად მოეწოდებინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის ყველაფერი, რაც საჭირო იყო. აუცილებლად უნდა გამოგვენახა ახალი დამატებითი წყაროები. საჭირო იყო ამ წყაროებით საერთოდ სარგებლობის სახელმწიფოებრივად მოწესრიგება კონკურენციის გარეშე, რომელიც ყოველ კონკურენტს ერთნაირად აუძლურებს გარეშე მტრის წინაშე.

ამხ. ს. ორჯონიკიძის ინფორმაციის გამო ამხ. ლენინმა 9 აპრილს გამოგზავნა შემდეგი პასუხი:

„მივიღე თქვენი შიფრიანი დეპეშა ამიერ-კავკასიის მძიმე მდგომარეობის შესახებ, ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ზომები, მივეცით ცოტაოდენი ოქრო სომხეთს, დაუდასტურეთ ყოველგვარი დავალებები სასურსათო კომიტეტს. მაგრამ მე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩვენ აქ ძალიან გაჭირვებული ვართ და დახმარებას ვერ გაგიწევთ. დაჟინებით მოგითხოვთ საოლქო-სამეურნეო ორგანოს შექმნას მთელი ამიერ-კავკასიისათვის' განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კონცესიებს, მეტადრე საქართველოში; შეეცადეთ იაფად მოგვცეთ საზღვარგარეთ თესლი და გააფართოვეთ მორწყვა აზერბეიჯანში ბაქოს რესურსების დახმარებით, რათა განვითარდეს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, აგრეთვე შეეცადეთ განავითაროთ საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჩრდილოეთ კავკასიასთან. შეიტყვეთ თუ არა თქვენ და ქართველმა ამხანაგებმა ჩვენი ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით? წაუკითხეთ ეს მათ და ზუსტად მომაწოდეთ ინფორმაცია..."

როგორც ვხედავთ აქ მოცემულია არა მარტო ამიერ-კავკასიის სამეურნეო გაერთიანებაზე გეზის აღების საერთო ხაზი, არამედ აგრეთვე პირდაპირი დირექტივა ამ გაერთიანების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ დაუყოვნებლივ და შეუფერხებლად. მაგრამ ჩვენ ვერ შევსძელით ა.-კავკასიის ეკონომიური გაერთიანების ლენინური პროგრამის დროულად და სავსებით შესრულება. ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციაში, განსაკუთრებით საქართველოს ორგანიზაციაში ყოველნაირად აფერხებდა და აჭიანურებდა სრულ გაერთიანებას, 1921 წლის განმავლობაში ჩვენ შევსძელით მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზების გაერთიანება და შევქმენით გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა უცხოეთის ბაზრებზე გამოსასვლელად.

სომხეთში სამუშაოდ გაგზავნილ ამხ. მიასნიკოვის საშუალებით, 1921 წლის 14 აპრილს ამხ. ლენინმა გამოგზავნა ისტორიული მნიშვნელობის სადირექტივო წერილი: „აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს", რომელშიაც ის იმედს გამოსთქვამდა, რომ „**მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ნაციონალური მშვიდობიანობის ისეთ ნიმუშს, როგორიც არასდროს უნახავს ბურჟუაზიის ბატონობის დროს და როგორიც შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების პირობებში**".

რკინის გზების გაერთიანებამ და საგარეო ვაჭრობისათვის ამიერ-კავკასიის საერთო ორგანოს შექმნამ, უეჭველია, დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ ამასთან ერთად გამოირკვა, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო სამეურნეო გაერთიანება, რომელიც გულისხმობს გაერთიანებას პოლიტიკურს, სახელმწიფოებრივს.

თვითეული რესპუბლიკა განაგრძობდა თავის კარჩაკეტილ ცხოვრებას. თვითეულ მათგანს ჰქონდა თავისი ფულის სისტემა, თვითეული მათგანი გარშემორტყმული იყო საბაჟო და საკონტროლო პუნქტებით და სხვ. გაერთიანებულ რკინის გზებსა და გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობას არ ჰყავდათ პირდაპირი პატრონი. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ორგანოს სახით. საზღვრების საკითხები, საკითხები ერთი რესპუბლიკიდან მეორეში პირუტყვის მომთაბარეობის შესახებ, მოითხოვდენ მუდმივად მომქმედ საბჭოთა ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებანი სავალდებულო უნდა ყოფილიყო.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პარტიული ხელმძღვანელობა რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სახით, რომელსაც მეთაურობდა ამხ. ს. ორჯონიკიძე, ყოველმხრივ ანგარიშს უწევდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი მთლიანობის საჭიროებას, მთლიანობას როგორც ერთმანეთს შორის, ისე დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთანაც, როგორც ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარებისა და ნაციონალური შუღლის აღმოფხვრის მიზნით, ისე სამეურნეო მშენებლობის მიზნისათვისაც შეერთებული ძალების საშუალებით. რკინის გზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება ჩაითვალა ამიერ-კავკასიის ფედერაციის განხორციელების დასაწყისად, იმ ფედერაციის, რაც ასე ნათლად გვიკარნახა ამხ. ლენინმა.

სწორედ საზღვრის გარშემო არსებული „დავის" მოწესრიგების, რკინის გზების გაერთიანებისა და გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის შექმნის საკითხებში ნაციონალ-უკლონიზმი შეეცადა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომორგანიზაციების რიგებში მოეხდინა პირველი გამოსვლა ინტერნაციონალური ბოლშევიკური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამხ. სტალინმა, თავის მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში", რომელიც მან გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე 1921 წლის 6 ივნისს და, სადაც ის შეეხო იმ დაბრკოლებებს, რაც წამოჭრილი იყო სამეურნეო საქმიანობის გაერთიანებისა და სამეურნეო ღონისძიებათა გატარების გზაზე საბჭოთა საქართველოში, საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა აზერბეიჯანში,—მთელი ბოლშევიკური სიმკაცრით დასვა საკითხი, ქართული, სომხური და აზერბეიჯანული ნაციონალიზმის შესახებ, რაც მეტად გაძლიერდა უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში და რაც აფერხებდა გაერთიანების საქმეს".

ის ამბობდა:

„მე მახსოვს 1905—1917 წლები, როცა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საერთოდ მშრომელებს შორის შეამჩნევდით სრულ ძმურ სოლიდარობას, როცა ძმური დამოკიდებულების ჯაჭვები აკავშირებდნენ სომეხ, ქართველ, აზერბეიჯანელ და რუს მუშებს ერთ სოციალისტურ ოჯახში. ეხლა, თბილისში მოსვლის შემდეგ, მე განცვიფრებული დავრჩი ყოფილი სოლიდარობის უქონლობით ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის. მუშებსა და გლეხებს შორის განვითარდა ნაციონალიზმი, გაძლიერდა უნდობლობის გრძნობა სხვა ეროვნების ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტი-ქართული, ანტი-რუსული და სხვა ყოველგვარი ნაციონალიზმს ეხლა ძალზე გაუდგამს ფესვები. ძმური ნდობის ძველი ჯაჭვები დაწყვეტილია ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, საგრძნობლად არის შესუსტებული. ცხადია, ნაციონალისტური მთავრობების სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბეიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკელები) ტყუილად არ ჩაუვლია. ამ ნაციონალისტურმა მთავრობებმა, რომლებიც აწარმოებდნენ თავიანთ ნაციონალურ პოლიტიკას და მუშაობდნენ მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის დასანერგავად, საბოლოოდ საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ თვითეული ეს პატარა მხარე აღმოჩნდა გარშემორტყმული მტრული ნაციონალისტური ატმოსფერის რკალით, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოსა და სომხეთისათვის რუსული პურისა და აზერბეიჯანის ნავთის მიწოდების შეწყვეტა, ხოლო აზერბეიჯანისა და რუსეთისათვის—იმ საქონლის მიწოდების შეწყვეტა, რომელიც იგზავნებოდა ბათუმის საშუალებით. მე აქ არაფერს არ ვამბობ შეიარაღებული შეტაკებებისა (სომხეთ-საქართველოს ომი) და ხოცვა-ჟლეტის (სომეხ-თათართა), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივი შედეგების შესახებ. გასაკვირალი არაა, რომ ასეთ მოწამლულ ნაციონალისტურ პირობებში ძველი ინტერნაციონალური ჯაჭვები დაწყდა, ხოლო მუშების შეგნება მოწამლული აღმოჩნდა ნაციონალიზმის შხამით. და რამდენადაც ამ ნაციონალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მუშებს შორის, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და სამხედრო ძლიერებათა გაერთიანების საქმისათვის... ამიტომ კომუნისტების პირდაპირ ამოცანას საქართველოში წარმოადგენს დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ძველი ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღდგენა, რასაც ადგილი ჰქონდა ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობის წინ, და შექმნა, ამგვარად, ურთიერთისადმი ნდობის ჯანსაღი ატმოსფერისა, რაც საჭიროა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ძლიერებათა გაერთიანებისა და საქართველოს სამეურნეო აღორძინებისათვის".

ნაციონალ-უკლონისტები კი ემყარებოდნენ სწორედ ნაციონალიზმის ნაშთებს მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებში და, განსაკუთრებით, გულისყურს იჩენდნენ ისინი [illegible] ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ინტელიგენციის ნაციონალისტური და შოვინისტური ზრახვებისადმი.

თუმცა დღის ეს ჩვენ სახაცილოდ გვეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ საზღვრების გავლების საკითხები 1921 წელს წარმოადგენდენ საბჭოთა რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის— ოფიციალური წარმომადგენლების სპეციალური „კონფერენციის" განხილვის საგანს, კონფერენციის, რომლის ჩატარებას მისი ნაციონალ-უკლონისტი მონაწილეები ცდილობდნენ დიპლომატიური ტურნირების მთელი რიტუალის შესრულებით. რასაკვირველია, მათ ვერ შესძლეს საკითხის სისწორით გადაწყვეტა და მხოლოდ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების გადაჭრით ჩარევამ ბოლო მოუღო ამ „კონფლიქტს", ისევე, როგორც შემდგომ კონფლიქტებსაც, რომლებსაც აყენებდნენ დღის წესრიგში ნაციონალ-უკლონისტები. კავკასიის ბიუროს იმ პლენუმის გაერთიანებული სხდომის რეზოლუციაში, რომელიც გამართა 1921 წლ. ივნისში რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების წევრებთან ერთად, ჩაწერილი იყო:

„კავბიურო აღნიშნავს ნაციონალიზმისაკენ გადახრის ფაქტებს, რაც გამოიხატა საგარეო ვაჭრობის და რესპუბლიკების ტერიტორიალური დაყოფის შესახებ და აგრეთვე საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმების შესახებ საკითხის გადაჭრაში, და წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებს—სასტიკად ჩააგონონ პარტიის ყველა წარმომადგენლებს, რომ ისინი ამგვარი საკითხების გადაჭრის დროს უნდა ემყარებოდნენ მხოლოდ ამ რესპუბლიკების მშრომელთა მასების ისტორიულ კავშირის ინტერესებს".

ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხი 1921 წლის შემოდგომაზე წამოიჭრა, როგორც გადაუდებელი საკითხი, რომელსაც მტკიცედ გვიკარნახებდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და სამეურნეო ინტერესები.

ბაქოს პროლეტარიატი—ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ეს მოწინავე წინამძღოლი რაზმი, ბაქოს პარტიული ორგანიზაციის მეთაურობით, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციად ითვლება,—იყო ამიერ-კავკასიის ფედერაციის განხორციელების საჭიროების შესახებ საკითხების დასმის მუდმივი ინიციატორი.

ბაქოს სამთამადნო მუშები წარმოადგენდნენ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის იმ პროფესიონალური გაერთიანების საინიციატივო რაზმს, რომელიც მოხდა 1921 წლის შემოდგომაზე კავკასიის საერთო პროფესიონალურ ყრილობაზე, რომელზედაც არჩეულ იქნა პროფესიონალური კავშირების ამიერ-კავკასიის საბჭო. ამაზე უფრო ადრე კი გაიმართა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომკავშირული ორგანიზაციების ამიერ-კავკასიის ყრილობა.

კავკასიის ბიურომ, რომელიც ემყარებოდა პარტიულ მასების აშკარა ნებისყოფას, 1921 წლის სამ ნოემბერს ბაქოში გამართულ პლენუმზე, გამოაქვს რეზოლუცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ.

ამ რეზოლუციაში შემდეგი იყო ნათქვამი:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განკერძოებული სახელმწიფოებრივი არსებობა აუძლურებს მათ კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების წინაშე. მჭიდრო პოლიტიკური კავშირი გახდება მტკიცე გარანტიად კონტრრევოლუციონური ძალების ყოველგვარი თავდასხმებისაგან და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის საზღვრებზე.

პოლიტიკური გაერთიანება საშუალებას მისცემს რესპუბლიკებს ნამდვილად დაამყარონ ერთმანეთს შორის მჭიდრო სამეურნეო კავშირი, რომლის შექმნის ცდებს არა ერთხელ ჰქონია ადგილი. მაგრამ რესპუბლიკების განკერძოება აღრმავებდა ამიერ-კავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, სიღატაკესა და ხალხთა მასების გაჩანაგებას და იწვევდა მთელ რიგ გაუგებრობას რესპუბლიკებს შორის. ამიერ-კავკასია თავისთავად წარმოადგენს ერთ სამეურნეო მთელს და მისი ეკონომიური განვითარება შეიძლება მიმდინარეობდეს ამიერ-კავკასიის საერთო სამეურნეო გაერთიანების ნიშნის ქვეშ.

დასასრულ, მრავალრიცხოვანი სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების არსებობა სამ რესპუბლიკაში აუარებელ ძალასა და სახსარს ნთქავს, ჰქმნის არასაჭირო პარალელიზმს მრავალი ორგანოების მუშაობაში.

ამიტომ ადმინისტრატიული ღონისძიებების საერთო ძალით გატარება სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარ და უმნიშვნელოვანეს დარგებში გააძლიერებს და გააიაფებს საბჭოთა მუშაობას.

ამის გამო კავკასიის ბიურო გადაუდებლ საჭიროებად სთვლის ფედერატიული კავშირის შეკვრას რესპუბლიკებს შორის, პირველ ყოვლისა, სამხედრო, სამეურნეო და საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგებში.

საჭიროდ იქნას ცნობილი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ადმინისტრატიულ-ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის შექმნა" (საკავშირო საბჭო).

კავბიუროს ეს დადგენილება გახდა გამოსავალ პუნქტად იმ დიდი პოლიტიკური კამპანიისათვის, რომელიც ჩატარებულ იქნა ჩვენი პარტორგანიზაციის მიერ ყველა მუშათა ცენტრებში, რაიონებში და გლეხებს შორის. ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეას დადებითად და მხურვალედ შეხვდნენ ყველგან მშრომელი მასები. მასები შემოკრბნენ ამ იდეის გარშემო, შემოკრბნენ პარტიის გარშემო, რომელიც ამ იდეასთან ერთად შეიჭრა მასების გულში.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები შეეცადნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და კერძოდ ლენინი წინააღმდეგი იყვნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის. მაგრამ უკლონისტების ყალბი ცდა, რომ ლენინი ჩაერიცხათ თავიანთ ფრაქციაში, რასაკვირველია, მარცხით დამთავრდა. რა შეიძლებოდა ჰქონოდა საერთო ლენინსა და ცენტრალური კომიტეტს პოლიტბიუროს მისი მეთაურობით, იმ ქართველი უკლონისტების ნაციონალისტურ პოზიციასთან, რომლებმაც იწყეს მენშევიკურ ჰანგებზე მღერა.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში ლენინი მიაქცევდა ჩვენს ყურადღებას იმას, რომ საჭირო იყო გადამჭრელი ნაბიჯი გადაგვედგა წინ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებისაკენ. თუ როგორი იყო ლენინის დამოკიდებულება კონკრეტული საკითხისადმი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, ეს სჩანს ამხ. სტალინის პოლიტიკურ მოხსენებიდან მე-12 პარტყრილობაზე:

„ძირითადი საკითხი ამიერ-კავკასიაში—ეს არის საკითხი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ. ნება მომეცით მე წაგიკითხოთ პატარა დოკუმენტი, რომელშიაც ლაპარაკია რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივის ისტორიაზე ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ.

1921 წლის 28 დეკემბერს ამხ. ლენინი მიგზავნის მე თავის წინადადების პროექტს ამ.-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ. იქ ნათქვამია:

1) **აღიარებულ იქნას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია პრინციპიალურად, აბსოლუტურად სწორად, რაც აუცილებლად უნდა იქნას განხორციელებული**, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკულად განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. **ისეთად, რომელიც მოითხოვს რამდენიმე კვირას განსახილველად, პროპაგანდის გასაშლელად, და ქვევიდან გასატარებლად.**

მე ვწერ წერილს ამხ. ლენინს და ვურჩევ ნუ აჩქარდებით ამ საკითხზე, მოვითმინოთ, მივსცეთ ერთგვარი დრო ადგილობრივ მუშაკებს ფედერაციის გასატარებლად, მე ვსწერ მას:

„ამხ. ლენინ, მე არაფერი მაქვს თქვენი რეზოლუციის საწინააღმდეგო, თუ დასთანხმდებით მიიღოთ შემდეგი შესწორება: ნაცვლად სიტყვებისა, „რომელიც მოითხოვს რამდენიმე კვირას, განსახილველად", 1 პუნქტში ვსთქვათ, „რომელიც განხილვისათვის მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს" და სხვ., თანახმად თქვენი რეზოლუციისა, საქმე ისაა, რომ ფედერაციის „გატარება" საქართველოში „ქვევიდან", „საბჭოთა წესით" რამდენიმე კვირის განმავლობაში არ შეიძლება, ვინაიდან საქართველოში საბჭოები მხოლოდ ეხლა ეწყობა. ისინი ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ამ ერთი თვის წინად საბჭოები იქ სრულად არ არსებობდენ, ამიტომ საბჭოების ყრილობის მოწვევა იქ „რამდენიმე კვირის განმავლობაში" უაზრობა იქნებოდა,—ხოლო ფედერაცია საქართველოს გამოკლებით იქნება ქაღალდზე არსებული ფედერაცია. ვფიქრობ, რომ უნდა გადავდვათ 2-3 თვე იმისათვის, რომ ფედერაციის იდეამ გაიმარჯვოს საქართველოს ფართო მასებში.

სტალინი".

ამხ. ლენინი უპასუხებს:

„მე ვღებულობ ამ შესწორებას".

ერთი დღის შემდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა ამხ. ლენინის, ტროცკის, კამენევის, მოლოტოვის, სტალინის ხმით. ზინოვიევი ამ სხდომას არ დასწრებია. მის ნაცვლად დასწრო მოლოტოვი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პოლიტბიუროს მიერ 1921 წლის დამლევს, როგორც ხედავთ, ერთხმად, ამ დროიდანვე იწყება ქართველი კომუნისტების ჯგუფის ბრძოლა ამხ. მდივანის მეთაურობით ცენტრალური კომიტეტის მიერ ფედერაციის შესახებ მოცემულ დირექტივების წინააღმდეგ".

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის მეთაურობით შემდეგშიაც არა ერთხელ გამოსთქვა სავსებით გარკვეული და დადებითი აზრი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სასარგებლოდ. მაგალითად, 1922 წ. 5 აპრილს ცენტრალურმა კომიტეტმა, ლენინის მონაწილეობით, გამოიტანა ვრცელი დადგენილება საქართველოს კომპარტიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ (მის რიგებში მებრძოლ ნაციონალ-უკლონიზმთან დაკავშირებით), რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ბრძოლა ნაციონალურ მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის და ამიერ-კავკასიის მშრომელი მასების ძმური სოლიდარობა წინანდებურად წარმოადგენს კომუნისტური პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას. კერძოდ, **ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ავალებს ამ.-კავ. კომუნ. პარტიებს აუცილებლად და უყოყმანოდ გაატარონ ცხოვრებაში აღნიშნული გადაწყვეტილება**"...

ამრიგად, უკლონისტების ცდები—უარეყოთ ლენინის მონაწილეობა და მისი გადამწყვეტი მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში უნდა ჩაგვეთვალა პირდაპირ ცილისწამებად. ჩვენ ასეც ვაფასებდით ამ ცდებს ნაციონალ-უკლონისტების, განსაკუთრებით საქართველოს უკლონისტების, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენ ჩავატარეთ ამიერ-კავკასიის ფედერაცია პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირული მასების, კომკავშირის და მშრომელი მასების მეშვეობით და დავრაზმეთ მათი ნებისყოფა მთლიანობისა, ძმობისა და ინტერნაციონალიზმისაკენ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცაკის სრულუფლებიანმა კონფერენციამ 1922 წლის 12 მარტს დააწესა „ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ფედერატიული კავშირი" და შექმნა საკავშირო საბჭო.

ამის შემდეგ ნაციონალ-უკლონისტების ბრძოლა ღებულობს უფრო აგრესიულ ხასიათს, იწყება სისტემატიური შეტევა ამიერ-კავკასიის საკავშირო ორგანოს უფლებებსა და ხელისუფლების წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ნაციონალისტების კარნახით ცხადდება მოგონილი ნაციონალისტური თეზისი იმის შესახებ, რომ „ცოცხალ ორგანიზმებს" წარმოადგენენ მხოლოდ რესპუბლიკები, ხოლო მათი საკავშირო სახელმწიფოებრივი გაერთიანება—ეს არის მარტო შეთანხმებული ორგანო, რომელსაც არა აქვს „იმპერიუმი", ე. ი. რომელსაც არა აქვს არავითარი იძულებითი ძალა:

ამრიგად ამიერ-კავკასიის ფედერაცია მათი მიერ გამოცხადებული იყო მხოლოდ შორიდ. და მას ნაციონალ-უკლონისტები სთვლიდნენ ზედმეტ ზედნაშენად და არასაჭირო ზღუდედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებსა — მათი „დამოუკიდებლობის ატრიბუტებით" — და რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკას შორის, რომლის შორეულ კავშირზე უკლონისტები ფორმალურად არ ამბობდნენ უარს.

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშლილი, შეურიგებელი ბრძოლა აწარმოვს ამ უკლონისტურ მიმდინარეობასთან, რომელიც ხრწნიდა ჩვენი პარტიის საბრძოლო ინტერნაციონალიზმს და რომელიც ლენინის ნაციონალურ პოლიტიკას არსებითად უმორჩილებდა ნაციონალურ ბურჟუაზიას, — მენშევიზმს.

რა ასაზრდოებდა ნაციონალ-უკლონიზმს კომპარტიის რიგებში?

ნაციონალ-უკლონიზმი გაიზარდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე. ნაციონალ-უკლონიზმის მეშვეობით ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ, მენშევიკურმა ტენდენციებმა საკმაოდ მაგრად დააკაკუნეს ჩვენი ბოლშევიკური პარტიის კარებზე.

„ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კერძო კაპიტალი ასაზრდოებს და ზრდის ქართულ, თურქულ, უზბეკურ და სხვ. ნაციონალიზმს" — სთქვა ამხ. სტალინმა მე-12 ყრილობაზე.

კერძოდ, ქართული ნაციონალიზმი გაიზარდა არა იმდენად იმ დიდმპყრობელური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციებიდან, რომლის ყოველგვარ გამოხატულებასთან კავბიურო და რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტები აწარმოებდენ შეურიგებელ და დაუნდობელ ბრძოლას, — რამდენადაც შეტევითი ტენდენციებიდან იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინათ თავისთვის, „ქართველი ერისათვის" ის პრივილეგიური მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის, რომელიც შეიძლება შექმნილიყო თუნდაც ისეთი უმნიშვნელოვანესი მთავარი პუნქტების „დაპყრობის" შედეგად, როგორიცაა თბილისი და ბათუმის ნავთსადგური.

ამ საკვანძო პუნქტების დაუფლებით ნაციონალ-უკლონიზმს მიეცემოდა მრავალი შესაძლებლობა განევითარებია თავისი პრივილეგიები საბჭოთა აზერბეიჯანის ხარჯზე, საბჭოთა სომხეთის ხარჯზე მაგრამ ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა კომუნისტების განსაზღვრული ჯგუფის „შეცოდებას" არა მარტო ამ მხრით. ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა ნახევრად მენშევიკური იდეოლოგიის და პრაქტიკის საკმაოდ მრავალფეროვან სისტემას. საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ ისეთი დეკრეტების გამოცემის ფაქტები, როგორიცაა: ქ. თბილისის მოსახლეობის განტვირთვა, რომელიც გადაიქცეოდა ყველა „მოსულების", პირველ რიგში კი, რასაკვირველია, სომხების განდევნად; „ველური დეკრეტების" ფაქტი,—ამხ. სტალინის სიტყვით,—კორდონების შესახებ, რომლის ძალითაც საქართველო ჰკეტავდა თავის საზღვრებს საბჭოთა რესპუბლიკების მხრითაც კი; ქვეშევრდომობის შესახებ გამოცემული დეკრეტი, რომლის მიხედვით ქართველი ქალი თუ ის ცოლად გაჰყვებოდა უცხოელს, ჰკარგავდა საქართველოს ქვეშევრდომობის უფლებას; ბათუმის ნავთის რეზერვუარების დენაციონალიზაციას და მათი „სტანდარტ ოილისათვის",—იმპერიალისტური კონცერნისა და საბჭოთა ნავთის, საბჭოთა წყობილების ამ შეურიგებელი მტრისათვის გადაცემის ფაქტი; ნაციონალ-უკლონისტების დასავლეთისაკენ ეკონომიური ორიენტაციის ფაქტი, „სტამბოლის იაფ საქონლისაკენ" ორიენტაციის საბაბით; ნაციონალ-უკლონისტების გააფთრებული წინააღმდეგობა რევოლუციონურ-აგრარული პროგრამის გატარებისათვის შემდეგი მოსაზრებებით: რომ ჯერ ერთი საქართველოში არ არსებობენ მიწათმფლობელი მემამულეები და მეორე—ნაციონალ-უკლონისტებს მეტად აწუხებდათ იმათი ბედი, ვინც განდევნილი უნდა ყოფილიყო თავიანთი კარ-მიდამოებიდან' ქართველი უკლონისტების დაჟინებითი ცდები—შეექმნათ დამოუკიდებელი მრავალრიცხოვანი (პირველ ხანებში არა ნაკლები 40.000 კაცისა) საქართველოს წითელი არმია, რომელიც საერთო საბჭოთა წითელი არმიის რევოლუციონურ საბჭოს დაექვემდებარებოდა მხოლოდ საბრძოლო, ოპერატიული მოქმედების საკითხებში და სხვა.

ნაციონალ-უკლონიზმის სახით ჩვენს წინაშე იდგა საბჭოთა ფრონტის შესუსტების საფრთხე, ბურჟუაზიული წყობილების რესტავრაციის გაადვილების საფრთხე, ინტერვენციის გაადვილების საფრთხე. ტყუილად კი არ გამოხმაურებია თანაგრძნობით ემიგრანტ-მენშევიკების ორგანო „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ი ნაციონალ-უკლონიზმის გამოსვლებს და მის „სამშობლო საქმეებს". ამის შესახებ ამხ. სტალინმა მეტად მოხდენილად სთქვა იმავე ყრილობაზე, რომ „მეთევზე მეთევზეს შორიდან ხედავს". ტყუილად კი არ გამოუშვიათ მაშინ თბილისში მენშევიკებს პროკლამაცია, რომელშიაც ეარშიყებოდნენ ნაციონალ-უკლონისტებს და ხოტბას ასხამდნენ მათ ერთგვარ ბლოკს ამ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებმაც „გაჰყიდეს სამშობლო". ტყუილად კი არ ცდილობდა საზღვარგარეთელი მენშევიკების ემისარი ნოე ხომერიკი, რომელიც გამოგზავნილი იყო საქართველოში აჯანყების მოსაწყობად, როგორც ეს გამოაშკარავდა დაპატიმრების დროს მისთვის ჩამორთმეულ წერილობით საბუთებში, ეგრეწოდებულ ქართველ საზოგადო მოღვაწეების მეშვეობით, დაემყარებია კონტაქტი ქართველ უკლონისტებთან.

ა.-კ. პარტიულმა ორგანიზაციამ ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით განმანადგურებელი ლახვარი ჩასცა ამ ნახევრად მენშევიკურ გადახრას ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. ა.-კ. პარტიული ორგანიზაციები არ ასუსტებდნენ ყურადღებას და ბრძოლას დიდმპყრობელური შოვინიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ და ამავე დროს თავიანთ მოვალეობად სთვლიდნენ გაენადგურებინათ საკუთარ რიგებში გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ, ნაციონალ უკლონიზმი. ამ ბრძოლის შედეგად, რომელიც ძლევამოსილად ჩატარდა ამიერ-კავკასიის მთელ ორგანიზაციაში, ჩვენ უზრუნველვყავით ა.-კ. ფედერაციის შემდგომი განვითარება და 1922 წლის დამლევს გადავდგით შემდეგი ნაბიჯი ა.-კ. სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნისაკენ. ფედერაციული კავშირიდან—მთლიანი ფედერატიული რესპუბლიკისაკენ, სადაც დაცულია ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა.

ეს არის ბოლშევიზმის მონაპოვარი ჩვენს რესპუბლიკებში, ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება, ეს არის მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცება ა.-კ. რესპუბლიკებში.

ა.-კ. ფედერაცია გადაიქცა ა.-კ. ხალხთა ნაციონალურ მშვიდობიანობის, მათი ძმური დაახლოების, მთელი ძალღონის—პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო ძალღონის—გაერთიანების მძლავრ იარაღად ყველა სიძნელეების დაძლევისა და მეურნეობის აღორძინების და მისი განვითარებისათვის სოციალიზმის გზით.

ა.-კ. ფედერაცია, როგორც მშვიდობიანობის და ა.-კ. რესპუბლიკების საერთო ძალების სოციალისტური განვითარების ორგანო სარგებლობდა და სარგებლობს საბჭოთა ამიერ-კავკასიის პირდაპირი მტრების ბოროტი ყურადღებით, მაგრამ იგი ამავე დროს შეადგენდა და შეადგენს სხვადასხვა ჯურის და სხვადასხვა ფორმაციის ოპორტუნისტების ყურადღების მთავარ საგანს. ეს ოპორტუნისტებმა თავიანთი თავი გამოააშკარავეს ჯერ კიდევ პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე, როცა მათ სცადეს, თუმცა უშედეგოდ, განმტკიცებინათ ქართველი უკლონისტების პოზიცია, რომლებმაც ამ ყრილობაზე სასტიკი დამარცხება იგემეს. ამ ყრილობიდან უკლონისტები დაბრუნდენ შერცხვენილი და განადგურებული. ამის შემდეგ უკლონისტების მეტად მნიშვნელოვანმა ნაწილმა იარაღი დაჰყარა და გაბედული ნაბიჯები გადადგა პარტიისაკენ იმ მიზნით, რომ გათქვეფილიყო მასში.

მაგრამ ნაციონალ-უკლონიზმის რეციდივები მეორდებოდა. მათ ადგილი ჰქონდა საქართველოში, ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანის კომპარტიაში ეგრედწოდებული „ხანბუდაგოვშჩინის" სახით, მაგრამ განსაკუთრებული გააფთრებული იერიში მიიტანა ა.-კ. ფედერაციაზე ე. წ. ტროცკი-ზინოვიევის გაერთიანებულმა ოპოზიციამ ამ „მემარცხენე" ოპოზიციამ თავისი რიგების გასაძლიერებლად პირდაპირი ბლოკი შეკრა უაღრესად მემარჯვენე პირწავარდნილ ქართველ ნაციონალ-უკლონისტებთან და თავის პლატფორმაში იერიში მიიტანა ა.-კ. ფედერაციაზე; ამ მიზნით იგი ავრცელებდა ცილისწამებას მის შესახებ და ხოტბას ასხამდა ნაციონალ-უკლონისტებს, და ეს გასაგებიცაა „ხელი ხელს ბანს და ორივე პირს".

საკმარისია მოვიყვანოთ ტროცკი-ზინოვიევის ოპოზიციის პლატფორმის ასეთი თეზისი:

„დიდმპყრობელურ შოვინიზმზე დაყრდნობილმა ბიუროკრატიზმმა შესძლო საბჭოთა ცენტრალიზაცია გადაექცია ეროვნებათა შორის ჩინოვნიკური ადგილების განაწილებისათვის შეხლა-შემოხლის წყაროდ (ა.-კ. ფედერაცია), შესძლო გაეფუჭებინა დამოკიდებულება ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის".

ხედავთ, როგორი „სისწორითაა" შეფასებული ის, თუ რა მოუტანა ა.-კ. ფედერაციამ ამიერ-კავკასიის ხალხებს.

ტროცკის და ზინოვიევს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ დაენახათ ა.-კ. ფედერაციაში „შეხლა-შემოხლა ჩინოვნიკური ადგილების განაწილებისათვის ეროვნებათა შორის"?, მაგრამ მათ, ისე როგორც მათ მოკავშირე ქართველ უკლონისტებს, სურდათ დაენახათ ეს შეხლა-შემოხლა როგორც ა.-კ. ფედერაციის შესუსტებისა და დაშლის დასაწყისი. ანტილენინური ოპოზიცია, რომელიც ნამდვილად ხედავდა ა.-კ. ფედერაციის თანდათან მტკიცე ძალას, მის რევოლუციონურ გამართლებას და მთელი წლების განმავლობაში დამტკიცებულ მიზანშეწონილობას, ცდილობდა შეძლებისდაგვარად შეერყია ამ ფედერაციის საფუძვლები და სიმძლავრე, ამიტომ იმავე პლატფორმაში ისინი არაპირდაპირ გვირჩევდენ მის ლიკვიდაციას, ისინი მოითხოვდენ:

„ბიუროკრატიული შუამავლობის შემცირებას ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის ა.-კ. ფედერაციის გამოცდილების შემოწმებას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეეფერება ის ა.-კ. ეროვნებათა სამეურნეო და კულტურული განვითარების ინტერესებს"...

მაგრამ გაერთიანებული ოპოზიციის საერთო შეტევას არავითარი ზიანი არ მიუყენებია ა.-კ. ფედერაციის სიმაგრისათვის, რომელიც ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების იარაღის როლს ასრულებდა და ასრულებს.

რა შეადგენს ნაციონალური საკითხის კლასობრივ საფუძველს ლენინური გაგებით?—სწორი ურთიერთობის დამყარება ყოფილი გაბატონებული ერის პროლეტარიატსა და იმ ეროვნებათა მშრომელებს შორის, რომლებიც წინად დაჩაგრულნი იყვნენ და რომლებიც რუსეთში უმთავრესად წარმოადგენდნენ „გლეხურ ერებს". ეს უნდა გამოიხატებოდეს იმ ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის აღმოფხვრაში, რომელიც არსებობდა გაბატონებულ ერებსა და დამორჩილებულ ერებს შორის, მოწინავე და ჩამორჩენილ ერებს შორის. ამ მხრით დამოკიდებულება რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკასა, ხოლო შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირსა და ა.-კ. ერებს შორის დამყარდა მართლაც „უმაგალითო და შეუძლებელი" ყოველ ბურჟუაზიულ და ყოველ „დემოკრატიულ" წყობილების დროს. მხოლოდ პროლეტარული დემოკრატიის წყობილებას, მხოლოდ მომქმედ მარქსიზმ-ლენინიზმის ქვეყანას შეეძლო ასეთი ურთიერთობის სისტემის შექმნა და განვითარება, მხოლოდ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე იყო შესაძლებელი ასეთი ურთიერთობის შექმნა და განმტკიცება. მაგრამ ა.-კ. შიგნით ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკა გამოხატულებას პოულობს სხვა მხრითაც: ა) მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობის საფუძველზე ძირითად ეროვნებათა თანასწორობის განმტკიცება როგორც ერთმანეთს შორის, ისე ეროვნულ უმცირესობებთან, რომელთაც მოწყობილი აქვთ ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეულები, ან რომლებიც გაფანტულნი არიან ძირითადი ეროვნების ამა თუ იმ რესპუბლიკაში. ბ) სახელმწიფოებრივი გაერთიანება ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა საერთო ძალღონით დაცვისათვის, უფრო ნაყოფიერი სამეურნეო მშენებლობისათვის, სოციალიზმის საერთო ძალღონით მშენებლობისათვის მთლიანი საბჭოთა კავშირის ა.-კ. ფრონტზე.

გამართლა თუ არა ა.-კ. ფედერაციამ—ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ამ სახელმწიფოებრივმა განსახიერებამ—თავისი დანიშნულება? გადაიქცა თუ არა იგი ნაციონალურ მშვიდობიანობის და ა.-კ. ხალხთა სამეურნეო აღორძინებისა და განვითარების მძლავრ იარაღად სოციალიზმის მშენებლობისათვის? რა თქმა უნდა, კი. ა.-კ. ფედერაციამ სავსებით და მთლიანად გაამართლა ის იმედები და დანიშნულება, რომლითაც ჩვენ ვუკავშირებდით მას, როცა მისი შექმნისათვის ვიბრძოდით, როცა მას ვქმნიდით.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია დღეს, პირველი ათი წლისთავზე, სრულიად არ ჰგავს იმას, რასაც წარმოადგენდა ამიერ-კავკასია, როცა აქ აღვმართეთ საბჭოთა ხელისუფლების დროშა, ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური მთლიანობის დროშა.

ეროვნული მშვიდობიანობა სრულიად ურყევია. კონფლიქტები საზღვრების გამო რესპუბლიკებს შორის ისტორიას ჩაბარდა. უდიდესი ნაბიჯია გადადგმული წინ ნავთის, ბამბის, საერთოდ ტექნიკური კულტურების, ელექტროფიკაციის და ირიგაციის განვითარებაში. მთელი მრეწველობა და ტრანსპორტი საგრძნობლად გაიზარდა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე. ბევრად გაიზარდა მათი ხვედრითი წონა საკავშირო მრეწველობაში. ფართოდ გაიშალა სოფლის მეურნეობის, დიდათ წაიწია წინ მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ. მაგრამ ჩვენ დავიგვიანეთ და თავის დროზე ვერ მოვაბრუნეთ ა.-კ. ფედერაციის საქმე უშუალო მონაწილეობის მისაღებად სოციალისტურ მშენებლობაში ფედერაციის მტკიცე სამეურნეო ბაზაზე. ეს მობრუნება უნდა მოგვეხდინა ჯერ კიდევ რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისში 1927 წლიდან. ამ დროს ამხ. სერგო აქ უკვე აღარ იყო.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივაში (1929 წლის ნოემბერი) საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ ნათქვამია:

„სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდის რთული ამოცანები, მრეწველობის ზრდა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა დაჟინებით მოითხოვენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი როლის ძალზე გაძლიერებას. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოებმა, რომლებიც პირველ პერიოდში უმთავრესად პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ, რომლებმაც უზრუნველყვეს ამიერ-კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების წარმატებით განვითარება, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და ეროვნული მშვიდობიანობის დამკვიდრება,—ახლანდელ პერიოდში თავიანთი ძალღონე უნდა მოახმარონ სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობას ნაციონალურ რესპუბლიკებში, მათ ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ და სოციალურ გარდაქმნას. ამისათვის საჭიროა განმტკიცდეს ამიერ-კავკ. ფედერაციის სამეურნეო ბაზა, განხორციელდეს ამიერ-კავკ. მთელი სამეურნეო მშენებლობის ნამდვილი ხელმძღვანელობა, განმტკიცდეს ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიეცეს მას საკონტროლო-ოპერატიული ფუნქციები მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში და რესპუბლიკათა სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოების ხელმძღვანელობის ხაზით, გარდაიქმნას ა.-კ. საგეგმო ორგანოების სისტემა იმგვარად, რომ სახ. მეურნეობის ძირითად დარგებს გეგმავდეს ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია სათანადოთ შეიცვალოს ამიერ-კავკ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს როლი და შეიქმნას ფედერაციის მიწსახკომი ხელმძღვანელობის გასაწევად ყველა ძირითადი ღონისძიებებისათვის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის დარგში.

ნაცრესპუბლიკების მიმართ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოების ხელმძღვანელობის ეს გაძლიერება უნდა მოხდეს ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალი ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლასთან ერთად".

ცენტრალური კომიტეტის ამ დირექტივასთან შეთანხმებით გარდაიქმნა ამიერ-კავკ.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ამხ. სტალინის წერილი ლენინისადმი

სოლვიჩეგოდის გადასახლებიდან (1910 წ.) *)

ქვემოთ დაბეჭდილი ამხ. სტალინის წერილი ჩვენი პარტიის ისტორიის იმ პერიოდს შეეხება, როდესაც შავ რეაქციასთან და კავშირებით, რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებასთან, მასიური ბრძოლის დაცემასთან, ორგანიზაციების დაშლასთან, რენეგატობასთან, პარტიიდან ინტელიგენციის გაქცევასთან დაკავშირებით, ლენინს (ბოლშევიკებს) უსასტიკესი ბრძოლის წარმოება მოუხდა ორ ფრონტზე მარჯვნივ—ლიკვიდატორების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდენ ლენინურ რევოლუციონურ პარტიის არსებობის საჭიროებას და ყოველმხრივ აფურთხებდენ და ქოლავდენ მას და მარცხნივ—ლიკვიდატორ - ოტზოვისტების (ვპერიოდოვცების) წინააღმდეგ, რომლებსაც არ ესმოდათ ლეგალური შესაძლებლობათა გამოყენების საჭიროება, და აგრეთვე შემარიგებლობის წინააღმდეგ თავის საკუთარ რიგებიდან (კამენევი, რიკოვი, ნოგინი და სხვ.). ამ ბრძოლას აწარმოებდა ლენინი (ბოლშევიკები) არალეგალური პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ყველა ნამდვილი პარტიული ელემენტების პარტიული დროშის გარშემო დარაზმვისათვის. პარტიის მთლიანობის განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის ლენინს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, ნაწილობრივ, მენშევიკ პარტიულებთან (პლეხანოველებთან) დაახლოება, რომლებსაც იმ დროს მიჰყვებოდა მუშების ზოგიერთი ნაწილი, და რომლებიც ბრძოლას აწარმოებდნენ ლიკვიდატორებთან, მაგრამ ლენინს პლეხანოველებთან ეს დაახლოება წარმოდგენილი ქონდა არა როგორც უპრინციპო ბლოკი, როგორც ეს ჩაიდინა „შემარიგებლური ფრაზის გმირმა", „ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების ნაფიცმა ვექილმა"—ტროცკიმ, რომელმაც თავისი ყალბი ლოზუნგით—„მთლიანობა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს"—შეთითხნა თავისი ბლოკი სხვადასხვაგვარ ელემენტებისაგან. პლეხანოველებთან შეთანხმება ლენინს წარმოდგენილი ქონდა, როგორც „შეთანხმება პარტიისა და პარტიულობისათვის ბრძოლის, ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე, ყოველგვარ კომპრომისის, ტაქტიკურ და სხვა უთანხმოებათა ყოველგვარი მიჩქმალვის გარეშე პარტიული ხაზის ფარგლებში" (14 ტომი, 208 გვ.).

ლენინელების პლეხანოველებთან ბლოკის და აგრეთვე უპრინციპო ტროცკისტულ ბლოკს—„სინთეზისა" და ამალგამის ბლოკის ნათელ დახასიათებას იძლევა ამხ. სტალინის ეს წერილი.

ტროცკისა და ზინოვიევის ანტიპარტიული ბლოკი (1926—28 წ.), რომელიც აგრეთვე წარმოადგენდა უპრინციპო ბლოკის ერთ-ერთ ნათელ ნიმუშს, ცდილობდა, თავის დროზე, ცილი დაეწამებია ლენინისათვის, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ლენინს საერთოდ დასაშვებად მიაჩნდა ბლოკების არსებობა პარტიაში. ამხ. სტალინმა მაშინათვე საკადრისი პასუხი გასცა ზინოვიევის ამ ცილისწამებას:

„...ამხ. ზინოვიევის განცხადებას საერთო არაფერი აქვს ლენინის პოზიციასთან. ლენინს არასოდეს არ მიაჩნდა დასაშვებად ბლოკების არსებობა პარტიაში. ლენინი მხარს უჭერდა მხოლოდ პრინციპიალურ და რევოლუციონურ ბლოკს მენშევიკების ლიკვიდატორებისა და „ოტზოვისტების" წინააღმდეგ. ლენინი ყოველთვის იბრძოდა უპრინციპო და ანტიპარტიული ბლოკის წინააღმდეგ. პარტიაში. ვინ არ იცის, რომ ლენინი სამი წლის განმავლობაში იბრძოდა ტროცკის „აგვისტოს ბლოკის" წინააღმდეგ. მასზე სრულ გამარჯვებამდე, როგორც უპრინციპო და ანტიპარტიული ბლოკის წინააღმდეგ. ილიჩი არასოდეს არ უჭერდა მხარს ყოველგვარ ბლოკს. ილიჩი მხარს უჭერდა მხოლოდ პრინციპიალურ ბლოკებს პარტიაში, ისეთ ბლოკს, რომლებიც მიზნად ისახავს პარტიის განმტკიცებას ლიკვიდატორების, მენშევიკების, მერყევი ელემენტების წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის ისტორიამ იცის ლენინელების ასეთი ბლოკი პლეხანოველებთან (ეს იყო 1911—12 წ.), ლიკვიდატორების ბლოკის წინააღმდეგ, როდესაც პარტიის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა „აგვისტოს ბლოკი", რომელშიაც შედიოდა პოტრესოვი და სხვა ლიკვიდატორები, ალექსინსკი და სხვა „ოტზოვისტები" რომლებსაც სათავეში უდგა ტროცკი. იყო ერთი ბლოკი, „აგვისტოს ბლოკი", უპრინციპო ბლოკი, ავანტიურისტული და იყო მეორე ბლოკი, ლენინელების ბლოკი პლეხანოველებთან, ე. ი. რევოლუციონურ მენშევიკებთან (მაშინ პლეხანოვი რევოლუციონური მენშევიკი იყო). აი როგორი ბლოკი მიაჩნდა ლენინს დასაშვებად. და ჩვენც ყველანი ვიღებთ ასეთ ბლოკს". (კრებული „ოპოზიციის შესახებ", 332 გვ.)

ქვემოდ მოთავსებულ წერილის დედანი არ არის ნაპოვნი, მისი ასლი აღმოჩნდა ვოლოგდის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს საქმეებში. წერილი დანიშნული იყო ლენინისათვის, რომელიც იმ დროს პარიზში იმყოფებოდა, მაგრამ გაგზავნილი იყო ვინმე სემიონ ველტმანის მისამართზე, რომელიც იქ მხოლოდ გადამცემ ინსტანციის როლს ასრულებდა.

1910 წ. 31 დეკემბერი (ძველი სტილით).

ამხ. სემიონ! გუშინ ამხანაგმა გადმომცა თქვენი წერილი. უწინარეს ყოვლისა—მხურვალე სალამი ლენინს, კამენევს და სხვ. ხოლო შემდეგ შენი წერილის შესახებ და საერთოდ „წყეულ საკითხებზე".

ჩემის აზრით, ბლოკის (ლენინი-პლეხანოვი) ხაზი ერთად-ერთი და ნორმალურია: 1). ეს ხაზი, მხოლოდ ეს ხაზი უპასუხებს რუსეთში მუშაობის ნამდვილ ინტერესებს, რომელიც მოითხოვს ყველა ნამდვილი პარტიული ელემენტების შემჭიდროებას; 2) ეს, მხოლოდ ეს დააჩქარებს ლეგალური ორგანიზაციების ჩაგვრისაგან განთავისუფლების პროცესს, მხოლოდ ეს გათხრის უფსკრულს მუშა-მეკებსა[1] და ლიკვიდატორებ შორის, გაფანტავს და გაანიავებს უკანასკნელებს. ბრძოლა გავლენისათვის ლეგალურ ორგანიზაციებში წარმოადგენს უსაჭირბოროტეს ამოცანას, აუცილებელ ეტაპს პარტიის აღორძინების გზაზე, ხოლო ბლოკი კი წარმოადგენს ერთად-ერთ საშუალებას ასეთი ორგანიზაციების გასაწმენდათ ლიკვიდატორობის ნაგავისაგან. ბლოკის გეგმაში მოსჩანს ლენინის ხელი—ის ჭკვიანი ვაჟკაცია და იცის სად იზამთრებენ ხოლმე კიბოები. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ბლოკი კარგია. ტროცკისტული ბლოკი—(ის „სინტეზს" უწოდებდა)—ეს დამპალი უპრინციპობა, მანილოვისებური ამალგამა მრავალგვარ პრინციპებისა, უპრინციპო კაცის უილაჯო წუხილია „კარგ" პრინციპზე. საგნების ლოგიკა უაღრესად პრინციპიალურია თავისი ბუნებით, და ის ვერ მოითმენს ამალგამებს. ლენინ-პლეხანოვის ბლოკი იმიტომაა ჯანსაღი, რომ ის უაღრესად პრინციპიალურია, რომ ის აგებულია შეხედულებათა მთლიანობაზე პარტიის აღორძინების გზების საკითხებში. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ეს ბლოკია და არა გაერთიანება,—სწორედ ამის გამო ბეკებს[2] უნდათ თავიანთი ფრაქცია. ადვილი შესაძლებელია, რომ ბეკები მუშაობის მსვლელობაში საბოლოოდ მოიმხრობენ პლეხანოველებს, მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებელია. ძილი და ასეთი გამოსავლით დაიმედება, თუნდაც ეს იყოს უაღრესად მოსალოდნელი, ჩვენ ყოველ შემთხვევაში არ შეგვეფერის. რაც უფრო შემჭიდროებულად იმოქმედებენ ბეკები, რაც უფრო დარაზმულად გამოვლენ ისინი, მით უფრო მეტი შანსები იქნება მათი გადმობირებისათვის. ჩვენ ამის გამო შეუნელებლად უნდა ვჩედდეთ ყველა გრდემლზე. „ვპერიოდოვცების" შესახებ არაფერს ვამბობ, ვინაიდან ისინი ამჟამად უფრო ნაკლებ საინტერესონი არიან, ვიდრე ლიკვიდატორები და პლეხანოველები. თუ ოდესმე მოვიდენ ჭკუაზე—ხომ, რასაკვირველია, კარგია, თუ არა და—ღმერთი იყოს მათი მწყალობელი, დეე იხარშონ თავიანთ საკუთარ წვენში.

ასე ვფიქრობდი მე უცხოეთის შესახებ. მაგრამ ეს არაა ყველაფერი და არც მთავარი. მთავარია მუშაობის მოწყობა რუსეთში. ჩვენი პარტიის ისტორია გვიჩვენებს, რომ უთანხმოების საკითხები წყდებიან არა კამათში, არამედ, უმთავრესად, მუშაობის მსვლელობაში, პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების მსვლელობაში. ამის გამო ჩვენი სადღეისო ამოცანაა—რუსული მუშაობის მოწყობა მკაცრად განსაზღვრულ პრინციპის გარშემო. ლიკვიდატორები უცბად გაერკვენ საქმეში, (ყნოსვა მათ ძალიან განვითარებული აქვთ) და დაიწყეს მიცოცება (უკვე მიუცოცდენ კიდეც) ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებთან და, თურმე, აქვთ კიდეც თავიანთი არალეგალური რუსული ცენტრი, რომელიც მართავს მუშაობას. ჩვენ კი ისევ „ვემზადებით", ვანავარჯიშებთ ყოფნას რეპეტიციის სტადიაში. ჩემის აზრით ჩვენთვის მორიგ ამოცანას, რომელიც არ ითმენს დაყოვნებას, წარმოადგენს ცენტრალური (რუსული) ჯგუფის მოწყობა, რომელიც გააერთიანებს არალეგალურ, ნახევრად ლეგალურ და ლეგალურ მუშაობას პირველ ხანებში მთავარ ცენტრებში (პიტერი, მოსკოვი, ურალი, სამხრეთი). მიეცით მას როგორიც სახელწოდებაც გინდათ—„ცეკას რუსული ნაწილი" თუ „დამხმარე ჯგუფი ცეკასთან"—ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ასეთი ჯგუფი საჭიროა, როგორც ჰაერი, როგორც პური, ამჟამად ადგილებზე მუშაკებს შორის გამეფებულია გაურკვევლობა, მარტოობა, მოწყვეტილობა, ყველას ხელები ჩამოშვებული აქვს. ხოლო ამ ჯგუფს შეეძლო გამოეცოცხლებია მუშაობა, კავშირი გაება მათ შორის და შეეტანა მათში გარკვეულობა. ხოლო ეს კი გზას გაგვიხსნიდა ლეგალურ შესაძლებლობათა ნამდვილად გამოყენებისაკენ. აქედან, ჩემის აზრით, უნდა დაიწყოს პარტიულობის აღორძინების საქმე. კარგი იქნებოდა მოგვეწყო იმ მუშაკების წინასწარი თათბირი, რომლებმაც მიიღეს პლენუმის [3] გადაწყვეტილებანი, რასაკვირველია, ცეკას ხელმძღვანელობით. მაგრამ ყველაფერი ეს ცენტრალურ დაწესებულებათა [4] „რეფორმის" შემდეგ და იმ პირობით თუ პლეხანოველები თანხმობას განაცხადებენ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ თათბირმა მოგვცეს კიდევ უფრო შესაფერი პირობები ზემოთხსენებულ ცენტრალურ ჯგუფისათვის. ასეთი თათბირის მოწყობა სასარგებლოა სხვა მრავალი მხრითაც. ხოლო უნდა ვიმოქმედოთ გადაუხრელად და დაუნდობლად და არ უნდა შევუშინდეთ არავითარ მითქმა-მოთქმას ლიკვიდატორების, ტროცკისტების, „ვპერიოდოვცების" მხრით. თუ პლეხანოველები და ლენინელები შემჭიდროვდებიან რუსეთში მუშაობის ნიადაგზე, მათ შეუძლიათ ყურადღება არ მიაქციონ რაიმე მითქმა-მოთქმას. ასე ვფიქრობ მე რუსეთში მუშაობის შესახებ.

ეხლა ჩემ თავზე. მე დამრჩა ექვსი თვე [5] ვადის გათავებისთანავე მთლიანად მივცემ მუშაობას. თუ მუშაკების საჭიროება მართლა მწვავედაა საგრძნობი, მაშინ მე შემიძლია დაუყოვნებლივ მოვიხსნა [6] „მისლი" [7] № 1 წავიკითხე, წარმოდგენილი მაქვს რამდენ გარკვეულობას და სიმხნევეს შეიტანს მუშებში თუნდაც მარტო გუშინდელი მოწინააღმდეგეების ერთად გამოსვლის ფაქტი, როგორი არევ-დარევას და ქაოსს დასთესს ლიკვიდატორთა რიგებში. და ყოველი წესიერი ადამიანი იტყვის, რომ ეს არ იქნება ცუდი.

გადასახლებაში წესიერი ხალხია და ძალიან კარგი იქნებოდა მოგვეწოდებინა მისთვის პერიოდული არალეგალური გამოცემები. გამოგზავნეთ „სოციალ-დემოკრატი" [8] № 7 და შემდეგ, და აგრეთვე „სოციალდემოკრატ"-ს „დამატება", ჩვენ არა გვაქვს „რაბოჩაია გაზეტა" [9] არც პირველი და არც მეორე ნომერი, არა გვაქვს არც „გოლოს სოციალ-დემოკრატა"[10] „ზვეზდა"[11] უნდა მივიღოთ. მისამართები" ამანათებისათვის: 1) სოლვიჩეგოდსკი, ვოლოგდის გუბერნია ივანე ისაკის-ძე ბოგომოლოვს 2) სოლვიჩეგოდსკი, ვოლოგდის გუბერნია, პეტრე მიხეილის-ძე სერაფიმოვს. მისამართი ჩემთან მიმოწერისათვის; სოლვიჩეგოდსკი. ვოლოგდის გუბ., გრიგოროვის სახლი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ვოზნესენსკის.

ამხანაგური სალამით ქ. ს.

დაზღვეულის გამოგზავნა არაა საჭირო მოგვწერე როგორ მიდის საქმეები თქვენში, ძალიან გთხოვთ.

---

*) „ბოლშევიკი"-ს №№ 1—2-დან, რომელიც უახლოეს დღეებში გამოვა.

1) მეკები—მენშევიკები.

2) ბეკები—ბოლშევიკები.

3) აქ იგულისხმება ცეკას პლენუმი 1910 წლის იანვარში, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფრაქციულობის მოსპობის, ცოტად თუ ბევრად მოწყობილ ფრაქციების მოსპობის შესახებ და მათი გადაქცევა ისეთ მიმდინარეობათ, რომელიც არ დაარღვევდა პარტიის მთლიანობას. ლენინის დაჟინებით მოთხოვნით, პლენუმმა დაგმო ლიკვიდატორობისა და „ოტზოვიზმის" იდეები, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი დათმობების მეოხებით პლენუმზე დამსწრე ბოლშევიკ-შემარიგებლების მხრით, რომლებიც შეთანხმდენ ხალხს და ჯგუფებს განურჩევლად, მათი შეხედულებისა („რეზოლუციას ხელი მოაწერეს") და საქმიანობის ანგარიშის გაუწევლად (ლენინი) პლენუმმა მხოლოდ შეაფერხა ლიკვიდატორებთან ბრძოლის საქმე, რომლებმაც, როგორც ცნობილია, ფიქრადაც არ მოსვლიათ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება.— რედ.

4) ცენტრალურ დაწესებულებათა რეფორმა—ე. ი. ცეკას, ცეკას რუსული კოლეგიის, ცეკას საზღვარგარეთელი ბიუროს და ცენტრალური ორგანოს რედაქციის რეფორმა. ცეკას 1910 წ. იანვრის პლენუმმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო პარტიული ხაზის გატარება. მაგრამ ეს გადაწყვეტილებანი ჩაშლილ იქნა ლიკვიდატორების მიერ.— რედ.

5) ე. ი. ექვსი თვე გადასახლების ვადის შესრულებამდე. სოლვიჩეგოდსკში (ვოლოგდის გუბერნია) სტალინი გადაასახლეს 1908 წელს, გაიქცა 1909 წელს და ბაქოში დააპატიმრეს (1910 წ. მარტში) შემდეგ და რამდენიმე თვით ციხეში ჯდომის შემდეგ კვლავ გადაგზავნეს სოლვიჩეგოდსკში. რედ.

6) სტალინი „მოიხსნა" აქედან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

7) „მისლი"—ლეგალური ბოლშევიკური ჟურნალი. რომელიც გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან—1911 წლის აპრილამდე. ბოლშევიკებს გარდა, ჟურნალში თანამშრომლობდენ პლეხანოვი და სხვა მენშევიკ-პარტიულები. რედ.

8) „სოციალ-დემოკრატ"-ი—რ.ს.დ.მ. პარტიის ცენტრალური ორგანო, გამოდიოდა 1908 წ.—1917 წლამდე. მისი რედაქციის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა მაგრამ ხელმძღვანელ როლს მასში ყოველთვის ბოლშევიკ-ლენინელები თამაშობდნენ. ცეკას 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ რედაქციის შემადგენლობაში შედიოდენ ორი ბოლშევიკი (ლენინი, ზინოვიევი), ორი მენშევიკი (დანი, მარტოვი) და ერთი პოლონელებიდან (ვარსკი, შემდეგ ლედერი) რედაქციიდან დანისა და მარტოვის წასვლის შემდეგ, ხოლო შემდეგ 1911 წლის დეკემბერში ლედერის წასვლის შემდეგ, „სოციალ-დემოკრატ"-ი წმინდა ბოლშევიკურ ორგანოდ გადაიქცა.— რედ.

9) „რაბოჩაია გაზეტა" პოპულარული ბოლშევიკური გაზეთი, რომელიც პარიზში გამოდიოდა 1910 წლის ნოემბრიდან—1912 წლის აგვისტომდე. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ პლეხანოვი და სხვა მენშევიკ—პარტიულები.—რედ.

10) „გოლოს სოციალ-დემოკრატა"—მენშევიკ—ლიკვიდატორების საზღვარგარეთელი ორგანო. გამოდიოდა 1908 წ. თებერვლიდან—1911 წლის დეკემბრამდე.—რედ.

11) „ზვეზდა"—ლეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის დეკემბრიდან 1912 წ. აპრილამდე. გაზეთი ებრძოდა ლიკვიდატორობას და „ოტზოვიზმს" 1911 წლის ივლისამდე „ზვეზდას" რედაქციაში შედიოდენ: ნ. იორდანსკი (პლეხანოველი) და ი პოკროვსკი (თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს); გაზეთში მონაწილეობას იღებდა პლეხანოვიც. 1911 წლის შემოდგომიდან „ზვეზდა" გამოდიოდა როგორც წმინდა ბოლშევიკური ორგანო. „ზვეზდა"-ს დახურვის შემდეგ გამოდიოდა (1912 წლის ოქტომბრამდე) „ნევსკაია ზვეზდა".—რედ.

1932 წლის აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის შესახებ

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება

რადგანაც საქართველოს სსრ-ში მეაბრეშუმეობის მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია, რაც აიხსნება კონტრაქტაციის არამიზანშეწონილი პირობებით, აგრომომსახურეობის ცუდი დაყენებით და საერთოდ იმით, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები 1931 წელს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდნენ, იმ მიზნით, რათა მიმდინარე სახოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს თავიდან აცილებულ იქნეს წარსული წლის დეფექტები და უზრუნველყოფილ იქნეს 1932 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის წარმატებით ჩატარება—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს 1932 წლისათვის თესლის დარიგების გეგმა 90.000 კოლოფის რაოდენობით და გაზაფხულის გამოკვების პარკის კონტრაქტაციის გეგმა 3.060 ტონას რაოდენობით, რისთვისაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ერთი კოლოფი თესლის გამოსავალი არა ნაკლებ, ვიდრე 34 კილოგრამი პარკისა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს უზრუნველჰყონ მეაბრეშუმეობის დარგში ყველა აგროკულტურულ ღონისძიებათა თავის დროზე გატარება და მეაბრეშუმეთათვის ინსტრუქტირების თავის დროზე გაწევა, კერძოდ, მთელი თესლის ინკუბაციის ჩატარება, მეაბრეშუმეთა სადეზინფექციო მასალით, გადასაყვანი და ქვეშსაფენი ქაღალდით, თერმომეტრებით და სხვ. მომარაგება.

3. დაწესებულ იქნეს პარკის მტკიცე დასაქონლება საგლეხო ასორტიმენტის სამრეწველო საქონლით (ძაფი, ჩითეულობა და სხვა საგასაცემო ფასების მიხედვით; დასაქონლების ნორმა უნდა უდრიდეს ჩაბარებული დაკონტრაქტებული პროდუქციის ღირებულების 50 პროც.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს გამოჰყოს ამ მიზნით სამრეწველო საქონლის განსაკუთრებული ფონდები და მისცეს ამ ფონდებს მტკიცე მიზნობრივი დანიშნულება; ამასთანავე დაკონტრაქტებული პროდუქციის ჩამბარებელთ საქონელი აღნიშნული ფონდებიდან უნდა მიეცეს მხოლოდ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ორდერებით.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა—„ცეკავშირმა“ დაუყოვნებლივ მისცეს სათანადო დირექტივა თავის ქვედა სისტემას და დაამყაროს წესი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ზემოაღნიშნული ფონდებიდან საქონლის სავსებით დაყვანა მეაბრეშუმეებამდე.

4 წინადადება მიეცეს: ა) „ზაკრასმაშლო სხიტს“ სამი დღის ვადაზე გაგზავნონ საქართველოს სსრ მეაბრეშუმეობის რაიონებში, კონტრაქტაციის დროს მეაბრეშუმეთა შორის განაწილებლად, 100 ტონა სხვადასხვა საზომი; ბ) საქართველოს სამკერვალო ტრესტს—იმავე ვადაზე გამოჰყოს საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებისათვის განუნაწილებელი ფონდებიდან 100.000 მანეთის მზა საგლეხო ასორტიმენტის ნაკეთობა; გ) საქვაჭრობას—ერთი დეკადის ვადაზე შეზიდოს იმავე რაიონებში საგლეხო მოხმარების საქონელი არა ნაკლებ, ვიდრე 50.000 მანეთისა და გადასცეს ცეკავშირს მეაბრეშუმეობის რაიონებში განაწილებლად იმავე კატეგორიის საქონელი 100.000 მანეთის ღირებულებისა; ამასთანავე დაევალოს ცეკავშირს დაუბრუნოს საქვაჭრობას აღნიშნული საქონელი, როცა იგი მეაბრეშუმეთათვის დანიშნულ სასაქონლო ფონდებს მიიღებს; დ) საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტს—გამოჰყოს და გაგზავნოს მეაბრეშუმეობის რაიონებში თავისი წარმოების საქონელი 750.000 მან. ღირებულებისა (აქედან 60 პროც. ნახევარ-აბრეშუმის და 40 პროც. აბრეშუმის ქსოვილი.

შენიშვნა: მეაბრეშუმეობის რაიონებში შესაზიდი საქონლის ასორტიმენტს სამი დღის ვადაზე განსაზღვრავს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი საქართველოს აბრეშუმის ტრესტთან და ცეკავშირთან შეთანხმებით.

5. დაწესებულ იქნეს პარკის ჩამბარებელთათვის პურით მომარაგების ნორმა 2 კილოგრამი პურის რაოდენობით თვითეულ კილოგრამ პარკზე; ამასთანავე პური გაცემულ უნდა იქნეს შემდეგი წესით: ა) საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადებისას—0,5 კილოგრამი პური ერთ კილოგრამ დაკონტრაქტებულ პარკზე და ბ) დანარჩენი ნაწილი—თესლის დარიგებისას და პარკის ჩაბარებისას.

ამ მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს 1932 წლის მარტის 15-მდე შეზიდოს მეაბრეშუმეობის რაიონებში 1530 ტონა პური იმ 6,120 ტონა პურიდან, რაც ამ რაიონებში საერთოდ შეზიდულ უნდა იქნეს.

6. ამა დადგენილების თანახმად მეაბრეშუმეობის პურითა და სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის განსაზღვრულ წესთან დაკავშირებით, რომელი მომარაგებაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მტკიცე ვალდებულებით საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების საფუძველზე, წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს შეიტანონ სათანადო ცვლილებანი პარკის კონტრაქტაციის ხელშეკრულებებში და ფართოდ აცნობონ ეს გარემოება მეაბრეშუმეებს.

7. მეაბრეშუმეთა მიერ პარკის ჩაბარების წესის გასაადვილებლად დატოვებულ იქნეს 1931 წელს გამოყენებული წესები პარკის ხარისხის მიხედვით მიღებისა.

8. რადგანაც მეტწილ კოლმეურნეობებში აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვება მოწყობილი არ არის, შესაძლებლად იქნეს ცნობილი, რომ 1932 წელს კოლმეურნეებმა ჭია გამოკვებონ მათთან დადებულ ინდივიდუალურ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე; ამასთანავე დაევალოს საკოლმეურნეო სისტემას კოლმეურნეობათა ამ მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა.

9. საჭიროდ იქნეს ცნობილი, იმ მეაბრეშუმეთა დაპრემირების შემოღება, რომელნიც პარკის კონტრაქტაციის ხელშეკრულებებს გადამეტებით შეასრულებენ.

წინადადება მიეცეს საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მონაწილეობით, გამონახონ აღნიშნული დაპრემირებისათვის საჭირო ფულადი და სასაქონლო ფონდები.

10. რადგანაც საქართველოს აბრეშუმის ტრესტის აპარატი როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში დაკომპლექტებული არ არის, მიენდოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაში გაგზავნონ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის განკარგულებაში სათანადო რიცხვი პასუხისმგებელი მომუშავეებისა და სპეციალისტებისა და გადაიყვანონ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის აპარატში ის სპეციალისტები, რომელნიც წინათ იქ მუშაობდნენ.

წინადადება მიეცეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შესწყვიტონ საქართველოს აბრეშუმის ტრესტისა და მისი ადგილობრივი ფილიალების მომუშავეთა მობილიზაცია პარკის კონტრაქტაციის პერიოდის განმავლობაში.

11. დაევალოს აბრეშუმის პარკის დამზადების რაიონების ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უზრუნველჰყონ სრული დახმარება და სისტემატიური მეთვალყურეობა კონტრაქტაციისა, ჭიის კვებისა და პარკის დამზადების საქმეზე. პერიოდულად მოისმინონ ხოლმე საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მოხსენებანი და განახორციელონ ამ მოხსენებებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

12. დაევალოს გაზეთ „კომუნისტის“, „კოლექტივიზაციის“, „მუშის“, „ენი-კენდის“ და „პროლეტარის“ რედაქციებს და აგრეთვე საოლქო და სარაიონო პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების რედაქციებს გაშალონ კამპანია, რათა მოხდეს პარტიულ-საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხის გარშემო და სისტემატიურად გააშუქონ თავიანთ ბეჭდვითი ორგანოებში პარკის კონტრაქტაციისა, ჭიის კვებისა და პარკის დამზადების მსვლელობა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სახელგამს, საქართველოს მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად, გამოსცეს ბროშურებისა და პლაკატების სერია მეაბრეშუმეობის საკითხების შესახებ.

13. რადგანაც საკოლმეურნეო სისტემა სრულიად არასაკმარის ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობის გავრცელებისა და განვითარების საქმეს, დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს შეიმუშაონ და ორი დეკადის ვადაზე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს იმ ღონისძიებათა პროექტი, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კოლმეურნეობებში 1933 წელს აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვების ორგანიზაცია განსაზოგადოებული საკვები ბაზების მოწყობით, კოლმეურნეობებში სათანადო სადგომებისა და ნაგებობის აშენებით და სხვ.

14. წინადადება მიეცეს მეაბრეშუმეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, საქართველოს აბრეშუმის ტრესტს და საკოლმეურნეო სისტემას, ფართოდ გამოიყენონ მეაბრეშუმეობაში შრომის სოციალისტური მეთოდები (დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრება რაიონებს, სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და ცალკეულ მეურნეობებს შორის, დაპრემირება კონტრაქტაციისა და თესლის დარიგების საუკეთესოდ ჩატარებისათვის, ჭიის საუკეთესოდ გამოკვებისათვის, პროდუქციის მაღალი თვისობრივი მაჩვენებლებისათვის და სხვ.).

15. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამზადისს 1932 წელს ჭიის მეორე გამოკვების უზრუნველსაყოფად და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სათანადო ღონისძიებათა პროექტი არა უგვიანეს 1932 წლის მაისის 15-სა.

16. პარკის კონტრაქტაციის საბოლოო ვადად საქართველოს სსრ-ის ფარგლებში დაწესებულ იქნეს 1932 წლის აპრილის 1-ლი.

წინადადება მიეცეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველჰყონ, რომ მტკიცე დავალებანი ჭიის გამოკვებისა და პარკის ჩაბარებისათვის, საკვები ფონდის სრული გამოყენების ფარგლებში, დაყვანილ იქნეს კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებამდე არაუგვიანეს 1932 წლის მარტის 20-სა

17. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების კომისიას მოისმინოს სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების პერიოდული მოხსენებანი პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების მსვლელობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე **ბ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. თებერვლის 28.

თბილისი.

სარემონტო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს სატრაქტორო პარკის და მისაბმელი ინვენტარის სარემონტო სუსტ მიმდინარეობას. 20 თებერვლისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა შეაკეთეს 858 ტრაქტორი—გეგმის 62 პროცენტი, 866 გუთანი—56 პროც., 606 სათესი მანქანა—69 პროცენტი. კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებას მეტ წილ რაიონებში დიდი დაგვიანებით შეუდგნენ, რის გამო 177 გუთნიდან ასტრახან-მაზარის რაიონში შეკეთებულია 71 გუთანი, 62 გუთნიდან ნორაშენის რაიონში შეკეთებულია 2 გუთანი, და 220 სათესი მანქანიდან—43, ვაგარშაპატის რაიონში 88 გუთნიდან შეკეთებულია 14 და სხვ.

ყოველივე ეს ქმნის ტრაქტორების და ცხენის ინვენტარის შეუფერხებლად მუშაობის რეალურ საფრთხეს გაზაფხულის და ზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში.

რაიონების პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნკავშირებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა ჯერ კიდევ ვერ გაშალეს მასიური მუშაობა სარემონტო კამპანიის ამოცანების გარშემო და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სარემონტო სახელოსნოების მუშათა მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

ამასთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. რესპუბლიკების კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტებმა, რაიკომებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პარტორგანიზაციებმა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ 1931 წლის 29 დეკემბერს „ამიერ-კავკასიის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების 1931 წლის მუშაობის შედეგებისა და 1932 წლის მუშაობის გეგმის შესახებ“ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფართოდ დარაზმონ საზოგადოებრიობა სარემონტო კამპანიის ამოცანების გარშემო და უზრუნველჰყონ მუშათა თავის დროზე მომარაგება, მათი კვების გაუმჯობესება, საერთო საცხოვრებელი ბინების მოწყობა და სხვ.

2. რაიკომებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა კავშირებმა დახმარება გაუწიონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექციას სახელოსნოების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პრაქტიკული განხორციელების და საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის საქმეში.

3. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინებმა უზრუნველჰყონ საზოგადოებრივი კონტროლი რემონტის ხარისხზე როგორც სარემონტო მუშაობის პროცესში, ისე ტრაქტორების, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ინვენტარის მიღების დროს და პასუხისგებაში მისცენ ისინი, ვინც დამნაშავე იქნება რემონტის ხარისხის გაუარესებაში.

4. ა.-კ. სატრაქტორო ცენტრმა მიიღოს გადამჭრელი ზომები შინაგანი რესურსების მობილიზაციისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სათადარიგო ნაწილებით და მასალით მომარაგებაზე კონტროლის გაძლიერებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, რომლებიც დიდად ჩამორჩებიან.

5. ა.-კ. სოფმეურნმარაგმა სამი დღის ვადაში გამოჰყოს თავისი ფონდიდან სატრაქტორო ცენტრისათვის დეფიციტიური სათადარიგო ნაწილები, მასალა და ინსტრუმენტები.

6. ა.-კ. რკინის გზების დირექციამ უზრუნველჰყოს სათადარიგო ნაწილების და სარემონტო მასალის სასწრ. მიწოდება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და რაიონებისათვის, შეამოწმოს საკვანძო სადგურები და პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომლებიც აფერხებენ სათადარიგო ნაწილების გაგზავნას. პასუხისმგებლობა ამ მუშაობისათვის დაეკისროს დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს.

7. ა.-კ. ს. მ. უ. საბჭომ ორი დღის ვადაში გაუგზავნოს ა.-კ. სატრაქტორო ცენტრს 11 ინჟინერი კაპიტალური რემონტის სახელოსნოებში სამუშაოდ ერთი თვის ვადით.

8. საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მოაგონებს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ სარემონტო კამპანიის წარმატება სწყვეტს ხუთწლედის მე-4, დამამთავრებელი წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ბედს, ამიტომ ყოველმა ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა მოიკრიბოს ყველა ძალები და სახსრები და გააჩაღოს გადამწყვეტი ბრძოლა ჩამორჩენის ლიკვიდაციისა, გეგმის თავის დროზე შესრულებისა და რემონტის ხარისხისათვის.

9. საქ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი დღის ვადაში დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი კომკავშირის მონაწილეობისათვის სარემონტო კამპანიის, ხაზით არსებულ ჩამორჩენის ლიკვიდაციის საქმეში.

(ადს).

„ჩვენი საყვირი“ ყოველდღიური გაზეთი

საქ. კ. პ. (ბ) ცკას—ამხ. ლ. ბერიას, თბილისის კომიტეტს—ამხ. ვ. მგელაძეს და ტ. ო. ლენრაიკომს—ამხ. გ. თვალჭრელიძეს- გაზ. „პრავდა“-ს, „იზვესტია“-ს, „გუდოკს“, „ზარია ვოსტოკა“-ს, „კომუნისტს“, „მუშა“-ს, „ტიფლისკი რაბოჩი“-ს, „პროლეტარ“-ს, „ახალგაზრდა კომუნისტს“ და „რადიო-გაზეთი“-ს რედაქციას

ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის დამკვრელ მუშათა და მუშკორთა შეკრება, მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნის საქ. კომპარტიის ცკას, თბილისის კომიტეტს, ტ. ო. ლენინის რაიკომს, ც. ო. „პრავდა“-ს, „იზვესტია“-ს, „გუდოკს“, „ზარია ვოსტოკა“-ს, „კომუნისტს“, „მუშა“-ს, „პროლეტარს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“ და რადიო-გაზეთის რედაქციას, ჩვენი ქარხნის გაზეთის „ჩვენი საყვირი“-ს ყოველდღიურად გამოსვლის გამო.

კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის ბელადი ამხ. სტალინი, მუშათა კლასმა მიაღწია უდიდეს წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად ჩვენი ქარხნის მუშებიც უდიდესი წარმატებით გადავიდნენ ხუთწლედის მე-4 დამამთავრებელ წელში და აღებული ტემპების კიდევ უფრო გაძლიერებით განაგრძობს ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ამ ბრძოლაში დიდი დამსახურება აქვს ჩვენი ქარხნის მებრძოლ გაზეთს „ჩვენ საყვირს“, რომლის გარშემო დარაზმულია 1000 დამკვრელი მუშკორი.

ეს ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მომავალში. ამის თავდები იქნება „ჩვენი საყვირი“-ს ყოველდღიური გამოსვლა, რომელიც პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით თავის გარშემო მთელი ქარხნის დამკვრელთა მტკიცედ დარაზმვით, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლით გახდება მუშათა მასების კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი, საწარმოო - საფინანსო გეგმებისათვის გადამწყვეტ ბრძოლის საქმეში.

ჩვენ, ბელადის სახელობის ქარხნის მუშკორები და დამკვრელი მუშები პროლეტარულ სიტყვას ვძლევით, რომ კიდევ უფრო შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ჩვენი მებრძოლი ორგანოს „ჩვენი საყვირის“ ხელმძღვანელობით გადამწყვეტ ბრძოლას გავაჩაღებთ ბელადის ექვსი ისტორიული პირობის და მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის, ხუთწლედის 4 წელიწადში დამთავრებისათვის და ტრანსპორტის „ვიწრო ადგილი“-დან გამოყვანისათვის.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის და მუშათა კლასის ნაცად ბელადს ამხ. სტალინს.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და მის მებრძოლ ორგანოს „პრავდა“-ს.

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის ცკას, თბილისის კომიტეტს და ლენრაიკომის განახლებულ ხელმძღვანელობას.

ჩვენი მხურვალე პროლეტარული სალამი „ჩვენ საყვირს“.

ბრძოლა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებასა და წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

(რესპუბლიკანური თათბირი საქ. კ. პ. (ბ) ცკას კულტპროპგანყოფილებაში)

27 თებერვალს საქართველოს კ.პ.(ბ) ცკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში გაიხსნა რაიკომების კულტპროპგანყოფილებების და რაიგანათლების განყოფილებების გამგეთა რესპუბლიკანური თათბირი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მიმდინარეობის და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის შესახებ.

თათბირი გახსნა საქ.კ.პ.(ბ) ცკას კულტპროპგანყოფილების გამგე ამხ. კ. გორდელაძემ.

თათბირმა მოისმინა საქ. განათლების სახალხო კომისარის ამ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მიმდინარეობის და ამხ. გ. [illegible] თანამოხსენება. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. მოსმენილი იქნა აგრეთვე მოხსენებები ადგილებიდან, რის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩანკვეტაძემ (ფინსახკომი), ტ. ლომიძემ (დუშეთი), გასანოვმა (ყარაია), ლ. ბოძაშვილმა (დუშეთი), არჩვაძემ (პროფსაბჭო), ბოკერიამ (საზ-ბა „წერა-კითხვა“), ვართაპეტოვამ („26“-სახ. რაიკომი), ნ. მახარაძემ (განსახკომი), მ. ლომინაძემ (პედინსტიტუტი), მურადოვმა მელიქოვმა, კეპრაძემ, კირვაძემ, ბასილაძემ და მინდაძემ.

საქ. კ.პ.(ბ) ცკას 31 ოქტომბრის და საქ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის დადგენილებების თანახმად 1932 წელში საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ძირითადათ უნდა დამთავრდეს. რესპუბლიკანურმა თათბირმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფესიონალურ და სამეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციების მონაწილეობას საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაში და წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში.

თათბირზე მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებას და წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის დარგში—ზოგიერთ რაიონებში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაციონალური უმცირესობათა რაიონები, სადაც საჭირო პედკადრების უქონლობის, წიგნების და მშობლიურ ენაზე საკმაო ლიტერატურის უქონლობის გამო მთელ რიგ სკოლებში და ლიკპუნქტებში მეცადინეობა შეფერხებულია. ნაციონალური უმცირესობათა რაიონებისათვის საქ.სახელგამს თვით არ გამოუცია არც ერთი სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოების მიღების მიზნით სახელგამმა და განსახკომმა ხელშეკრულება დასდო აზერბეიჯანის და სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობებთან. თურქული და სომხური სასწავლო სახელმძღვანელოების მიწოდების შესახებ. მაგრამ სასწავლო წელი უკვე გავიდა და ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თურქული და სომხური სასწავლო სახელმძღვანელოების რაოდენობიდან დღემდე მიღებულია მხოლოდ 40 პროცენტი. ეს კი დიდათ აფერხებს მასიურ სკოლების და ლიკპუნქტების მუშაობას.

სახელგამმა სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა თუმცა შეასრულა, მაგრამ არის შემთხვევები, რომ დაბეჭდილი წიგნები, რაიონებს თავის დროზე არ ეგზავნება და საწყობებში აწყვია. ასე მაგალითად, თბილისის „26 კომისარის“ სახელობის რაიგანათლების განყოფილებამ წერა-კითხვის უცოდინართა ქართულ ლიკპუნქტებისათვის მოითხოვა სახელმძღვანელო წიგნი „წინ“, მაგრამ მისი გაგზავნა წარმოუდგენლად დაიგვიანდა. მაშინ, როდესაც საწყობებში ეს წიგნი უამრავი იყო.

ქართული სკოლების 37 პროცენტი სახელმძღვანელოებით უკვე დაკმაყოფილებულია, მაგრამ ამ მხრით ნაცუმცირესობათა რაიონები მეტად სავალალო მდგომარეობაშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წერა-კითხვის უცოდინართა მეორე ლიკსკოლებისათვის დაიბეჭდა სახელმძღვანელო 10.000 ცალის ტირაჟით, მაგრამ მოთხოვნილება გაცილებით მეტია.

როგორც სახელგამის წარმომადგენელმა განაცხადა თათბირზე, მარტისათვის სახელგამი შესძლებს პროგრამის მთლიანად გამოცემას, ხოლო სახელმძღვანელოების გამოცემას დაამთავრებს მაისისათვის.

უფრო ცუდი მდგომარეობაა სკოლების პოლიტექნიზაციის დარგში. მიუხედავად სადირექტივო ორგანოების რამდენიმე დადგენილებისა სკოლების პოლიტექნიზაცია. მთელ რიგ რაიონებში კვლავ ფორმალურად ტარდება სკოლები ფორმალურად არის მიმაგრებული წარმოებებზე, კოლმეურნეობებზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, საბჭოთა მეურნეობებზე და სხ. განსახკომის მიერ შეგროვილი მასალებით ირკვევა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სკოლასა და წარმოებას შორის დადებული ხელშეკრულებები არა რეალურია ხელშეკრულებებს არ ასრულებს ერთი მხარე, გამოირკვა, რომ საწარმოო-პრაქტიკის გასავლელად მისულ მოწაფეებს ზოგიერთი საწარმოები იყენებენ შავ მუშად, დამლაგებლად, დამგზავნელად და სხვა (მაგ. არსენალი), რაც ყოვლად დაუშვებელია. თათბირმა აღნიშნა, რომ სკოლების პოლიტექნიზაციის გატარების დარგში უნდა მოხდეს გარდატეხა. სკოლების მუშაობა მჭიდროდ და გეგმიანად უნდა დაუკავშირდეს წარმოების მუშაობას; უნდა უზრუნველვყოთ სკოლების დაკავშირება ქალაქში წარმოებებთან და სოფლებში კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან. თვითეულ სკოლაში უნდა მოეწყოს პოლიტექნიკური სახელოსნო ხოლო ოთხწლედებში კი სამუშაო ოთახი. საჭიროა აგრეთვე უზრუნველვყოთ ოთხწლედები მიწის ნაკვეთებით და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბაზო სკოლების მუშაობას. საბაზო სკოლები უნდა გადავაქციოთ ერთგვარ ლაბორატორიად სადაც პრაქტიკულად და მეთოდურ ცოდნას მიიღებენ სხვა სკოლების მასწავლებლები.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს. მაგრამ როგორც თათბირზე გამოირკვა მთელი რიგი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციები ამ დარგში იჩენენ ბიუროკრატიულ უყურადღებობას. მაგ. საქ. ფინსახკომს წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდში უნდა გადაერიცხა 500 ათასი მანეთი, მაგრამ ეს თანხა ჯერაც არ არის გადარიცხული, ასევე არ გადაურიცხავს თანხები ცეკავშირს და სხვა ორგანიზაციებს.

საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს ხაზით უფასო ლიკსკოლებში ჩაბმულია 14.000 კაცი. საზოგადოება „წერა-კითხვამ“ შესძლო აჭარისტანში 4.500 კაცის ფასიან და 2500 კაცის უფასო ლიკსკოლებში ჩაბმა. „წერა-კითხვა“-ს განსახკომთან დადებული ხელშეკრულებით 37.500 წერა-კითხვის უცოდინარი ჩაბმული ყავს ფასიან და 19.550 უფასო ლიკსკოლებში.

თათბირს ფინსახკომის წარმომადგენელმა გააცნო კულტმშენებლობის დარგში დამტკიცებული ბიუჯეტი, რომლის მიხედვით ამ წელს მთლიანად კულტურული მშენებლობის დარგში უნდა დაიხარჯოს 44 მილიონი მანეთი, ხოლო აქედან სასკოლო მშენებლობის დარგში მხოლოდ მილიონ ნახევარი მანეთი, რაც ცხადია სრულიად არ არის საკმაო.

დავრაზმოთ საზოგადოებრიობა

წყალდიდობასთან საბრძოლველად

საუბარი წყალდიდობასთან მებრძოლ ა.-კ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. აგრბასთან

გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და სოფლის ნიაღვრებთან მებრძოლ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. აგრბამ ა.-კ. დეპეშითა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა.

— დიდი თოვის შედეგად, რომელიც დაიწყო თებერვლის პირველ რიცხვებში და თითქმის მთელ თვეს გაგრძელდა, მთებში, მდინარეების სათავეებში დაგროვდა უამრავი თოვლი. თოვლის სწრაფად დნობის გამო მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელია ძლიერი წყალდიდობა და სოფლის ნიაღვრები. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში თოვლის სიღრმე აღწევდა 2 მეტრს ალაგ-ალაგ თოვლი კიდევ უფრო ღრმა იყო, რაიონებსა და ცენტრს შორის ხშირად წყდებოდა კავშირი და ასეთი მდგომარეობა ზოგჯერ გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. ზოგიერთ სასოფლო ადგილებში მიმოსვლა ჯერაც არ არის აღდგენილი. სომხეთში, ღრმა თოვლის გამო, ზანგეზურის და კაფანის რაიონები მოწყვეტილი იყვნენ ცენტრს. ერევანთან მათ სატელეგრაფო კავშირიც გაწყვეტილი ჰქონდათ.

ღრმა თოვლია აგრეთვე აზერბეიჯანის ზოგიერთ რაიონში, მთიან ყარაბაღში, კულბაჯარში. განუწყვეტელი თოვის გამო ბევრ ადგილას, განსაკუთრებით სამხრეთ-ოსეთში, სოფელ არაშენდაში (კუდაროს სასოფლო საბჭო) ზვავის ჩამოწოლის დროს დაიღუპა რამდენიმე კაცი. ზვავების შედეგად ადამიანთა მსხვერპლი არის აგრეთვე სომხეთში. აფხაზეთში, კოდორის ხეობაში, თოვლის დიდი ზვავი ჩამოწვა ტყის დამზადების სამუშაოებზე, სადაც გაინადგურა 75 ჰექტარი ტყე.

წყალდიდობა და სოფლის ნიაღვრები ემუქრება მთელ რიგ ადგილებს.

მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები, იმ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს წყალდიდობას. უკვე გაეწია რეალური დახმარება მშრომელ გლეხობას და კოლმეურნეებს, რომელთაც პირუტყვს. დიდი თოვლის შედეგად, გამოელია საკვები. საკვების გარდა ადგილებზე გაიგზავნა აგრეთვე სურსათ-სანოვაგე სათანადო რაოდენობით.

ყველა რესპუბლიკებში დაარსდა წყალდიდობასთან მებრძოლი მთავრობის სამეულები; სამეულები უკვე შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას. სწარმოებს მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად, მაგრამ ამ მუშაობაში სათანადო ტემპი არ არის აღებული.

ამიერ-კავკასიაში ყველაზე მეტ საფრთხეს წარმოადგენენ მტკვარ-არაქსის ბასეინი, მდინარე კოდორის, ცხენის-წყალის და ყვირილის რაიონები. მდინარეთა ნაპირების გამაგრებაში ფართო მონაწილეობას იღებენ წყალთა მეურნეობის საინჟინრო-ტექნიკური ძალები და ადგილობრივი მოსახლეობა შრომის და ტვირთზიდვის, ბეგარის წესით.

წყალდიდობასთან საბრძოლველად საჭიროა დიდი რაოდენობით ხე-ტყის მასალა და ტომარტარა, რომლებიც უნდა გაიგზავნოს იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია საფრთხე. მომარაგების სახალხო კომისარიატის და ა.-კ. მებამბეობის ხაზით გამოყოფილია პასუხისმგებელი შემსრულებლები, რომლებსაც მიცემული აქვთ კონკრეტული მითითებები ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოების უზრუნველყოფის შესახებ ტომარტარით. ადგილებზე იგზავნება ინჟინერ-ტექნიკოსთან სპეციალური ჯგუფები ნაპირის გასამაგრებელ სამუშაოების (რომლებიც უკვე დაწყებულია) დასაჩქარებლად. წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ ჰიდრომეტეოროლოგიურმა სადგურებმა. რომლებიც ეწყობა ყველა საჭირო პუნქტებში. საგუშაგოები მისცემენ სიგნალს მოახლოებული [illegible] შესახებ, რათა დროულად მიღებულ იქნას საჭირო ზომები. ფოსტა-ტელეგრაფის ორგანოებს მიცემული აქვთ წინადადება იმ რაიონებში, სადაც მოწყობილია საგუშაგოები, შემოიღონ კავშირგაბმულობის მუშაკთა მორიგეობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია ძლიერი წყალდიდობა, დროულად მიღებული ზომებით შეიძლება მინიმუმამდე დაყვანილი იქნას მისი საზიანო შედეგები.

ამიერ-კავკასიის მთავრობა და რესპუბლიკანური მთავრობები. ყოველივე ზომებს იღებენ იმისათვის, რომ წყალდიდობას შეხვდეთ მომზადებულად. მაგრამ უნდა ხაზი გავუსვათ აღინიშნოს, რომ მხოლოდ ცენტრალური აპარატების ძალებით შეუძლებელია ამ მუშაობის წარმატებით ჩატარება. საჭიროა მაქსიმალურად დავრაზმოთ ფართო პარტიულ-საბჭოთა საზოგადოებრიობის, ყურადღება წყალდიდობასთან ბრძოლის საკითხების გარშემო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წყალდიდობასთან ბრძოლის წარმატებით ჩატარებაზე საგრძნობლად დამოკიდებულია გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარება.

პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წყალდიდობასთან ბრძოლაში უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური აქტივობა და [illegible] ყველა იმ ღონისძიებათა [illegible] ხაზით, რომლებიც წამოაყენეს წყალდიდობასთან მებრძოლმა ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანურმა საგანგებო კომისიებმა (ადს).

ნავთის მომარაგებაში შექმნილ დაბრკოლებას ბოლო ელება

20 თებერვლამდე ამიერ-კავკასიის ქალაქებსა, და რაიონებში ადგილი ჰქონდა ნავთობპროდუქტების, კერძოდ ნავთის შემოზიდვის შეფერხებას. ეს შეფერხება გამოიწვია ნავთობპროდუქტების არასაკმაოდ გამოგზავნამ, ცისტერნების ნაკლებობამ და შემოზიდვის დაწესებული ნორმების არარეალურობამ.

20 თებერვლიდან ნავთის გზავნა საგრძნობლად გაძლიერდა, რაც უნდა მიეწეროს მთავრობის ორგანიზაციებისა და ა.-კ. რკ. გზების მიერ საჭირო ზომების მიღებას. ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატის ცნობებით, 20 თებერვალს ამიერ-კავკასიისათვის გამოგზავნილი იყო 34 ცისტერნა, 21-ს—28 ცისტერნა, 22-ს—53, 23-ს—55, 24-ს—60 ცისტერნა. სათანადოთ მიაქვს ნავთის გამოგზავნამ თბილისისათვისაც. 25 თებერვლიდან თბილისისა და ნავთლუღის მოსამარაგებლად დაწყებულ იქნა ნავთის გადიდებული ნორმის გზავნა. 25 თებერვალს თბილისში დაცლილ იქნა 16 ცისტერნა, 26-ს—28 ცისტერნა, 27—8 ცისტერნა, 28-ს—12 ცისტერნა. ამგვარად დაიწყო საშუალოდ 16 ცისტერნის მიღება დღეღამეში თბილისისათვის. ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატის ცნობებით, თუმცა ნავთის საჭიროება, „საქსათბობი“-ს [illegible] მიხედვით, 13.5 ცისტერნის რაოდენობით იყო გათვალისწინებული დღეღამეში მაგრამ ნავთის დაცლის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ დღეღამეში 7—8 ცისტერნაზე მეტი საჭირო არ არის.

იანვარში საქართველოსთვის გამოგზავნილ იქნა 364 ცისტერნა ნავთი, ე. ი. საშუალოდ 15.5 ცისტერნა დღეღამეში. ამის მიხედვით, საშუალოდ თბილისი ღებულობდა ნავთს არა ნაკლებ 7—8 ცისტერნისა დღეღამეში, რის გამო იანვარში დიდ შეფერხებას მოსახლეობის ნავთით მომარაგებაში არ ჰქონია ადგილი. ამჟამად, 25 თებერვლიდან, თბილისი ღებულობს ნავთის გაორკეცებულ ნორმას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმსგავსობა მოსახლეობისათვის ნავთის მიწოდებაში არ მცირდება. ეჭვს გარეშეა, რომ ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენს „საქსათბობი“-ს უვარგისი მუშაობა. „საქსათბობმა“ ვერ შესძლო თავისი მუშაობის იმგვარად გარდაქმნა, რომ დროზე მიეწოდებია ნავთი ქალაქის ყველა ნაწილებისათვის, ვერ შესძლო ნავთის ღამით სისტემატიური დანაწილების მოწყობა. რომ დილისათვის ყველა მის საცალო ვაჭრობის პუნქტებს შესძლებოდათ მუშაობის დაწყება მათის გაღებისთანავე.

სრულიად შეუწყნარებელია მუშაობა ნავთის არსებული დატარებით. ქსელმა და დამტარებლებმა, მაშინ, როდესაც მომარაგების ამ ნაწილს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. „საქსათბობი“-ს უნიათო მუშაობა და მოძრავი ქსელის მუშაობის კოლად გაუმართლებელი შეჩერება მისი მიერ—ეს მთავარი მიზეზია იმისა, რომ ისევ გრძელდება უმსგავსოება თბილისის მოსახლეობის ნავთით მომარაგების საქმეში.

ნავთის შემოზიდვის ნაკლებობა ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და რაიონებში ახლო [illegible] საბოლოოდ აღმოიფხვრება. ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატმა მიიღო ცენტრიდან დეპეშა იმის შესახებ რომ ნავთობპროდუქტების ყოველდღიური ნორმა ამიერ-კავკასიაში გადიდებულ იქნას 75 ცისტერნამდე, ნაცვლად წინანდელი ნორმისა 54 ცისტერნის რაოდენობით (ადს).

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
საწარმოო-საორგანიზაციო ჟურნალი
„სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია“ № 1
საქ. მიწსახკომის, კოლმეურნეცენტრის და „ამერესტი“-ს
ორკვირეული ორგანო.
1813

მევენახეობის განვითარებისა და 1932 წელში ღვინის დამზადების გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება

იმ მიზნით, რომ მევენახეობის განვითარებას ხელი შეეწყოს და ღვინის სახელმწიფო დამზადება გაძლიერდეს—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს:

ა) გაადიდოს 1932 წელს ღვინის დასამზადებელი ფასები საშუალოდ 12 მანეთამდე 12 ლიტრ (ვედრო) ღვინოზე; ამასთანავე უნდა მოხდეს ამ ფასების დიფერენციაცია რაიონებისა და ცალკე სოფლებისათვის, დასამზადებელი პროდუქციის თვისების მიხედვით; ფასების გადიდება განხორციელებულ უნდა იქნეს ზედნადები ხარჯებისა და დანამატის შემცირებით.

ბ) ერთი დეკადის ვადაში გადასინჯოს ღვინის გასაცემი ფასების კალკულაცია იმ მხრივ, რომ ზედნადები ხარჯები და დანამატი შემცირდეს არა ნაკლებ, ვიდრე 6 მ. [illegible] კაპეიკით 12 ლიტრ (ვედრო) ღვინოზე და გასაცემი ფასები შემცირდეს საშუალოდ [illegible] მანეთით 12 ლიტრ ღვინოზე.

შენიშვნა: გადიდებული დასამზადებელი ფასების მიცემა სწარმოებს 1932 წლ. მარტის 1-დან და იგი ვრცელდება 1931 წლის მოსავლის ჩაბარებულ ღვინოზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ღვინის დამზადებელ ორგანიზაციას (ხოლო მის მოწყობამდე—საქართველოს ბაღსოსტანკავშირს) მისცენ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების თანახმად ჩააბარეს 1931 წლის მოსავლის ღვინო დადგენილ ვადაზე და დადგენილი თვისების, დამატებითი ფული უკვე გადახდილი თანხის 50 პროცენტის რაოდენობით. საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა და ბაღსოსტანკავშირმა ერთი დეკადის ვადაზე გამოარკვიონ, საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრთან შეთანხმებით, ცალკე კოლმეურნეობებში დამზადებული ღვინის ზუსტი რაოდენობა, რათა ამ გზით განსაზღვრულ იქნეს დამატებით გადასახდელი თანხის სიდიდე.

3. 1931 წლის მოსავლის ღვინის დამზადების ჩატარების დროს და 1932 წლის მოსავლის ღვინის კონტრაქტაციის საქმეში დაწესებულ იქნეს კოლექტიურ და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის პურის გაცემის ნორმა—13,33 კილოგრამი პურის, ყოველ 100 ლიტრ ღვინოზე (1 ფუთი 10 ვედროზე), ხოლო მთლიანი მევენახეობის რაიონებსა და სოფლებში—26,66 კილოგრამი პური, ყოველ 100 ლიტრ ღვინოზე (2 ფუთი 10 ვედროზე).

შენიშვნა: მთლიანი მევენახეობის რაიონებსა და სოფლებს ერთი დეკადის ვადაში გამოყოფს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს საკითხი არყის სახდელი საქმის განვითარების შესახებ ხილის, ყურძნის და სხვ. ნარჩენების მაქსიმალურად გამოყენებისათვის და სათანადო მოხსენება წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს საკითხები:

ა) 1932 წელს არამსხმოიარე ვენახებისა და სადედეების ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებისა და ამ გადასახადით ვენახების დაბეგვრის განაკვეთების შემცირების შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ-ში პურის სპირტის დაბეგვრის განაკვეთების იმ განაკვეთებთან გათანასწორების შესახებ, რაც დადგენილია სსრ კავშირის სხვა ადგილებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და ერთი დეკადის ვადაზე წარადგინოს დასადასტურებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მოსავლის ღვინისა და ყურძნის კონტრაქტაციის ძირითადი პირობები.

7. რადგანაც ვენახების წამლობისათვის საჭირო მასალის მიღება სრულიად არადამაკმაყოფილებელია, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო შენაერთის საქართველოს განყოფილებას—იხმარონ სასწრაფო და გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა დაჩქარებულ იქნეს საქართველოს სსრ-ში საწამლე მასალის გამოგზავნა სათანადო განცხადებაში გათვალისწინებული რაოდენობით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს—„სარეწაო კავშირს“ შეიმუშაოს, დაინტერესებული უწყებების და ორგანიზაციების მონაწილეობით საკითხი, სარეწაო კოოპერაციის სისტემის მიერ თბილისში შაბიამანის წარმოების გაფართოების შესახებ და ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს სათანადო მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაუყოვნებლივ გამოჰყოს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო შენაერთის საქართველოს განყოფილების განკარგულებაში არსებული აპარატიდან არანაკლებ, ვიდრე 800 ცალი აპარატი „ვერმორელის“ სისტემისა მევენახეობის რაიონებისათვის და მიიღოს ღონისძიებანი, რათა საქართველოში 1932 წლის აპრილის 1-მდე შემოზიდულ იქნეს კიდევ 1000 ცალი ასეთი აპარატი;

ბ) გამოჰყოს იმავე წესით საჭირო რაოდენობის გოგირდის საყრელი აპარატი „ტიპ-ტოპის“ სისტემისა;

გ) გამოჰყოს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო შენაერთის საქართველოს განყოფილების საწყობებში არსებული მარაგიდან აპარატურის სათანადო რაოდენობის სათადარიგო ნაწილები და გაგზავნოს ეს ნაწილები სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მეშვეობით მევენახეობის რაიონებში;

დ) დაადგინოს წესი მევენახეობის მეურნეობათა მომარაგებისა საწამლე მასალით, წვრილი აპარატურით და მისი სათადარიგო ნაწილებით, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვენახების მთელი ფართობი, მათ რიცხვში არამსხმოიარე ვენახების ფართობიც;

ე) შეიმუშაოს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტთან ერთად, საკითხი მევენახეობის მეურნეობებში საწარმოო პროცესების მექანიზაციის მიზნით ცდების დაყენებისა და ამ ცდებისათვის საჭირო სახსარის შესახებ და ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინოს სათანადო მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

9. დაევალოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს—„სარეწაო კავშირს“ გააფართოოს თავის სისტემაში „ფომას“ სისტემის გოგირდის ხელით საყრელი აპარატების წარმოება იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის მაისის 5-სათვის გამოშვებულ იქნეს არა ნაკლებ 3.000 ცალი ასეთი აპარატი.

10. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის ტრესტს მისცეს დირექტივა სათანადო სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, რათა მათ, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, გამოჰყონ ტყის ნაკვეთები ვენახებისათვის ხარდანის მოსაჭრელად.

11. რადგანაც მიწის გადასაბრუნებელი გუთნების მოთხოვნილება 1932 წელს ცენტრალიზებული მომარაგების წესით დაკმაყოფილებულია მხოლოდ არაუმეტეს, ვიდრე 70 პროცენტით, დაევალოს აღნიშნულ ტრესტს დასდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონტრესტთან ხელშეკრულება მიწის გადასაბრუნებელი გუთნების დანარჩენი ნაწილის დამზადების შესახებ.

12. დაწესებულ იქნეს 1932 წელს პურის მომარაგების შემდეგი ნორმები ახლად გაშენებული ვენახებისათვის:

ა) კოლექტიურ მეურნეობათათვის — ერთი ტონა პური და ახლად ჩაყრილი 1 ჰექტარი ვენახისათვის;

ბ) ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის—0,66 ტონა პური ახლად ჩაყრილი 1 ჰექტარი ვენახისათვის;

13. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების კომისიას მოისმინოს კვარტალობით სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების მოხსენებანი კონტრაქტაციისა, ღვინის დამზადებისა და ვენახების გაშენების მსვლელობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ. თავჯ-რე: **ბ. მგალობლიშვილი.**

საქართ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია.**

ხელმძღვანელი სამეურნეო და საგეგმო ორგანოების მუშაობა. ამ საფუძველზე, წინანდელი პერიოდის მიღწევების საფუძველზე, ბოლშევიკური ტემპების საფუძველზე, ჩვენ მივაღწიეთ გადამწყვეტ გარდატეხას ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში. აგრარული ქვეყნიდან ჩვენ აშკარად ვხდებით ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად. 1923 წელს რუსეთის რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკამ ამიერ-კავკ. რესპუბლიკებს საჩუქრად გამოუგზავნა თითო თითო საფეიქრო ფაბრიკა. ჩვენ მაშინ თავს დავსტრიალებდით ჩვენი ინდუსტრიალიზაციის ამ „პირმშოებს“. ამჟამად ეს პირმშოები ჩრდილება ამიერ-კავკ. რესპუბლიკების მრავალი ასეული საფაბრიკო-საქარხნო საწარმოს შორის ახალ მშენებლობათა შორის.

ნავთის მრეწველობის ხუთწლედი შესრულდა ორნახევარ წელს. მთელ რიგმა სხვა წარმოებებმა ხუთწლედი შეასრულეს 3 წელიწადში. სახალხო მეურნეობის მთელი პირველი ხუთწლედის გეგმას—უდიდესი [illegible] გეგმას ჩვენ 4 წელიწადში ვანხორციელებთ. აზნავთი გადაიქცა საბჭოთა ნავთის მრეწველობის მძლავრ ტრესტად, რომელიც მოწყობილია მოწინავე ევროპიული და ამერიკული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აზნავთმა ფართოდ გაშალა თავისი წარმოება ბათომის მიდამოებში. ახალი ნავთსადენი ბაქოს და ბათომს შორის, ძველ ნავთსადენთან ერთად, ამიერ-კავკ. რკინის გზები, რომელთა ელექტროფიკაცია ხდება, ჩვენი ელექტროსადგურები, რომლებიც უნდა გაერთიანდეს ამიერ-კავკ. მასშტაბით,—წარმოადგენენ საბჭოთა ამიერ-კავკასიის მტკიცე ინდუსტრიალურ შემაკავშირებელ ძალას.

მთელი რიგი ახალი ინდუსტრიალური დარგები ამიერ-კავკ. ყველა რესპუბლიკებში —მანქანათ-მშენებლობა, საშენი მასალის წარმოება, ქიმიური მრეწველობა და სხვ.,—ჩვენი მდინარეების და ტბების ენერგეტიული რესურსების გამოყენების საფუძველზე ცვლიან ჩვენი ქვეყნის სახეს. ამიერ-კავკ. მრეწველობა 1932 წელს სამჯერ და უფრო მეტად გადააჭარბებს ომის წინადროინდელ დონეს. მეურნეობის სოციალისტურ ფორმების საფუძველზე იზრდება სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ტრაქტორიზაცია, სოციალ-ტეხნიკური რეკონსტრუქციის პროცესები იწვევენ ჩვენი ჩამორჩენილ სოფლის გარდაქმნას. ასეული საბჭოთა მეურნეობანი, მორწყვის და ჭაობების დაშრობის სამუშაოთა მძლავრი გაქანება შესაძლებელს ხდის ბამბის ნათესების უდიდესად ზრდას, ჩაის, თამბაქოს, რამის და სხვა ტეხნიკურ კულტურების განვითარებას. და ყოველივე ეს ხდება სახალხო მეურნეობის მთლიანი გეგმის, ქალაქად და სოფლად სოციალისტური მშენებლობის გაშლის გეგმის საფუძველზე.

სოციალისტური მეურნეობის გაშლის ნიადაგზე ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურული რევოლიუცია. კულტურა მძლავრი ნაკადით იჭრება იმ ხალხებსა და ტომებში, რომელთაც საბჭოთა რევოლიუციამდე არ ჰქონიათ თავიანთი დამწერლობა, თავიანთი ანბანი. ისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა. საყოველთაო სწავლება მალე სავსებით განხორციელდება. ვითარდება პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც იბრძვის ჰეგემონიისათვის და გამარჯვებას უახლოვდება. უმაგალითოდ იზრდება პროლეტარიატი, იზრდებიან სოციალისტურ მშენებლობის კადრები, მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის წრიდან. წითელი არმიის სკოლას გადის მრავალი ათასი ნაციონალი., სამხედრო-პოლიტიკური მხრით განმტკიცდნენ ჩვენი საერთო წითელი არმიის ნაციონალური ნაწილები, რომელნიც ღირსეულად ეჯიბრებიან და „ექიშპებიან“ ნომრიან დივიზიებს. განმტკიცდა და მძლავრ, 400 ათას კაციანაგან შემდგარ ძალად გაიზარდა ჩვენი კომკავშირი, პარტიის ერთგული თანაშემწე, ინტერნაციონალიზმის მედროშე. მას მიჰყვებიან პიონერთა მოხმაური კოლონები, რომელნიც „ყოველთვის მზად“ არიან ყელში ეცნენ საბჭოთა ხელისუფლების მტერს, ინტერვენტს, შოვინისტს, რომელნიც ემზადებიან ჩადგნენ სოციალიზმის მშენებელთა არმიის რიგებში.

ჩვენი ძლიერების, ჩვენი განვითარების წყაროს წარმოადგენს ჩვენი პარტია. მან შექმნა და განამტკიცა ამიერ-კავკ. ფედერაცია, მაგრამ თვითონ იგი არის მთლიანი, ცენტრალიზებული, რომელიც მუშაობს, აშენებს, იბრძვის და თავის ნაწილებს ხელმძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე, თავისი რიგების მონოლიტობის საფუძველზე. ამ მონოლიტობამ, ნებისყოფის ერთიანობამ. ყველა დაბრკოლებათა გადალახვაში ბოლშევიკური პარტიულობის სრული კონსოლიდაციის გზაზე, განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ჩვენს უკანასკნელ კონფერენციებსა და ყრილობებზე, სადაც ჩვენ ჩავატარეთ მუშაობა ამიერ-კავკ. ორგანიზაციებში გამოაშკარავებულ ჯგუფობრიობის და ატამანობის ელემენტების საბოლოო მხილებისა და ლიკვიდაციისათვის. ეს მთლიანობა, ეს კონსოლიდაცია, ბოლშევიკური პარტიულობის საფუძველზე, პარტიის გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე, ჩვენ უნდა დავიცვათ ყოველგვარი, როგორიც არ უნდა იყოს, ჯგუფობრივობის წარმომადგენლების თავდასხმისაგან, ერთად-ერთი სწორ ლენინურ ხაზიდან გადამხრელთა წინააღმდეგ მემარჯვენეთა და „მემარცხენეთა“ წინააღმდეგ, შემარიგებლების, კონტრაბანდისტების წინააღმდეგ, ისე როგორც დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

მემარჯვენეებთან ბრძოლით, „მემარცხენეებთან“ ბრძოლით, ორ ფრონტზე ბრძოლით—დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლით, ამ გადახრებთან შემარიგებელთა წინააღმდეგ შემდეგშიც უნდა განვამტკიცოთ ჩვენი რიგების მთლიანობა ლენინური დისციპლინის მკვიდრ ბაზაზე.

ჩვენ მიერ უკანასკნელ დროს დაშვებულ შეცდომებს შორის, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ამიერ-კავკასიაში ნაციონალური პოლიტიკის გატარების დროს დაშვებული შეცდომებიც.

ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტს პირველად დასდეს ბრალი და სავსებით სამართლიანადაც—დიდი შეცდომის დაშვებაში იმ მუშაობის ხაზით, რომლის მხრით ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა ყოველთვის წარმოადგენდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი გატარების მაგალითს, განსაკუთრებით ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობის დროს. ამიერ-კავკასიის ფედერაცია უკანასკნელ დრომდე სამართლიანად ითვლებოდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სანიმუშო საცდელ მინდვრად.

ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის წინანდელმა ხელმძღვანელობამ აიღო შეცდარი ხაზი, დაუშვა გადაჭარბებული ცენტრალიზაცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რამაც გამოიწვია მთელ რიგ დარგებში რესპუბლიკანური ორგანოების სახის დაკარგვა. შეცდომა სავსებით უნდა გამოსწორდეს ბოლომდე. შეცდომა სწორდება, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ოდნავ მაინც ეჭვი შეგვაქვს ამიერ-კავკ. ფედერაციის სიმტკიცესა და მიზანშეწონილებაში, რომ ჩვენ ვსვამთ ამ ფედერაციის რევიზიის საკითხს? რა თქმა უნდა, არა.

1930 წლის გაზაფხულზე ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია გამოედევნა კოლექტივიზაციის დიდ ციფრებს და მით დაუშვა უდიდესი შეცდომა, ერთობ შორს წავიდნენ, რამაც ზოგიერთ ადგილას შექმნა გართულება და რეალური საფრთხე.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად მოუწოდა წესრიგისაკენ თავაშვებულთ, ე. ი. მოუწოდა დაბრუნებოდნენ სწორ პარტიულ პოზიციას. ეს, როგორც ვიცით, მოასწავებდა არა თუ კოლექტივიზაციის პოლიტიკაზე ხელის აღებას, არამედ სწორედ ჩვენი პოზიციების გაძლიერებას, სწორ ხაზზე დაბრუნების გზით. იგივე ითქმის ამიერ-კავკ. ფედერაციის საკითხის შესახებაც. ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორებამ ხელი უნდა შეუწყოს შემდეგში ამიერ-კავკ. ფედერაციის განმტკიცების საქმეს. მისი პოლიტიკური და სამეურნეო სიძლიერის განმტკიცებას. ჩვენ ვეწევით მუშაობას ამ მიმართულებით. და ჩვენ ამ.-კავკასიის ფედერაციის პირველი ათი წლისთავს ვხვდებით ღრმად დარწმუნებულნი იმაში, რომ ამიერ-კავკ. ფედერაცია შემდეგშიაც დარჩება ნაციონალური მშვიდობიანობის და ამიერ-კავკ. ხალხთა მჭიდრო, სოციალისტური ძმობის მტკიცე საფუძვლად და სოციალისტური მშენებლობის შემოწმებულ იარაღად.

ამიერ-კავკ. ფედერაციის ათი წლის იუბილე ხვდება ჩვენი პირველი ხუთწლედის უკანასკნელ დამამთავრებელ წელს. ამ წელს ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვიკრიბოთ იმისათვის, რომ შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმა 1932 წელში. მეტალურგია, ქვანახშირი, ნავთი, ტრანსპორტი, მანქანათმშენებლობა, ძირითადი ქიმია და სხვა—აი საკავშირო ინდუსტრიალიზაციის დამკვრელი, წამყვანი დარგები. ბოლშევიკური ტემპებით, სოცშეჯიბრებით და დამკვრელობით, ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმალური გაუმჯობესებით ტრანსპორტზე, მშენებლობაში, წარმოებაში, ფაბრიკა-ქარხანაში და მინდვრად, სანიმუშო შრომის დისციპლინით, როგორიც შეეფერება იმ ქვეყანას, რომელმაც დაამთავრა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი—ჩვენ მობილიზაცია უნდა ვუყოთ ყველა რეზერვებს, მოვიკრიბოთ მთელი ძალღონე, სათავეში ჩავუდგეთ მასების უფრო და უფრო გაძლიერებულ ენტუზიაზმს პირველი ხუთწლედის უკანასკნელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად.

ჩვენ შევდივართ იმ მეორე ხუთწლედის მოსამზადებელ პერიოდში, რომლის ძირითად პოლიტიკურ გეზს წარმოადგენს უკლასო საზოგადოების შექმნა, პირველ ხუთწლედში სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე კაპიტალიზმის ფესვების საბოლოოდ გამოთხრით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ჩვენ, ბოლშევიკები პროლეტარულ რევოლიუციის რეალური პოლიტიკოსები ვართ' ჩვენ ვისახავთ რეალურ ამოცანებს და ვითვალისწინებთ გამარჯვების როგორც ობიექტიურ, ისე სუბიექტიურ პირობებს, მხედველობაში ვღებულობთ მასების ენტუზიაზმს, იმ მილიონების ნებისყოფას, რომლებსაც რაზმავს ჩვენი პარტია. ჩვენი მეორე ხუთწლედის ცენტრალურ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კაპიტალისტურ ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვითვალისწინებთ უახლოესი მომავლის რეალურ სურათს. კლასობრივ ურთიერთობას მეორე ხუთწლედში. „შემდეგშიაც აუცილებელია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ცალკე მომენტებში და განსაკუთრებით ცალკე რაიონებში და სოციალისტურ მშენებლობის ცალკე დარგებში“ (მე-17 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან). გვსურს, თუ არ გვსურს ეს ჩვენ, ამიერ-კავკასია მეორე ხუთწლედშიაც თავის ზოგიერთ ნაწილებში იქნება „კლასობრივი ბრძოლის გამწვავების რაიონი“, ამიტომ ჩვენ ოდნავადაც ვერ შევასუსტებთ ჩვენს კლასობრივ საბრძოლო მზადყოფნას. ჩვენ ხომ უშუალო კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით და, მაშასადამე, ჩვენი ბრძოლის მთელი არსენალი მზად უნდა ვიქონიოთ. ჩვენ არ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ „უმტკივნეულო განვითარებით“ მეორე ხუთწლედში. ექნება თუ არა ადგილი ამა თუ იმ ნაწილში კლასობრივ ბრძოლის გამწვავებას, შესძლებს თუ არა ემიგრაცია შემოგვისიოს სადმე ბანდიტები, გამარჯვებს თუ არა ამა თუ იმ კოლმეურნეებს შორის წვრილბურჟუაზიული, ანტისოციალისტური ტენდენციები, შესძლებენ თუ არა მტრები ნაციონალური შუღლის პროვოკაციულად გაღვივებას სადმე,—ეს იქნება კლასობრივი ბრძოლის ელემენტები ახალ ფორმებში. ეს გამოხატულებას ჰპოვებს ჩვენი პარტიის ზოგიერთ არამტკიცე ელემენტშიაც, ეს მისცემს საზრდოს გადახრებს პარტიის რიგებში.

ამიტომ ბრძოლა გადახრებთან ჩვენი ბოლშევიკური ხაზიდან მეორე ხუთწლედშიაც სავსებით ძალაში რჩება. ამასთან მემარჯვენე გადახრა წინანდებურად იქნება მთავარი საფრთხე, და ჩვენს მუშაობაში მასების შეგნების სოციალისტური გარდაქმნისათვის, ამ შეგნების გაწმენდისათვის წვრილბურჟუაზიული ფსიხოლოგიის ნაშთებიდან, ჩვენ იქედან უნდა გამოვდიოდეთ, რომ საჭიროა ყოველნაირად უზრუნველვყოთ პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარება. ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იქედან, რომ საჭიროა პროლეტარული დიქტატურის ორგანოების და პირველ რიგში ამ დიქტატურის მთავარი ორგანოს—პროლეტარული სახელმწიფოს შენარჩუნება და განმტკიცება.

ამ თვალსაზრისით, ჩვენ გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის ფედერაციის, როგორც ისეთი ორგანოს შენარჩუნება და შემდგომი განმტკიცება, რომლის შემწეობით მომავალშიაც დავძლევთ ნაციონალურ იდეოლოგიის ნაშთებს და განვავითარებთ ინტერნაციონალურ გრძნობას და შეგნებას ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ფენებში.

ჩვენ უნდა განვაგრძოთ შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე ნაციონალურ საკითხის დარგში, დიდმპყრობელურ შოვინიზმისაკენ გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ნაციონალურ საკითხში, და ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ გადახრასთან, რომელიც ასუსტებს მშრომელთა მთლიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს.

ეს განსაკუთრებით არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ, რომლებიც ვიმყოფებით უშუალო მეზობლობაში ბურჟუაზიულ გარემოცვასთან საიდანაც ჩვენში იჭრება და შემდეგშიაც შემოიჭრება კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის და მებრძოლი იმპერიალიზმის გავლენა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობა წარმოადგენს მრავალერიან ამიერ-კავკასიის მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია გაინაწილებს საერთო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ბედს ჩვენს საბჭოთა კავშირში.

ეხლანდელ ეტაპზე ჩვენ საჭიროდ ვთვლით პროლეტარიატის დიქტატურის, ე. ი. პროლეტარული სახელმწიფოს გაძლიერებას, ამით მხარს ვუჭერთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და სამეურნეო სიძლიერის განმტკიცებას მეორე ხუთწლედშიაც.

ეს ფედერაცია იარსებებს მანამდე, სანამ ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო, სანამ გვჭირდება სახელმწიფოებრივი გაერთიანება ხალხთა შორის, გაერთიანება, რომელიც მიმართულ უნდა იქნას მტკიცე მშვიდობიანობის დაცვისაკენ, სახალხო მეურნეობის განვითარებისაკენ სოციალისტური გზით, ლენინი სწერდა, რომ

> „ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავება ხალხებსა და ქვეყნებს შორის... იარსებებს ჯერ კიდევ დიდხანს, მთელი მსოფლიო მაშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის შემდეგაც“. (ტომი მე-17, გვ. 178).

დღეს, ამ ფედერაციის პირველი ათი წლის თავზე, სრული სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ შეურიგებელი ბოლშევიზმის, შეურიგებელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა არ დაგვიხრია იმ სიძნელეების წინაშე, რომლებიც წამოიჭრა ჩვენს წინ ამ ფედერაციის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ვამაყობთ იმ შეგნებით, რომ ამ ფედერაციის პოლიტიკური ავტორები იყვნენ ამხანაგი ლენინი, ამხ. სტალინი, ლენინური პოლიტბიურო, რომელიც არა ერთხელ დაბრუნებია ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხებს, და გვაძლევდა ყველა დარგში ბოლშევიკურ რჩევას და დირექტივებს, რაც გვიადვილებდა სწორ მუშაობას. ჩვენ ამჟამად ვიგონებთ იმ ამხანაგ-ბოლშევიკს, რომელიც იყო აქ ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ნამდვილ წარმომადგენლად, რომელიც აწარმოებდა აქ განსაკუთრებით პრინციპიალურ ბრძოლას ბოლშევიზმის პოზიციებისათვის ინტერნაციონალური ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის, პირველ რიგში ბაქოს და თბილისის ორგანიზაციების მეთაურობით. ეს ამხანაგია, ს ორჯონიკიძე. (ტაში).

ამხ. ორჯონიკიძის სახელთან არის დაკავშირებული როგორც ბრძოლის დაწყება ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის, ისე ამ ფედერაციის შემდგომი განმტკიცება. მან მოგვცა იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ შემდეგში ინტერნაციონალიზმისათვის ამიერ-კავკასიაში, ლენინური ხაზის სიწმინდისათვის, უშიშარი მუშაობისათვის სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად აქ, ჩვენი საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს განაპირა ქვეყანაში.

ამხ. ორჯონიკიძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აქ ლენინიზმის საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილ ბოლშევიკურ გატარებას. ჩვენს მოვალეობას შეადგენს ერთგულად გავატაროთ, ერთგულად დავიცვათ ეს ტრადიცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის მეორე ათწლეულშიაც, განვაგრძოთ ბოლშევიკური შეუპოვრობით მუშაობა ხალხთა სოციალისტური მთლიანობისა და ძმობის განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისა და აშენებისათვის და მით გავამართლოთ ის ნდობა, რომელიც გამოიჩინა ჩვენ მიმართ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობამ პოლიტბიუროს სახით ამხ. სტალინის—ლენინის შემდეგ საუკეთესო ხელმძღვანელის და ლენინის საუკეთესო მოწაფის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

საუკეთესო ამხანაგის ხსოვნას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ულმობელმა სიკვდილმა სიცოცხლეს გამოასალმა ძველი ბოლშევიკი და საუკეთესო ამხანაგი აბესალომ თენეიშვილი. ის დაიბადა 1898 წ. სოფ. ბახვში (გურიაში) ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველ-დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, რადგან მას არ ჰქონდა სწავლის გაგრძელების საშუალება, აბესალომმა მუშაობა დაიწყო ბათომის ერთ-ერთ ქარხანაში, სადაც იგი აქტიურად ჩაება მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაში. 1917 წელში თებერვლის რევოლიუციას აბესალომი პოლიტიკურად სრულიად მომზადებული შეხვდა და მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით ჩაება პარტიულ მუშაობაში.

მენშევიკების ბატონობის დროს, როდესაც პარტია რაზმავდა რევოლიუციონურ მუშებს და მშრომელ გლეხებს და ამით ამზადებდა ნიადაგს საქართველოს ოქტომბრისათვის, აბესალომი ასრულებს სხვადასხვა სერიოზულ დავალებებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა გურიის ბოლშევიკების ცნობილ გამოსვლებში, ჟორდანია-რამიშვილის მთავრობის წინააღმდეგ, რისთვისაც მას აპატიმრებენ. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ პარტიის დავალებით აბესალომი გადმოდის გორში და იქ განაგრძობს მუშაობას, მაგრამ მას აქაც აპატიმრებენ. 1920 წელს მას ლანჩხუთში აპატიმრებენ და ასახლებენ ბაქოში.

საბჭოთა საქართველოში ამხ. თენეიშვილი ახალი გატაცებით და განუსაზღვრელი ენერგიით შეუდგა მუშაობას. 1924 წლამდე ის კახეთში (თელავის მაზრაში) მუშაობს სხვადასხვა საპასუხისმგ. თანამდებობაზე. ამავე წლებში აბესალომი აწარმოებს სასტიკ ბრძოლას ჩოლოყაშვილის ბანდის წინააღმდეგ. 1924 წლიდან იგი გადმოდის თბილისში და მუშაობას იწყებს რესპუბლიკის პროკურატურაში, ხოლო უკანასკნელ დროს მუშაობდა თბილისის გაერთიანებულ სასამართლოს თავმჯდომარედ. აბესალომი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა როგორც სასამართლო ორგანოების, ისე პროკურატურის რეორგანიზაციაში და თავის მუშაობაში მტკიცედ ატარებდა რევოლიუციონურ საბჭოთა სამართალს.

ამხ. აბესალომის სახით ბოლშევიკურმა პარტიამ დაკარგა საუკეთესო მებრძოლი და სოციალიზმის აქტიური მშენებელი.

ამხანაგების ერთი ჯგუფი.

ამხ. აბესალომი

26 თებერვალს, მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ რესპუბლიკის საავადმყოფოში გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საუკეთესო ამხანაგი აბესალომ თენეიშვილი.

ღარიბ ოჯახიდან გამოსული აბესალომი იძულებული გახდა ადრევე დაენებებია თავი სწავლისათვის და შავ მუშათ შევიდა პიტოევის ქარხანაში ბათომში, აქ ის უახლოვდება მუშა ბოლშევიკებს და სულ მალე აქტიურად ებმება არალეგალურ პარტიულ მუშაობაში. 1916 წელში აბესალომი ჯარში გაიწვიეს. ჯარის ნაწილებში რევოლიუციონური მუშაობისათვის ის რამოდენიმეჯერ იყო დაპატიმრებული. 1917 წ. ის არჩეულ იქნა მ.-გ. და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. 1917 წლიდან აბესალომი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული და პოლიტიკურ ბრძოლისათვის მომზადებული ბოლშევიკია. მუშაობს ჯერ გურიაში, შემდეგ გორის მაზრაში. მენშევიკების დროს ამხ. აბესალომ რამოდენიმეჯერ იყო დაპატიმრებული. იგი გურიაში გააფთრებულ არალეგალურ მუშაობას აწარმოებს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1920 წ ის ქ. ლანჩხუთში გურიის ბოლშევიკური სამაზრო კომიტეტის პლენუმზე სხვა ამხანაგებთან ერთად მენშევიკების აგენტებმა, დააპატიმრეს და რამოდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს ბაქოში.

1921 წ. თებერვლის შემდეგ ამხ. აბესალომი მუშაობს თელავის მაზრაში სამაზრო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგეთ, შემდეგ ყვარლის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეთ, შემდეგ ისევ სამაზრკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ და სხვ. 1924 წლიდან ამხ. თენეიშვილი მუშაობს იუსტიციის ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. უკანასკნელად ამხ. თენეიშვილი იყო თბილისის გაერთიანებულ სახ. სასამართლოს თავმჯდომარეთ.

ამხ. აბესალომს ჰქონდა ორგანიზატორული ნიჭი, ის იყო ერთგული დარაჯი რევოლიუციონური კანონიერების საგუშაგოზე. მას ჰქონდა ბოლშევიკური თვისება— იყო პირდაპირი, გაბედული.

ჩვენ აღარა გვყავს საყვარელი აბესალომი. მაგრამ ჩვენ არ ვსტირით, თუ ჩვენს რიგებს აკლდება ერთეულები საუკეთესო ამხანაგებისა, სამაგიეროთ ის ასობით და ათასობით იზრდება ახალ - ახალი მებრძოლებით.

თ. დოლიძე.

საქ. ცაკის გარდამავალი დროშა
ჭიათურის მარგანეცის მაღაროებს

ამიერ - კავკასიის პროფსაბჭო დაეთანხმა საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებას ჭიათურის მარგანეცის მაღაროების საქართველოს ცაკის გარდამავალი დროშით დაჯილდოების შესახებ სამრეწველო - საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დარგში. დროშის საზეიმო გადაცემა მოხდება უახლოეს დროში, ჭიათურაში. (ადს).

ბულკაშვილი გაირიცხა პარტიის რიგებიდან

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების შესრულებლობისათვის

ამხ. კონსტანტინე ბულკაშვილს, რომელმაც დაამთავრა ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი, საქ. კომპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ წინადადება ჰქონდა მიცემული წასულიყო სამუშაოზე ცენტრალური კომიტეტის განაწილების თანახმად.

ამხ. ბულკაშვილმა უარი განაცხადა სამუშაოდ წასვლაზე იმ მოტივით, რომ მას სურს სწავლის გაგრძელება.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების შეუსრულებლობისათვის ცენტრალური საკ. კომისიის პარტკოლეგიის 10 თებერვლის დადგენილებით **ამხ. ბულკაშვილი გამორიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან.**

საქ. კომპ. (ბ) ც. საკ. კ. პარტკოლეგიის პ.-მგ. მდივანი: **ს. მეზრელიშვილი.**

კომკავშირული ლიტერატურის დათვალიერების საღამო

3 მარტს, საღამოს 6 საათზე „კომუნისტი“-ს რედაქციის ა.ლ.კ.კ. უჯრედი აწყობს კომკავშირული ლიტერატურის დათვალიერების საღამოს. გარჩეულ იქნება პანტ. ჩხაკვაძის მოთხრობა „ამხანაგი ბუთხუზი“.

მოწვეულნი არიან ამხ.ამხ. შ. რადიანი, პ. ქიქოძე, დ. დემეტრაძე, ბ. ბუაჩიძე, აქ. ქუთონია, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ქ. მელაძე, ვ. ლუარსაბიძე, ერ. ასტვაცატუროვი, ვ. მიქაძე, დ. ვოლსკი, ალ. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე ფ. ნაროუშვილი, ქ. კალაძე, ე. პოლუმორდვინოვი, ს. ეული, გ. ჩხეიძე, ირ. აბაშიძე.

გ. კაკაბაძე, მ. ჩიქოვანი, დ. ჯღარკავა, ი. ნაზაბეგოვი, გალდავა (სტალ. ქარ.), გ. რურსაძე, მამიკონიანი, შ. მთვრალაშვილი (ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი).

საღამო გაიმართება „კომუნისტი“-ს სტამბის მუშათა კლუბში (კამოს ქ. № 68).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხვალ, 2 მარტს, დღის 12 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი 1932 წლის კულტმშენებლობის გეგმის და მუშათა ცენტრების და ტეხნიკური კულტურების რაიონების მომსახურების შესახებ. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებათა შესრულების შემოწმების თვალსაზრისით თათბირს დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ორგანიზაციების პასუხისმგებელი წარმომადგენლები: თბილისის კომიტეტი, ა.-კ. სამხარეო კომიტეტის კულტურის და შესრულების შემოწმების თვალსაზრისით პროპაგანდის განყოფილება, საქ. პროფსაბჭო, ა.-კ. პროფსაბჭო, საქ. საგეგმო კომისია, საქ. ს. მ. უ საბჭო, საქ. კოლმეურნეობათა ცენტრი, ა.-კ. მებამბეობის ცენტრი; „საქართველოს ჩაი“, საქ. მიწსახკომი; ჯანსახკომი, განსახკომი, საბჭოთა მეურნეობის ტრესტი, საქ. ტრაქტორცენტრი, რადიოცენტრი, სახკინმრეწვი და ამხ. სიამაშვილი. (ა.-კ. კომუნივერსიტეტი). ზემოაღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები თათბირზე უნდა გამოცხადდენ სათანადო კონკრეტული მასალებით.

—:—

ს.კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპ განყოფილება წინადადებას აძლევს დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ცეკას კულტპროპში (ოთახი № 19) ა.-წ. 2 მარტს 12 საათისათვის: გაბუნია ივლიანე (სამართლის ინსტიტუტი), ჩახვაძე ზოსიმე (მომარაგების სახკომი), გელოვანი ანდრო (ორჯონიკიძის რაიონის პარტკაბინეტი), მღებრიშვილი ალექსანდრე (სამხარეო [illegible]), [illegible] კვაძე შალვა ([illegible]), [illegible] შკაშელი (ორჯონიკიძის რაისაბჭოს განყოფილება), [illegible] ნინო ([illegible] ტიტუტი), კალმახიძე (მარქს.-ლენინიზმის ინსტ.), შველიძე (კოოპტეხნიკუმი), გიორგაძე (განსახკომი), პაპავა (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ.), ფაჩულია მ. (ს. მეურნ. რეკონ. ინსტიტუტი), ახობაძე, ჩიჩიბაია, პანარენკო, ფრანგიშვილი (მარქ. ლენ. ინსტ.).

—:—

დღეს 1-ლ მარტს საღამოს 6 საათზე მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში დანიშნულია მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტისა და საკავშირო სამეცნიერო აკადემიის კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტის მატერიალური და სიტყვიერების კულტურის სექციათა სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნება მოხსენებები: ამხ. ხაშმასი—„თანამედროვე მდგომარეობა ლინგვისტიკის ფრონტზე“, ამხ. ზიუფელდტ-სიმუმიატის „ლინგვისტიკის მდგომარეობა აზერბეიჯანში“, ამხ. ციგაშის „ლინგვისტიკის მდგომარეობა საქართველოში და სომხეთში“.

—:—

2 მარტს დილის 12 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. კადრების განყოფილებაში ამხ. ბენიაშვილთან უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ილარიონ ჯარკოვი, ბაგრატ ჩარექიშვილი, აკაკი მუქერია, ტყემალაძე, გოგიშვილი.

სახელმწ. ოპერა

დღეს, ორი წარმოდგ.

დღისით ს. ი. მიგაის მონ. **დემონი** ბილ. გაყიდ. დას. 12 ს. 15 წ.

საღამოთი 16 აბ. 7 წ. **დაისი**

2 მარ. 11 აბ. 11 წ. ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **კარმენი**

3 მარტს 15 აბ. 11 წ. ს. ი. მიგაის მონაწილეობით **ევგენი ონეგინი**

ყველა აბონენტების მე-8 მორიგი შესატანი მიიღება ყოველდღე 11 დან 2 საათამდე 6 დან 8 საათამდე. ვინც მე-7 საბონემენტო შესატანს, არ გადაიხდის ნაშუადღევს 2 საათზე წარმოდგენაზე არ იქნება დაშვებული და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრივი წესით. ნ. 396

რუს. თეატრი [illegible]

4 მარტს აბონემენტის გარეშე

პრემიერა პ. სამსონიძე

[illegible]

მიღებულ ქვითრების ბილეთებზე გადაცვლა სწარმოებს დირექცია. 3—1 ნ. 390

სახ. დრამა [illegible]

2 მარტს 5 აბ. 7 წ. **პური**

3 მარტს 2 აბ. 7 წ. **ყვარყვარე თუთაბერი**

6 მარტ. აბ. გარ. **ურიელ აკოსტა**

ამ დღეებში მორიგი პრემიერა გერცელ ბაუზოვის „როცა მუწუები ალაპარაკდებიან“. ნ. 394

სახ. ცირკი დასაწყ. 8-15 წ.

დღეს 2 წარმოდგენა

დღისით წარმოდგენა ბავშვებისათვის დასაწყისი დღის 2 საათზე.

საღამოს დიდი წარმოდგენა ხმ განახლებულად ნ. გ. გლადილშჩიკოვის და ახლად ჩამოსულ არტისტების მონაწილეობით. დასაწყისი 8 საათსა და 15 წუთზე.

ნ. 387

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (ყ.-ამირანი) სეან. 4, 6-30, 8-30, 10-30.

დღის კინო **სპარტაკი** სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.

საღამო კინო **სპარტაკი** სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.

კინო დამკვრელი (ყოფ. მოლაბი) სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.

რ. ლუქსემბურ. სახ. (ყოფ. მინიონი) სეან. დას. 6-30, 8, 9-30, 11.

კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.

დადგმის უკანასკნელი დღეები **ერთი** რეჟ.:—კოზინცევი და ტრაუბერგი. კომპოზიტორი—შოსტაკოვიჩი.

[illegible] სახლი მალიონოვსკაიას მონაწილეობით.

ახალი მხატვრული ფილმი **უცხო ნაპირი**

მხატვრ. სურათი **ძია თომას ქოხი** ბიჩერ სტოუს მოთხრობის მიხედვით.

ამერიკული კომედია **უკანასკნელ წუთში**

იაპონური მხატვრ. სურათი **სუმიკო**

= სახელგამი =

საქ. კ. პ. (ბ) მე-17 პარტკონფერენციის და საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის

მასალები (მოხსენებები და რეზოლიუციები)

დაიბეჭდა და იყიდება:

1. ვ. მოლოტოვის და ვ. კუიბიშევის; 1—მოხსენებები (საბოლოო სიტყვით)
   2—დირექტივები საბჭოთა კავშ. სახალხო მეურნეობის, მეორე ხუთწლედის (1933—1937 წ.) შედგენისათვის 195 გვ. ფასი 60 კ.
2. ს. ორჯონიკიძე—1 — სოციალისტურ მრეწველობის მიღწევები და ამოცანები (საბოლოო სიტყვით)
   2—რეზოლიუციები მრეწველობის განვითარებისათვის 1932 წელში 160 გვ. ფასი 5—50 კ.
3. ლ. ბერია—საქართველოს კ. პ. (ბ) მორიგი ამოცანები (მოხსენება, საბოლოო სიტყვა და რეზოლიუცია) 172 გვ. ფასი 5—40 კ.
4. ლ. ბერია—საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანები (მოხსენება რესპუბლიკ. პარტიულ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების შესახებ) 60 გვ. ფასი 25 კ.

აღნიშნული ლიტერატურა ნაწილდება წინასწარი დაკვეთების მიხედვით, საჭიროა პარტიულმა, კომკავშირულმა, საბჭოთა და პროფესიონალურმა ორგანიზაცია — დაწესებულებებმა და მუშაკებმა დაუყონებლივ წარმოუდგინონ სათანადო დაკვეთები სახელგამის მაღაზიებს თბილისში (ან პროვინციაში).

სახელგამი ნ. 393

ხუთშაბათიდან 3 მარტიდან

კინო-თეატრ ოქტომბერში

ნამდვილი მოლაპარაკე ხმოვანი ფილმი

ოქროს მთები

ფილმის ავტორი—ს. იუტკევიჩი. მუსიკა კომპოზიტორის აშ. შოსტაკოვიჩის.

მთავარ როლებში:

დამსახ. მსახ. ი. კორვინ-კრუკოვსკი, ბ. პოსლავსკი, ნ. რაზუმოვი.

წინასწარი დაკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე მიიღება ყოველდღე კინო „ოქტომბერი“-ს სალაროში დღის 11-დან 4 საათამდე. ნ. 397

ვღებულობ სრულიად უცოდინარებს და მცირე მცოდნეთ და ვასწავლი **არითმეტიკას** ქართულ, რუსულ წერა-კითხვას. მუშფ. მუშათა უნივ. შესასვლელად აგრეთვე ვასწავლი უმაღლეს სასწავლებლის დაუსწრებელ მსმენელებს **ალგებრას** გეომეტრიას, ტრიგონომეტრიას და ვასწორებ სკოლის მოწაფეებს საშუალო სკოლის პროგრამით. პლეხანოვის ქუჩა № 25 ან ჩერნიშევის ქ. № 5. 2 ს.—7 ს. დ. 2-1 1814

ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ საკავშირო გაერთიანება

„საქ-ჩაი“-ს მმართველობა

აქვეყნებს საერთაშორისო შეჯიბრს მექანიზაციის ხაზით მანქანა-იარაღების კონსტრუქციის შესახებ ჩაის კულტურისათვის.

შეჯიბრის პირობები

1) შეჯიბრების ობიექტები და ჯილდოს რაოდენობა:

	1-ლი ჯილდო	2 ჯილდო	3 ჯილდო
	მან.	მან.	მან.
ჩაის პლანტაციების გაშენების მეთოდი ფერდობზე დაქანებით 5—30-მდე	5.000	3.000	—
სადრენაჟო მანქანა	18.000	10.000	7.000
ტრანშეის ამოსაღები მანქანა	10.000	5.000	3.000
სათესი მანქანა	3.000	1.000	—
ჩაის პლანტაციის უნივერს. ტრაქტ.	20.000	15.000	10.000
ჩასარგავი მანქანა	10.000	5.000	3.000
რიგთა შორის სამუშაო მანქანა	15.000	10.000	5.000
სასუქის შემტანი მანქანა	7.000	4.000	2.000
ხიდრაციის მანქანა	3.000	1.000	—
საკრეჭი და ფორმის მიმცემი მანქანა	8.000	6.000	4.000
ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა	20.000	15.000	10.000

2) ყველა პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნეს დახურულ კონვერტით წინადადების ავტორის გვარის მისამართის შესაფერი ნახაზების და განმარტების თანდართვით.

3) პროექტის წარმოდგენის უკანასკნელ ვადათ მიჩნეულია 31 ივნისი 1932 წელი.

4) პროექტები, რომლებიც არ იქნენ დაჯილდოვებულნი დაწესებული პირობების მიხედვით, დაჯილდოვდებიან წაქეზების წესით მათი კონკურსის პირობებთან დაახლოების ხარისხთან დაკავშირებით. წახალისების ჯილდოს რაოდენობას იმუშავებს შეჯიბრების ჟიური იმის მიხედვით, თუ რამდენათ უახლოვდება წინადადების ხარისხი შეჯიბრების პირობებს.

5) ყველა პროექტებისათვის საჭირო მოთხოვნილებანი შემდეგია: ყველა წარმოდგენილი მანქანა-იარაღები უნდა იქნეს სათანადოთ გამოანგარიშებულ-დამზადებული მცირე დეფიციტურ მასალებისაგან, უნდა იყვეს მაქსიმალურად უბრალო კონსტრუქციის მქონე და საჭიროებდეს მინიმალურ მუშა ხელის რაოდენობას.

6) ყველა წინადადებანი გარჩეულ იქნება ჟიურის მიერ რომელიც გამოყოფილი იქნება ს/გ. „საქ-ჩაი“-ს მმართველობისაგან. ჟიურის დადგენილებანი წინადადებათა ჯილდოს აღნიშვნით გამოქვეყნებული იქნება იმავე პრესაში, სადაც პირველად იყო გამოქვეყნებული შეჯიბრება.

7) დაწვრილებითი ტეხნიკური პირობები და ცნობები იგზავნება 1-ლ მოთხოვნილებისამებრ და ეძლევათ პირადი კონსულტაცია ადგილებზე.

8) ყოველგვარი მიმოწერა, რომელიც ეხება შეჯიბრებას, უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 25 ს/გ. „საქ-ჩაი“-ს რაციონალიზაციის და მუშათა გამომგონებლობის სექტორს.

პროექტზე და კონვერტზე აღნიშნული უნდა იქნეს შემდეგი წარწერა: „მექანიზაციის ხაზით ჩაის კულტურის შეჯიბრისათვის“.

საქ. გაერთ. „საქ-ჩაი“-ს მმართველი. 167

ქ. თბილისის საბჭოს მომარაგების განყოფილება აცხადებს მშრომელი მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ 5 მარტიდან სასურსათო საბუთების სექცია

შეუდგება

მე-2-რე კვარტალის სასურსათო საბუთების მოსახლეობაზე დარიგებას

სასურსათო საბუთების გაცემა იწარმოებს შემდეგი წესით:

1. 1-ლი და მეორე სიის მუშების და მათთან გათანასწორებულ მოსამსახურეების (სპეცები) სასურსათო ბარათების შეცვლა სწარმოებს მათ დახურულ განმანაწილებლების საშუალებით (მაღაზიაში ან სათანადო მიჩნეულ ალაგას). საბუთების შეცვლას აწარმოებს სასურსათო საბუთების სექციის თანამშრომელი, დახურულ განმანაწილებლების გამგ. თავმჯდომარის, უჯრედის და ადგილკომის წარმომადგენლის თანდასწრებით.

2. სასურსათო საბუთის შეცვლის დროს საჭიროა წარმოდგენილ იქნეს 1-ლი კვარტალის სასურსათო ბარათის მარტის თვის საკონტროლო ტალონი და სახლთა სასურსათო სამეულის მიერ გაცემული ცნობა. (როგორც მასზე, ისე მის კმაყოფაზე მყოფ პირებზე).

3. 1-ლ და მეორე სიის მუშების და სპეცების სასურსათო საბუთების შეცვლის დროს. ესა თუ ის პიროვნება გამორჩება რაიმე მიზეზით, მაშინ გამორჩენილი პირი ადგენს იმ საჭირო ცნობებს, რომელიც აღნიშნულია მეორე მუხლში, ხოლო სასურსათო სამეულის გაცემულ ცნობას ხელს აწერს წარმოება - დაწესებულების სამკუთხედი. ამ ცნობებით მისი შეცვლა მოხდება სასურსათო საბუთების სექციის ცენტრალურ პუნქტში—ბამბის რიგი № 2. სხვა პუნქტებში შეცვლა არ იწარმოებს.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნულ საბუთების შეცვლის დროს შეცვლილ იქნება იმ პირის საბუთიც, რომელიც რაიმე მიზეზით ვერ შესძლებს საბუთის შეცვლას თუ მისი საბუთი წარმოდგენილი იქნება მისი ოჯახის წევრების მიერ.

5. 1-ლ და მეორე სიით გაცემულ მე-2 კვარტალის საბუთების სიაზე ხელს აწერენ დახურულ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე, უჯრედის და ადგილკომის წარმომადგენელი და საბუთის გამცემი.

6. ის დახურული განმანაწილებლები, რომლებიც სახვაჭრობს ხაზით მარაგდებიან 1-ლ და მე-2 სიით, (რომელთაც თავის განმანაწილებელი არა ყავთ) საბუთების შეცვლას აწარმოებენ იმავე წესით, რაც გათვალისწინებულია 1—2—3—4 და მე-5 მუხლებში, ხოლოდ საბუთების გაცემის დროს ესწრებიან წარმოება - დაწესებულების უჯრედის, ადგილკომის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

7. ყველა დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც დახურული განმანაწილებელი არ აქვთ და მიმაგრებულნი არიან ღია მაღაზიებზე—ადგენენ სიას ისეთივე წესით, როგორი წესითაც წარმოდგენილი იქნება 1-ლი კვარტ. საბუთების მისაღების სიები, ხოლო სიასთან ერთად ადგენენ თავის საკონტროლო ტალონს და სასურსათო სამეულის ცნობას და მასზე გავრცელდება მესამე და მეოთხე მუხლი.

8. უმუშევრები, პენსიონერები და სხვა მშრომელი მოქალაქენი, რომლებიც არსად მსახურობენ ან ეწევიან ხელოსნობას (კუსტარები), სასურსათო საბუთებს სცვლიან ქ. თბილისში გახსნილ სპეციალურ პუნქტებში, სადაც მათ უნდა წარადგინონ 1-ლი კვარტალის საკონტროლო ტალონებთან და სასურსათო სამეულის მიერ გაცემულ ცნობასთან ერთად, რომელიმე მოწმობა კავშირის, სოლარიბის ან პენსიონერების. ამ მოწმობებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს კადრების აღმრიცხველი ბიუროს ცნობა, რომ ის ირიცხება აღრიცხვაზე.

9. სასურსათო საბუთების გამცემი მე-2 კვარტალის სასურსათო ბარათების შეცვლა გაცემას კუთვნილი სიის და კატეგორიის მიხედვით აწარმოებს ამა თუ იმ მოქალაქეზე ქ. თბილისის საბჭოს მომარაგების განყოფილების მიერ მიცემულ სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით და ყოველივე გამოწვეული სადაო საკითხი, რომელსაც ადგილი ექნება საბუთების შეცვლის დროს. უშუალო შეთანხმებული უნდა იქნენ მისი საბოლოოდ გამოსარკვევათ და გადასაწყვეტად სასურსათო საბუთების სექციაში.

მე-7 მუხლში აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეებისათვის მე-2 კვარტალის სასურსათო ბარათების მისაღებათ სია უნდა იქნეს წარმოდგენილი ქვემოთ ნაჩვენებ სიით.

№№	ოჯახის მეთაურის გვარი და სახელი	თანამდებობა	თუ დაწინაურებულია სადიდან და როდ. წ.	კმაყოფაზე მყოფთა სახელები	ნათესაური კავშირი	[illegible] 14 წლ.-დე 3 წლ.-მდე [illegible]	სას. საბუთის საკ. ტალონის №№	სას. საბუთის ს. ქ. ნიშნები	მიმღების ხელის მოწ.	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

შენიშვნა: მესამე სიის წარმოება-დაწესებულებებს შეუძლიათ აღნიშნული ფორმები მიიღონ ბამბის რიგი № 2-ში—ელიაბოვის ქუჩა № 4 და საბჭოს ქუჩა № 2.

შენიშვნა: მეორე კვარტალის სასურსათო ბარათების გაცემის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მარაგ სამეულების ცნობებს. ამიტომ ის ვინც ასეთს არ წარმოადგენს სასურსათო საბუთს ვერ მიიღებს.

ნ. 373

ქ. თბილისის საბჭოს მომარაგების განყოფილება
აცხადებს ქ. თბილისში მარაგ-სამეულების ჩამოყალიბების შესახებ რომ:

მარაგ-სამეულები არჩეულ უნდა იქნენ სამი წევრის შემადგენლობიდან. არჩეულები ურთიერთ შორის ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს. იმ სახლში, სადაც მობინადრეთა (ოჯახი) რიცხვი ათს აღემატება ირჩევენ მარაგ-სამეულს, ხოლო თუ აღმოჩნდება ისეთი სახლი, სადაც ოჯახთა რიცხვი ათზე ნაკლებია, უნდა შეუერთდენ მეზობელ სახლს და თუ ტეხნიკურად მეზობელ სახლთან შეერთება შეუძლებელია, მაშინ (განსაკუთრებულ შემთხვევებში) დასაშვებია ერთ სახლში არჩეულ იქნეს მარაგ-სამეული, ხოლო ოჯახთა რაოდენობა არ უნდა იქნეს სამზე ნაკლები. მარაგ-სამეულში არჩეული წევრები კრების ოქმს ადგენენ, ბამბის რიგი № 2 სასურსათო საბუთების სექციაში, წარდგენილ ოქმში აუცილებლად ნაჩვენები უნდა იქნეს ქუჩის №-რი, ოჯახთა რაოდენობა და მათი სულადობა (თუ მარაგ-სამეული არჩეულია ორი-სამი, ან მეტი გაერთიანებულ სახლებში მობინადრეებისაგან, ოქმში უნდა იქნეს აღნიშნული თითეულ სახლის №-რი, ქუჩა და მათში ოჯახთა და სულთა რაოდენობა ცალკე-თითეულ სახლში აღნიშვნით). მარაგ სამეული თავის შემადგენლობიდან ყოფს ერთ წევრს, რომელსაც ხელთ უნდა ექნეს საბუთი იმისა, რომ ის არის მარაგ-სამეულის წევრი და მას ენდობა მიიღოს სასურსათო საბუთების სექციიდან ყოველგვარი საბუთები, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სამეულისათვის მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულების დროს. მარაგ-სამეულის წევრის მიერ სასურსათო საბუთების სექციაში წარდგენილ მინდობილობას სექცია იტოვებს, როგორც საბუთს მას სექცია აძლევს წიგნაკს ცნობების გასაცემად (წიგნაკი შეიცავს ათას ოცს ოცდახუთს და ორმოცდაათ ფურცელს) მიღებულ წიგნაკში აღნიშნულია კითხვები: მარაგ სამეული ცნობის გაცემის დროს უპასუხებს კითხვებზე, მარაგ-სამეული ცნობას აძლევს თითეულ ოჯახს ცალ-ცალკე. ცნობაში აღნიშნულ უნდა იქნეს ოჯახის მეთაური და მის კმაყოფაზე მყოფი პირები. კმაყოფაზე მყოფ პირების აღნიშვნის დროს აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული მათი სახელები და წლოვანება (განსაკუთრებით 14 წლამდის წლოვანების აღნიშვნა სავალდებულოა). თუ ოჯახის მეთაურის კმაყოფაზე იმყოფება სხვა გვარის პირი, მაშინ ცნობაში სახელთან ერთად უნდა ეჩვენოს აღნიშნული გვარიც.

თუ ოჯახის შემადგენლობაში არიან ისეთები, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი. აგრეთვე სტუდენტები, მუშფაკელები, ინსტიტუტში და ტეხნიკუმში მოსწავლე ასეთების ცნობები მიეცემათ ცალ-ცალკე და არავითარ შემთხვევაში ოჯახის მეთაურზე გაცემულ ცნობაში შეტანილ არ იქნებიან.

შენიშვნა: 14 წლამდე მოწაფეები ოჯახის საერთო გაცემულ სიაში შეტანილ იქნებიან.

შენიშვნა: კერძო სახლთმფლობელებს ევალებათ შედგენილი ოქმები დაადასტურონ რაიონულ მილიციაში.

შენიშვნა: ის მოქალაქენი, რომლებიც სცხოვრობენ საცხოვრებელ სახლების ქვეშ (დარბაზებში) ვალდებულნი არიან მე-2 კვარტალის სასურსათო საბუთების მისაღებათ წარმოადგინონ ცნობები სახლთა მომარაგების სამეულებიდან, ხოლო ისინი, ვინც სცხოვრობენ ისეთ დარბაზებში, სადაც მარაგ-სამეულის არჩევა შეუძლებელი იქნება, უნდა მიმართონ რაიონულ საბჭოებს ცნობების მისაღებათ.

ნ. 391

ქ. თბილისის საბჭოს

მომარაგების

განყოფილება აცხადებს

სახლთა მარაგ სამეულების საყურადღებოდ, რომ სასურსათო საბუთების სექცია 1-ლ მარტს, აწარმოებს, დილის 9 ს. საღ. 10 საათამდე, სამეულებზე ცნობების, წიგნაკების და ინსტრუქციების გაცემას. ნ. 398

ა.-კ. რკინის გზების მეორე საექსპლოატაციო რაიონი

აცხადებს

რომ 1 მარტიდან „სოიუზტრანსი“ აწარმოებს რკინის გზის საწყობებიდან ყველა ტვირთების გაზიდვას წვრილმან საგზავნებით წონით 8 ტონამდე, როგორც იმ კლიენტებისას, რომელთაც აქვთ ხელშეკრულება „სოიუზტრანსთან“ ისე იმათ ტვირთსაც, რომელთაც არ აქვთ ხელშეკრულება.

ნ. 399

დადგენილება

მასიურ სამხატვრო მუშაობის მხატვრულ იდეოლოგიური კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად და ამ საქმეში გეგმიანობისა და კანტროლის გასაძლიერებლად საქართველოს განსახკომის ხელოვნების და ლიტ. სექტორი, საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორი და ხელოვნების მუშაკთა კავშირის საქ. ცენტრ. გამგეობა წინადადებას აძლევენ ყველა წარმოება-დაწესებულებათა საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტებსა და ადგილკომებს, ყველა მუშათა კლუბებს, წითელ კუთხეებს და ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც საღამოებსა და კონცერტებს მართავენ, ასეთები გამართონ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის (საქფილის) მეშვეობით.

ამა დადგენილების დამრღვევი ორგანიზაციები და კერძო პირნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი კერძო შუამავლობით წახალისებისა და ზატარიფო პოლიტიკის დარღვევისათვის.

საქ. განსახკომის ხელოვნების და ლიტ. სექტორის გამგე: გ. შავგულიძე.
საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორის გამგე: არჩვაძე.
ხელოვნების მუშაკთა კავშირის საქ. ც. გ-ბის თავმჯდომარ. მაგიერ: არაქელოვი.

ნ. 395

თბილისის საბჭოს

მომარაგების

განყოფილება

აცნობებს 1 და მე-2 ხერიების იმ საწარმოების და დაწესებულებების სამკუთხედებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ განყოფილებაში დაწესებულ ვადისათვის (15 თებერვალი 1932 წ.) ცნობები ა. წ. 10 თებერვალს დაგზავნილ ფორმის მიხედვით, აღნიშნული სიებით მომარაგებაზე ასაყვან კონტიგენტის გამოსარკვევად, რომ აღნიშნული ცნობების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად ითვლება 4 მარტი, რის შემდეგ საწარმოების მიხედვით მომარაგებაზე ასაყვანთა კონტიგენტი დაწესებული იქნება 1-ლი კვარტალის ლიმიტის ფარგლებში და შემდეგ მათში არ იქნება შეტანილი არავითარი ცვლილებები რის მთელი პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება სამკუთხედებს.

(ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნას თბილისის საბჭოს შენობაში ოთახი № 83).

თბილისის საბჭოს მომარაგების განყოფილების გამგე: ცინცაძე.

ნ. 386

თბილისის საბჭოს

სასურსათო წიგნაკების სექცია აცხადებს,

რომ ყოველგვარი ცნობებისათვის **მარაგსამეულებმა** უნდა მიმართონ სასურსათო წიგნაკების სექციას ბამბის რიგი № 2.

ნ. 389

ექიმი

ი დ. თოფურიძე

კალინინის, № 33. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურათ: შარდ-სასქესო ორგანოები (სუსუნატი და მისი გართულება), კანის და სიფილისი. საღამოს 6—8 საათამდე.

1647 25—1

დ. ლ. თევზაძე

დაავადება: ყურის,ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჭონქაძის (ყ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ტელ. 28—68

ექიმი

ა. დ. ულენტი

შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. [illegible] ხოდ. წყნეთის ქ. № 8

0—7

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრ. სისუსტ. მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილ. 6—11 ს. საღ. 5-8 ს. ნინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5.

25—12 8189

ექიმი

მ. ღ. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკურ. კაბინეთი. პეტრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღ. 7—8. ტელ. № 21-45. 25—18

ექიმი

ბირაქქოვი

გლ. მახ.

გულის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამოობით 6—7 ს. ფეოდოსიევის ქ. № 22.

13—1

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოებ. სიფილ.და კანის ავადმყოფ. დილ.—1 ს საღ. 5—8. ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრ. „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8

25—1

ექიმი

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინ. ინსტიტუტები **სახის სილამაზის მოვლა**

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22.

13—3 5464

ექიმი

ტერ-ოვაკიმოვი

სპეციალურად სიფილ. და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობა, სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპ. მიღ. დილ. 10-ნახ.-12 ს., საღ. 6—8 ს., ა-კ. ფედერაციის ქ. (ყ. ველიამინოვის) № 22,

25—10

ექიმი

ქ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებ.) სიფილისი შეშხაპუნება „914“, ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება დილ. 8-9 ს. საღ. 6-8 ს. ქალების და ბავშვების მიღება 5-6 ს., მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. ტელეფ. 29-50

ნ. 4828 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდიმთავრის ქუჩა) ინდუსტრ. ტეხნიკუმის გვერდზე

13—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება: 10—3ს. და 5—7 ს. მისამარ.: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე

25—13 801

ექიმი

ქ. თ. [illegible]

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. 8½—9 საღ. 7—8

77886 13—1

გაერთიანებულ სასამართლოს თანამშრომლები: თ. გოგორიშვილი, ე. ორაგველიძე, თ. შელიძე, ა. დოლიძე, ს. ჯულუხიძე, ფ. გოგოსაშვილი, ნ. ჭილაძე, გ. ალავიძე, თ. ვარდანიძე, ნ. ჯაფარიძე, გ. წერეთელი და ს. ჭავჭანიძე გულმოკლული მწუხარებით დავსტირით იშვიათ ადამიანის

აბესალომ თენეიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 1809

სსსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი და თბილის დამცველთა კოლექტივის გამგეობა მწუხარებით იუწყებიან

აბესალომ თენეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან 1-ლ მარტს, ჯორჯაძის ქუჩა № 2. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 392

რესპუბლიკის პროკურატურის და სასამართლოს ორგანოების ალკკ გაერთიანებული უჯრედის და ადგილკომის წევრები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ თბილისის გაერთიანებულ სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის

ამხ. აბესალომ თენეიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. ნ.392

უახლოესი ამხანაგები: დათიკო და ვალიკო ნიკოლაიშვილები ცოლშვილებით აუწყებენ საზოგადოებას საუკეთესო ამხანაგის, მეგობრის

აბესალომ თენეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 1743

უახლოესი ამხანაგები: თ. დოლიძე, კ. ხარაძე, პ. ვაჩაძე, ნ. ჯინჭარაძე, ა. კალანდაძე, ი. კაპანაძე, პ. გოჩკურაშვილი, ო. დევდარიანი, ვ. ქუჩათელაძე, ა. ჯვარშეიშვილი, ი. მაისურაძე, დ. ხიხაძე, ა. ბიკაიშვილი, გ. ტატიშვილი და ნ. შელიძე იუწყებიან დაუღალავი მუშაკის, ძვირფასი ამხანაგის

აბესალომ ბაგრ.-ძე თენეიშვილის

დაკარგვას. 1740

უახლოესი მეგობრები: გ. ჩიგოგიძე, ა. ლიბრაძე, ლ. და ვ. ნიკოლაიშვილები და გ. მიშველიძე იუწყებიან ძველი ბოლშევიკის, საუკეთესო ამხანაგის და მეგობრის

აბესალომ ბაგრატის-ძე თენეიშვილის

მოულოდნელ გარდაცვალებას. 1736

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგან. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი იუწყება პარტიის წევრის, ქ. თბ. გაერთიანებულ სასამართ. თავმჯდ-რის

აბესალომ ლავ.-ძე თენეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას (უ)

დამწუხრებულნი: ქმარი გიორგი თეგერაშვილი, დედა ევა, ძმა გრინია რომანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ელია (რომანი) თეგერაშვილისა

დაკრძალვა ქ. დუშეთში 1 მარტს. 1816

უახლოესი მეგობრები: ალ. დიდებაშვილი, გ. ხარანაული, გ. მჟავანაძე, ლ. გედევანიშვილი, ქ. მანდენოვა, ე. მირზიაშვილი, რ. კეზელი, გ. შაბურიშვილი, ი. მირაქოვი და ს. ალიხანოვი ესწუხვართ უახლოესი მეგობრის გიორგი თეგერაშვილის მეუღლის

ელია (რომანი) თეგერაშვილის

გარდაცვალებას. 1816

თედო ვასაძის მეგობრები: ნინო მდინარაძისა და იოსებ თოხაძე მეუღლე ტასიკოთი თანაგრძნობას უცხადებენ მას ძვირფასი ძმის

სევასტი იოსების-ძე მახაძის

გარდაცვალების გამო. 1818

უახლოესი ამხანაგები: კილაძე, ნიკოლაიშვილი, შაფაქიძე, მამეშვილი, გოგუაძე, სოსელია, მეგრელიშვილი, გობრონიძე, ქილიფთარი, ღლონტი, ლალაძე, მალაზონია, უჯმაჯურიძე, წერეთელი, ჯაველიძე, კვაჭაძე, შეიშვილი, ალ. დუმბაძე მწუხარებით იუწყებიან

ამხ. სევასტი მახაძის

გარდაცვალებას. 1779

ოზურგეთის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს რაიაღმასკომის წევრის, ბალბოსტანრაკავშირის ოზურგეთის განყოფილების გამგის მოადგილის ამხ.

სევასტი მახაძის

გარდაცვალების გამო. 1778

ია ეკალაძე, სოლიკო, ნანა, ოლიკო ცინცაძენი, ირინე და იაკობ დემურიშვილები იუწყებიან, რომ დაუვიწყარ

ბაბალე ცინცაძის

ხსოვნის აღსანიშნავად ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს, 1 მარტს, 2 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 1800

ინდუსტრიალური მუშფაკის პროფესიონალური ორგანიზაცია, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე მუშფაკის მე III კურსის მსმენელის

სარდიონ გუგუტიშვილის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 1 მარტს, ფეოდოსიევის ქ. № 23; 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1807

უახლოესი ამხანაგები: ვ. ჯანდაგაშვილი, კ. ფანცულაია, ლ. ჭანიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, ვ. გარსევანიშვილი, ა. ატოიანი და ვ. ქართველიშვილი ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ

ამხ. სარდიონ გუგუტიშვილის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 1 მარტს, 4 საათზე, ფეოდოსიევის № 23. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1808

გაუბედურებული მშობლები: ალექსანდრე და ვასასი, ძმები: შალვა ცოლით მარუსიათი და კალენიკე, ბაბუა ანდრია, მეგობრები: შ. აბაშიძე და ს. ბასილია იუწყებიან პედ-ინსტიტუტის მე-IV კურსის სტუდენტი

პავლე ალექსანდ.-ძე შმერილაძის

გარდაცვალებას. დასაფლავებულია ვარდიგორაში. 1806

შალვა ალექსანდრეს-ძე ვარდიგორელი (შმერილაძე) ცოლით მარუსიათი აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი ბიძის

ქრისტეფორე ანდრიას-ძე შმერილაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა სოფ. ვარდიგორაში. 1806

თავზარდაცემულნი: და ნინა არდიშვილი, გაზრდილები: თამარა ცინცაძისა კოწია თოფურია, ოტია ლომინაძე, სიძე ალიოშა ცინცაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ მათთვის ძვირფასი

ევგენი გიგოს-ძე არდიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 3 მარტს, საჯავახოში. 1815

დომენტი ვატას-ძე სურმავა ულრმეს მადლობას უცხადებს ამხანაგ-მეგობრებს და ყველას ვინც პირადი დასწრებით თუ დეპეშებით გაიზიარეს მწუხარება დედის

ელუკია ივანეს ასული სარჩიმელია-სურმავას

გარდაცვალების გამო. 1813

დამწუხრებული შვილები: ივლიანე ლასხიშვილი, სანდრო, ომონია ლორთქიფანიძეები, რძლები: ვერა ლასხიშვილი, ვალია ლორთქიფანიძე, შვილიშვილები: ხონა, ოთარი, გივი, ლეილა იუწყებიან, რომ სოფ. ვანში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

პელაგია ლორთქიფანიძე

1818

დედა კატო, ძმები ექ. შალვა, მეუღლე ნინათი, შვილი ნოდარით, ვლადიმერი მეუღლით და ბიძინა დებით იუწყებიან ძვირფასი

ელენა სერაფ.-ას. ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიხ. საავადმყ. 1 მარტს, დაკრძალვა სალხინოში 4 ნახ. ს. 1805

გულმოკლულნი: ძმა სიკო, რძალი ზინა, ელენე, ძმისწულები: ალექსი, ნინა, თამარა, სიძე ვანიჩკა მწუხარებით იუწყებიან

ვასილ მათეს-ძე კოჭლაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება რკინისგზის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე დღეს, 4 საათზე. 1799

სიძე გრამიტონ და მიხეილ სხირტლაძეები თავიანთი ცოლშვილით ვაცნობებთ ნაცნობ საზოგადოებას, რომ 28 თებერვალს, დილის 7 საათზე გარდაიცვალა

ვასილ მათეს-ძე კოჭლაძე

1791

თბილისში მყოფნი სოფ. ბოყოს მცხოვრებნი ვაუწყებთ საზოგადოებას ჩვენთვის ძვირფას

ვასილ მათეს-ძე კოჭლაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოდან. კუკიის სასაფლაოზე. 1791

თავზარდაცემული მშობლები: შალიკო და ნადია, ბებია ტერეზია, მამიდა იულია და ბიძა პოლიკარპე იუწყებიან ძვირფას

მურმან შალიკოს-ძე გრძელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 1 მარტს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 ს. პლატონის ქ. № 5. 1775

დამწუხრებული დეიდა თებროლე ქმრით სოლომონ გოგრიჭიანი დავსტირით სიცოცხლით სავსე პატარა

მურმან შალიკოს-ძე გრძელიძის

უდროოდ დაკარგვას. 1776

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე კატო, შვილები: თამარა და შალვა, რძალი ელიკო, სიძეები: გრიშა კაკაბაძე და ალექსანდრე კენჭაძე იუწყებიან დაუვიწყარი

იაკობ ქუთათელაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 3 მარტს, ქ. ხონში. 1804

დები: მაშიკო, ნინუცა, აგრაფინა, ძმა ვალოდია, რძლები ფეოდოსია და ნინო, სიძეები: მიხა ცაგურია, ვასილ ბერძენი, გაბო თოფურია, ძმისწული ლილი, დასტირიან მათთვის ძვირფას

იაკობ ქუთათელაძის

დაკარგვას 1802

დამწუხრებული მშობლები: სოფიო, ლადო, ძმა ბორისი ჩარგეიშვილები, სიძეები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ჟუჟუნა

დაკრძალვა 3 მარტს, სოფ. კონტუათში. ნ.400

გულდაწყვეტილი ქრისტინა და პოლიკარპე რატიანები შვილებით: მარგალიტა ქმარშვილით, გრიშა ცოლშვილით, ვანო, ცუცა, არჩილი და უახლოესი მეგობარი შუშანიკა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ

ჟუჟუნა ვლად. ას. ჩარგეიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1777

ხონის აფთიაქის თანამშრომლები: სერგო, ოლია, ნინა, ლიდა, კატე, თამარა, შურა, ლიუბა, სამსონი, სევასტი ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენი თანამშრომელ ვლადიმერ ჩარგეიშვილის ქალიშვილის

ჟუჟუნას

გარდაცვალების გამო. ნ. 400

მეუღლე კოკოლა, შვილები: დათიკო, მინადორა, ჩიხო, რძალი ქსენია, შვილიშვილები: ვარლამი, კოსტია შენგელაიები და სიძე იუწყებიან დაუვიწყარ

გრიგოლ ბახვას-ძე შენგელაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 მარტს სოფ. ობუჯში. ნ. 400

დამწუხრებული მამიდა ოლღა გიკინეიშვილისა ქმრით კონსტანტინეთი, შვილებით და სიძეებით იუწყებიან დაუვიწყარ

ნიკოლოზ დავითის-ძე ხოშტარიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 1 მარტს, ქ. ფოთში. 1801

ღრმად დამწუხრებულნი: ვალია და კაკო კალანდარიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უსაყვარლესი ძმის

ნიკოლოზ დავითის-ძე ხოშტარიას

უდროოდ გარდაცვალებას. 1790

უახლოესი მეგობრები: კ. და გ. გოგინავები, ა. ვეკუა, გ. და შ. მოისრაფეიშვილები, ვ. მიქაძე, ი. შონია, ნ. ადამია, ვ. ბებია, კ. ხოშტარია, ი. კურცოვი, ბ. კირტაძე, ა. ხუბულავა, ც. გვინია და ბ. გაბუნია იუწყებიან ძვირფას მეგობრის

ნიკოლოზ დავითის-ძე ხოშტარიას

გარდაცვალებას. 1795

გულმოკლული და ლიდა, სიძე დიმიტრი თოფურები პატარა მერიკოთი ულრმესი მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ და ძვირფას

საშა კვარაცხელიას

უდროოდ დაკარგვას. 1794

ღრმად დამწუხრებული შვილები: ფილიპე, ოლღა, ილო, რძალი თამარი, მაზლი ვასილი იუწყებიან მათთვის საყვარელ დედის

ფედოსი ივანეს ას. ლობჟანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 1 მარტს, 4 საათზე, ბაქოს ქ. № 1. 1811

ღრმად დამწუხრებული მული აგრაფინა, სიძე სერგო, შვილები: ქეთევან და როინი ჭეიშვილები იუწყებიან მათთვის საყვარელ რძალის

ფედოსი ივანეს ას. ლობჟანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 1 მარტს, 4 საათზე, ბაქოს ქ. № 1. 1810

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მატრონა შვილებით: რახილა, საშა, ვალოდია, გრიშა და ქეთო იუწყებიან მათთვის უძვირფასეს

ერასტო ლევანის-ძე მელაძის

გარდაცვალებას ქ. ზუგდიდში. 1793

პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრები და უახლოესი ამხანაგები: გ. მახარაძე, დ. როსტომაშვილი, პ. მგალობლიშვილი, შ ჯაფარიძე, მ. ვანიძე, გ. ქლენტი, გ. ლაზარევი მწუხარებას გამოსთქვამენ პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრის ამხ.

ნესტორ ივ.-ძე ერქომაიშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 1 მარტს, ბათუმში. 1797

პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრები და უახლოესი ამხანაგები: დ. ვაშაკიძე, ი. კობალაძე, ი. კილურაძე, ვ. მაღულარია, ნ. ჩხიკვიშვილი ულრმეს სწუხარებას გამოსთქვამენ პოლიტკატორღელთა საზ. წევრის ამხ.

ნესტორ ივ.-ძე ერქომაიშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 1 მარტს, ბათუმში. 1798

პოლიტკატორღელთა კოოპ. საწარმოო არტელი „პოლიტკატორღელი“-ს გამგეობა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძველ მებრძოლის, პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრის ამხ.

ნესტორ ივ.-ძე ერქომაიშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 1 მარტს, ბათუმში. 1796

ჭიათურის შავი-ქვის ტრესტში მომუშავენი ინჟინრები: მ. ბრეგვაძე, შ. დევიძე, მ. კარახანიშვილი, კ. ქოქოსაძე, ვ. მოისრაფეშვილი და გ. ხვიჩია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ გულითადი მეგობრის, სანიმუშო ამხანაგის

სამთო ინჟ. დავით გვანცელაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1745

ა/კ. სამთომანდო მუშაკთა ინჟინერ-ტეხნიკოსების სექცია მწუხარებით აუწყებს სექციის წევრებს, რომ გარდაიცვალა სექციის აქტიური წევრი

ინჟ. დავით გვანცელაძე

1803

უახლოესი მეგობრები: რაფო ქლენტი, ბენო ქარცივაძე, მიშა ბეჟალიშვილი და ქსენია ჩამუღლია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის, ინჟინერ საშა მელაძის მამის

ერასტო ლევანის-ძე მელაძის

გარდაცვალების გამო. 1792

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა
მთავლიტის რწმუნებული ა 995